საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნელი ანდრონიკაშვილი

რობერტ სტივენსონის ქართველოლოგიური ძიებანი

თბილისი
„მეცნიერება“
1988

83.3Гр
ა647

წიგნი ეძღვნება XX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის რობერტ სტივენსონის შემოქმედებას. იგი ავტორია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანისა“ (1958) და შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანის (1977) ინგლისური თარგმანებისა.

ნაშრომში კრიტიკულად არის შესწავლილი რ. სტივენსონის ნაშრომები ძველი ქართული მწერლობის რიგ პრობლემურ საკითხებზე: „ამირანდარეჯანიანის“ შესახებ“, „რუსთაველი და მისი პოემა“, „რუსთაველის თარგმანის გამო“, „რუსთაველი და არიოსტო“, „რუსთაველი და სარაინდო სიყვარული“ და სხვები. ნაშრომის ავტორი აანალიზებს იმ დისკუსიებს, რომლებიც მიმდინარეობდა ქართველ და ინგლისელ მეცნიერებს შორის ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვან პრობლემებზე. აღნიშნულია რ. სტივენსონის დიდი ღვაწლი საზღვარგარეთული ქართველოლოგიის განვითარების საქმეში.

რედაქტორი ფილოლ. მეცნ. დოქტორი. პროფ. დ. ლაშქარაძე

რეცენზენტები — ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატები: ე. თოფურიძე
ნ. ქომეთიანი

ა 4603020102
M 607(06)—88 110—88

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988

ISBN 5—520—00110—3

რობერტ სტივენსონი და მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“

* * *

ქართველი ხალხის კულტურისა და ისტორიის შესწავლით ევროპელ მეცნიერთაგან XIX საუკუნის 20-იან წლებში პირველად მარი ბროსე დაინტერესდა. მარი ბროსეს მოღვაწეობა იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც არამც თუ ევროპული მასშტაბით, არამედ საქართველოშიც ეს-ეს არის საფუძველი ეყრება ნაყოფიერ და სისტემატურ მეცნიერულ მუშაობას ქართველოლოგიის დარგში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემასთან დაკავშირებულ „ისტორიულ-ლიტერატურული მუშაობის ჩანასახს“ (ქ. კეკელიძე), მაშინ ნათელი გახდება, რომ ქართველოლოგიის კარიბჭესთან დგას ფრანგი მეცნიერის მ. ბროსეს შთამბეჭდავი ფიგურა, რომლის მემკვიდრეობამაც მთელი ეტაპი შექმნა ქართველოლოგიის ისტორიაში. მან დიდი ღვაწლი დასდო ქართული კულტურის წარსულის შესწავლას. 1847-48 წლებში ფრანგმა მეცნიერმა იმოგზაურა საქართველოში და შეკრიბა დიდძალი ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის მასალები, რომლებიც სამ წიგნად გამოაქვეყნა პეტერბურგში. მ. ბროსეს ქართველოლოგიური მოღვაწეობის გვირგვინია მის მიერ 1849—51 წლებში შვიდ ტომად გამოცემული „ქართლის ცხოვრება“.

მ. ბროსემ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიურ ძიებებს ევროპასა და მთელს მსოფლიოში. მან კვლევა-ძიებას ისეთი ასპარეზი გადაუშალა ევროპელ მეცნიერებს, რომ საუკუნე ნახევარზე მეტია მსოფლიოს გამოჩენილი ორიენტალისტები წარმატებით მუშაობენ ქართველოლოგიის დარგში და ქართული ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი ისტორია თავის საპატიო ადგილს იჭერს საკაცობრიო საგანძურში. მარი ბროსეს დამსახურება იყო, რომ ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებმა, მართალია, მოკრძალებული, მაგრამ გარკვეული ადგილი დაიკავეს საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კურსებსა და ენციკლოპედიებში.

ქართველოლოგიური კვლევა-ძიების, როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბება ინგლისში მარი ბროსეს სახელთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ მარი ბროსეს შემდეგ ქართულ კულტურას და ქართულ ლიტერატურას არ ჰყოლია ისეთი დაუცხომელი პროპაგანდისტები და მკვლევრები, როგორებიც იყვნენ ოლივერ და მარჯორი უორდროპები, დავით მარშალ ლანგი და სერ მორის ბოურა, რობერტ სტივენსონი, ქეთრინ ვივიანი. ევროპის წიგნთსაცავებში და, კერძოდ, ბრიტანეთის მუზეუმში ქართული ხელნაწერების გამოჩენამ, პარიზსა და ინგლისში სააზიო საზოგადოების დაარსებამ, მ. ბროსეს შრომების ინგლისურ ენაზე თარგმნამ ხელი შეუწყო ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, საფუძვლის ჩაყრას ინგლისში. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ცხოველდება ქართულ-ინგლისური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანიც.

ინგლისურმა ქართველოლოგიურმა სკოლამ (აქ იგულისხმება ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტში მოღვაწე ორიენტალისტები) დიდი ღვაწლი დასდო ქართული კულტურის პროპაგანდას ევროპაში და მკითხველს გააცნო როგორც ქართული კლასიკური მწერლობის პირველხარისხოვანი თარგმანები, ასევე შესანიშნავი მეცნიერული გამოკვლევებით სწორი ორიენტაცია და წარმოდგენა შეუქმნა მათ ქართული კულტურის კარდინალურ საკითხებზე. მარჯორი უორდროპმა მის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ვეფხისტყაოსნით არა მარტო პოპულარიზაცია გაუწია ქართული ლიტერატურის ამ შესანიშნავ ძეგლს, არამედ ინგლისელი მეცნიერები დააინტერესა ქართული სასულიერო მწერლობით, კლასიკური ხანის ლიტერატურით, ფოლკლორით, მითოლოგიით, ქართული ანბანის წარმოშობით და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხით.

და-ძმა მარჯორ და ოლივერ უორდროპების მიერ შექმნილ ქართველოლოგიური შრომების ბაზაზე ინგლისში XX საუკუნის 40—50-იანი წლებში დიდი მუშაობა გაიშალა. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ცნობილი ქართველოლოგის რობერტ სტივენსონის მოღვაწეობა. მან არა მარტო შესანიშნავი მეცნიერული შრომები, არამედ ქართული კლასიკური ძეგლების მაღალმხატვრული თარგმანები შესძინა ინგლისურ ლიტერატურას. მის მიერ თარგმნილი მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი" და შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, რომელთაც დართული აქვთ მდიდარი სამეცნიერო აპარტურა, უდავოდ, მოწმობენ მეცნიერის დამოკიდებულებას ქართული კულტურის მიმართ.

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელ ორიენტალისტთა წყალობით დღეს მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ენაზე თარგმნილია ქართული კლასიკური მწერლობის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი[1].

რობერტ სტივენსონის (დაიბადა 25.VIII.1920, გლაზგო) დაინტერესება ქართული კულტურით 50-იან წლებს მიეკუთვნება. მან 1945 წელს დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი, 1960 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ჯერ მუშაობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე, მოგვიანებით კვლევა-ძიება განაგრძო ოქსფორდში. ბოლოს ისევ მშობლიურ გლაზგოში დასახლდა და იქ გააგრძელა მეცნიერული მუშაობა. ოლივერ უორდროპმა და ინგლისელმა მეცნიერმა რენე გრუსემ დიდი როლი შეასრულეს მის დაინტერესებაში ქართული ლიტერატურით. ქართული ენა კი შეისწავლა ლონდონის უნივერსიტეტში ა. გუგუშვილისა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი თანამემამულეების დახმარებით[2]. ამან განაპირობა მომავალი მეცნიერების წარმატება ქართული ენის საფუძვლიანად დაუფლების საქმეში.

პირველი ქართველოლოგიური ნაშრომი, რომლითაც რ. სტივენსონი წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე, იყო „ქართული კურტუაზიული სიყვარული"; ეს მოხსენება მან წარადგინა ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესს ინგლისში 1954 წელს[3].

კონგრესის მეათე („დასავლეთი და აღმოსავლეთი") და მეოთხე სექციების („ირანის, სომხეთის და შუა აზიის შესწავლის საკითხები") გაერთიანებულ სხდომაზე რ. სტივენსონმა დააყენა ვეფხისტყაოსნისა და პროვანსული პოეზიის მსგავსების საკითხი სიყვარულის გაგებაში შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციიდან. მისი ძირითადი მიზანი იყო ამ ორი ერთმანეთისაგან დაშორებული ლიტერატურებისათვის მიჯნურობის გაგებაში საერთო წყაროები დაეძებნა. ინგლისელმა ქართველოლოგმა, მნიშვნელოვან მსგავსებათა მიუხედავად, არაერთი არსებითი ხასიათის განსხვავება დაადგინა ამ ლიტერატურათა ურთიერთმიმართებისას.

---

1 თარგმნილი ძეგლებიდან აღსანიშნავია:

ა) „სიბრძნე ბალავარისა" (დ. ლანგი); ბ) „ვისრამიანი" (ო. უორდროპი); გ) „ამირანდარეჯანიანი" (რ. სტივენსონი); დ) ვეფხისტყაოსანი (მ. უორდროპი, ვ. ცერეთელი, რ. სტივენსონი, ჯ. ვივიანი).

2 რ. სტივენსონზე ბიოგრაფიული მასალები მოამზადა ს. ყურნავამ.

3 R. H. Stevenson, A Georgian Amour Courtois. (Proceedings of the twentieth International Congress of Orientalists, August, 1954) London. 1957.

მეცნიერის კვლევა-ძიების სფერო ნელ-ნელა გამოიკვეთა და თვალსაჩინო გახდა მისი დაინტერესება რუსთაველითა და მისი პოემით. ამისი პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ ვეფხი'ტყაოსანზე რ. სტივენსონმა ზედიზედ გამოაქვეყნა გამოკვლევები, რომლებშიც სცადა აეხსნა რუსთაველის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალები, განემარტა რუსთაველის შემოქმედების სახისა და ხასიათის თავისებურებანი, მისი მხატვრული აზროვნების ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი წყაროები. მეცნიერი იმდენად შთააგონა ვეფხისტყაოსნის სიდიადემ, რომ იგი არასოდეს გაწაშორებია ამ ჯადოსნურ პოემას და მეოთხედი საუკუნის დაძაბული მუშაობის შედეგად 1977 წელს ამერიკაში გამოქვეყნდა კიდეც ეს თარგმანი[4]. რობერტ სტივენსონი იმ მცირერიცხოვან უცხოელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელმაც შეძლო ქართული ენისა და სტილის დაუფლება. იგი დედანში გაეცნო პოემას და შეიგრძნო ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა განუმეორებელი სურნელი, ქართული აზრის, სიტყვისა და სახის თავისებურებათა ნიუანსები. სრულ ჰეშმარიტებას შეიცავდა გ. იმედაშვილის სიტყვები, რომ ქართული ენის მცოდნე უცხოელთაგან „არ ყოფილა არც ერთი, რომელიც საბოლოოდ განშორებოდეს რუსთაველის შთაგონებას, ისე როგორც ადამიანი ჩვეულებრივ სცილდება ხოლმე ერთხელ უკვე წაკითხულ ნაწარმოებს. ყოველი უცხოელი მეცნიერისა და მწერლის ცხოვრებაში, რომელიც კი ქართულ ენას, ვეფხისტყაოსნის პოეტური ფორმის მშვენიერებასა თუ მის ამაღლებულ იდეალებს ზიარებულა, რუსთაველი ქცეულა ბედისწერად. ასე დაემართა ფრანგ მეცნიერს აკადემიკოს მარი ბროსეს, რომელიც პირველი უცხოელი იყო, ვეფხისტყაოსანი დედანში საფუძვლიანად რომ შეისწავლა, შეიყვარა და მთელი ცხოვრება და სამეცნიერო კარიერა მის შეცნობას, ქართული კულტურისა და ისტორიის კვლევა-ძიებას, მის პოპულარიზაციას მოანდომა. ასეთივე ბედი ხვდა ინგლისელ მწერალს მარჯორი უორდროპს, რომელმაც ყველაზე უკეთ, უცხოელთა შორის, შეძლო ვეფხისტყაოსნის გაგება-თარგმნა. ვეფხისტყაოსნითა და ქართული ენით იყო დატყვევებული გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი, რომელმაც საქართველო იწამა მეორე სამშობლოდ"[5].

---

[4] Shota Rustaveli. The Lord of the Panther-Skin, *A* Georgian Romance of Chivalry, Translated by R. H. Stevenson, State University of New York. Albany, 1977. აღნიშნულ გამოცემას დართული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა შენიშვნებით, ორი კომენტარი სათაურებით: „გარეგნული სილამაზე და მნათობთმეტყველება"; „ეზოში ტირილი და გრძნობათა გამოხატვის უშეალობა". თარგმანს ერთვის აკადემიკოს ალ. ბარამიძის ვრცელი ბოლოსიტყვაობა.

[5] გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968, გვ. 20—21.

რობერტ სტივენსონმა დიდი ღვაწლი დასდო აგრეთვე ქართული კლასიკური ხანის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლს, როგორიც მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანია“. „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის შესწავლას მკვლევარმა შვიდი წელი მოანდომა (1951—1958). მას ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ჩვენმა თანამემამულემ ა. გუგუშვილმა ლონდონში, რომელსაც სტივენსონი მადლობას უხდის თარგმანის წინასიტყვაობაში. „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანი სტივენსონმა 1958 წელს განახორციელა[6]. თარგმანს დართული აქვს, სრულყოფილი სამეცნიერო აპარატი დანართებით, შენიშვნებით. ნაშრომს უძღვის შესანიშნავი გამოკვლევა-წინასიტყვაობა, რომელშიც დასმულია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქართული საარაინდო რომანის და, კერძოდ, „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობის დროის, ავტორობისა და ადგილის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლის შესწავლა, თვით ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც მრავალი მიზეზის გამო, ისეთი გზით წარიმართა, რომ იმთავითვე საკამათო გახდა ნაწარმოების ქართული ეროვნული ორიგინალური წარმოშობის თეზა. მ. ბროსედან და ნ. მარიდან მოყოლებული „ამ რომანის ეროვნულ და უცხო წარმოშობის თვალსაზრისთა ბრძოლა ქართული მწერლობის ისტორიაში მთელ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა და დაკავშირებული იყო ქართული კულტურის წარმოშობის, მისი დამოუკიდებელი გაგების, მისი ძირების მონახვის, კერძოდ კი ქართული მწერლობის საერთო საკითხების გადაწყვეტის ცდებთან, იმ ამოსავალი დებულების მონახვასთან, რომ ქართულ შემოქმედებას ყველა მის გამოხატულებაში ეროვნული მნიშვნელობა და გააზრება ჰქონდა თუ ეპიგონური იყო“ (იუსტ. აბულაძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, კ. დონდუა, დ. კობიძე, მ. ჩიქოვანი, შ. ნუცუბიძე, დ. ლანგი)“[7]. რ. სტივენსონი „ამირანდარეჯანიანის“ ქართულ-ეროვნულ საფუძვლებზე წარმოშობის თემის მიმდევარია. თავისი მოსაზრებანი ქართული ლიტერატურის ამ ერთ-ერთი კარდინალური საკითხის გადაწყვეტად მან დაბეჯითებით დაადასტურა ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში. „ამირანდარეჯანიანის“ სპარსულად მიჩნევის საკითხი ერთხელ კიდევ წამოიჭრა ამ ძეგლის სტივენსონისეული თარგმანის გამოცემასთან დაკავშირებით დ. ლანგსა და მერედით-ოუენსის რეცენზიაში „ამირანდარეჯანიანი“ — ქართული საარაინდო რო-

---

[6] „Amiran-Darejaniani“, A cycle of Medieval Georgian tales traditionally ascribed to Mose Khoneli. Translated by R. H. Stevenson, Oxford, Oxford University press, 1958, XXXIII, 240 p.

[7] გ. იმედაშვილი, „ამირანდარეჯანიანი“, წიგნში „ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966, გვ. 53.

მანი დ მისი ინგლისური თარგმანი"[8]. „ამირანდარეჯანიანში" სპარსული წარმოშობის თეორიის ამოტივტივება, ალბათ, უფრო იმ გარემოებამ განაპირობა, რომ დ. ლანგმა ბოდლეს ბიბლიოთეკაში მიაკვლია „ამირანდარეჯანიანის" დედნად მიჩნეულ „ყისაი ჰამზას" ტექსტის უცნობი ქართული თარგმანის გვიანდელ რედაქციას და ამან მას, ტექსტების შეჯერების საფუძველზე, თითქოს, უფრო მეტი საფუძველი მისცა განევითარებინა თავისი თეორია. მეორეც, დ. ლანგი და მერედით-ოუენსი არ დაეთანხმნენ ქართველ მეცნიერებს და მათ კვალზე — არც სტივენსონს იმაში, რომ, მართალია, თხზულებაში საგრძნობია სპარსული ნაციონალური ტენდენციის კვალი. მოსე ხოზელი, გამორიცხული არაა, იცნობდა „ყისაი ჰამზას" ტექსტს და შეეძლო ესარგებლა მისი ამა თუ იმ მოტივით და ეპიზოდით; ფაქტია, ქართული თხზულების გმირი ატარებს „ყისაი ჰამზას" ხასიათის არაერთ თვისებას, მაგრამ რომანი ქართული ცხოვრებისა და იდეალების გამოხატულებაა და იგი აუცილებლად უნდა იქნეს გააზრებული ეროვნული საფუძვლებით. ცხადია, ისეთი დიდი კულტურულ-ისტორიული მოვლენის კვლევა-ძიება, როგორიცაა ეროვნული ეპოსის გენეზისის საკითხი, არ შეიძლება მხოლოდ ქართული და სპარსული ლიტერატურების შედარების გზით გამოვლინდეს. ეს საკითხის გამარტივება, გაუბრალოება და შეზღუდვა იქნებოდა. თუ ავტორის ჩანაფიქრი იყო ეროვნული ხასიათისა და მნიშვნელობის გმირის სახის დახატვა და ეს სახე, უდავოდ, ამირან დარეჯანის ძეა, მაშინ თხზულების ძირითადი იდეის გასაგებად საჭიროა იმ პლასტების არსებობის დადასტურება, რომელიც მხოლოდ ქართული სინამდვილის ფაქტებით აიხსნება. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია შევხედოთ „ამირანდარეჯანიანს" ერთი მხრივ, როგორც რაინდული იდეალებისა და სახეების მიხედვით შექმნილ ეროვნულ ძეგლს, და, მეორე მხრივ, ნაწარმოებს, რომელსაც საგმირო-საფალავნო-სარაინდო რომანის ჟანრის ყველა სტერეოტიპული მოტივი, მისწრაფება ძალ-ღონის სტიქიის გაიდეალებისაკენ, ომის ტრფიალი, ლაშქრობანი, ორთაბრძოლები, კვლა, ჰიპერბოლიზებული სისხლის ღვრა, ნგრევა და ბევრი სხვა რამ ახასიათებს, სწორედ მაშინ დავინახავთ მასში ისეთ შრეებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, „უცხო ტენდენციის" მატარებელია, მაგრამ ჟანრის ფარგლებში ზის და მეტ-ნაკლებად მის კანონებს ემორჩილება. ამ თვალსაზრისით, უდავოდ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ

---

[8] D. M. Lang and G. M. Meredith-Owens, Amiran-Darejaniani, A Georgian Romance and its English rendering, „Bulletin of the school of Oriental and African studies", University of London, 1959, vol. XXII, 3, p. 454—490.

„რაინდის აღნიშნულ თვისებებში რომელიმე ეროვნების, ამ შემთხვევაში კი მხოლოდ ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი შეიძლება ძნელად გამოიკვეთოს, რამდენადაც რაინდული ყოფა თავისი იდეალებით შუა საუკუნეთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის საერთოდ გავრცელებული თემების წყაროა. ამიტომ აქ ძნელია ყოველი ცალკეული მოტივის პირველი ადგილსამყოფელის ზუსტი განსაზღვრა, როგორც ეს ხერხდება ზოგი სპარსული, ანდა ქართული ლიტერატურული თუ ისტორიული სინამდვილით დამოწმებული მოტივის მიმართ. მაგრამ ხალხის საზოგადოებრივ გემოვნებაში ეს იდეალები და მოტივები თავისებურ ფორმაშია გადატეხილი და ეროვნული სახეებისათვის წარმოქმნილი“[9]. თუკი სტივენსონის მიერ დამოწმებულ სტენდალის უკანასკნელი გამოთქმის სიმართლეს დავიჯერებთ, რომ „არაბი ბედუინის მოშავო კარავში უნდა ვეძებოთ ნიმუში და სამშობლო ჰეშმარიტი სიყვარულისა“[10], მაშინ აქედან ბევრი საგულისხმო დასკვნის გაკეთება შეიძლება. თავისთავად ცხადია შუა საუკუნეების ევროპული სარაინდო რომანის ძირითადი პერსონაჟი, თავგადასავლების მაძიებელი მოხეტიალე რაინდი, ბევრით იქნება დავალებული სწორედ სპარსი თუ არაბი რაინდებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებისაგან. ამიტომაც, თუ ზოგადად ავიღებთ რაინდის სახეს ლიტერატურაში და თვალს გავავლებთ მისი, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის ევოლუციას, დავინახავთ, რომ რაინდის სქემაში იმდენად ბევრი საერთო ნიშან-თვისებაა და იმდენად მეორდება საგმირო საქმეთათვის დამახასიათებელი მოტივები და თემები, რომ მხოლოდ გავლენებზე ლაპარაკი საკითხის გამარტივება იქნებოდა. რაინდის სახის გაგება, უდავოდ, ატარებს თავის თავში ზოგადკაცობრიულ ნიშნებს და ამიტომაც საგმირო-სარაინდო რომანის ჟანრს ეს უზოგადესი ნიშნები, რა თქმა უნდა, გააჩნია.

ამ თვალსაზრისით, სრულიად სამართლიანია რ. სტივენსონის არგუმენტი შუა საუკუნეების რომანში „ორიგინალურისა“ და „ნასესხები“ მოტივების თუ „თარგმანის“ რაობის შესახებ. როცა მეცნიერი ეკამათება ნ. მარს იმის თაობაზე, არის თუ არა „ამირანდარეჯანიანში“ მკვეთრად გამოხატული სპარსული ტენდენცია, პირველ რიგში, ცდილობს გაარკვიოს, თუ რა მიაჩნია მარს ამ ტენდენციის გამოხატულებად რომანში. პირველი ის არის, რომ ამირანი და სეფე-

---

[9] გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.

[10] R. H. Stevenson, A Georgian Amour Cortois. (Proceedings of the twentieth International Congress of Orientalists, Cambridge, August, 1954), London, 1957, p. 154—155. ტექსტების მოკლე შინაარსი ქართულად თარგმნა ა. გამყრელიძემ (ი. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. კემბრიჯელი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნისა“ და პროვანსული პოეზიის შესახებ, „ცისკარი“, 1957, № 3).

დავლე სპარსელები არიან და ხაზგასმულია სპარსეთის უპირატესობა სხვა ქვეყნების წინაშე, ამირანს არასოდეს გაულაშქრია სპარსეთის წინააღმდეგ. მეორე არგუმენტია ის, რომ, როცა ნოსარ ნისრელი დევთა ქალაქში ხვდება ორპირიან კაცს, რომელსაც ერთი პირი შავი ჰქონდა და სპარსულად ლაპარაკობდა, მეორე კი წითელი, მაგრამ მისი ნალაპარაკევი არავის ესმოდა, ნოსარმა მხოლოდ სპარსული იცოდა და ორპირიანი კაცის ნაამბობი კარგად გაიგო. გმირების სახელების სპარსული წარმომავლობა, შეწირულება მიზგითში, ამირანის მრავალცოლიანობა და კიდევ სხვა საბუთები აფიქრებინებდა მეცნიერს, რომ ქართული თხზულება სპარსული ტენდენციების ისეთი დოზით შემცველია, რომ მისი ორიგინალურ ნაწარმოებად გამოცხადების საფუძველი ნაკლებად არსებობდა.

ნ. მარის ამ მოსაზრებათა კრიტიკულ განხილვას რ. სტივენსონმა დაუპირისპირა ის არგუმენტი, რომ „ამირანდარეჯანიანის“ მარისეული ინტერპრეტაცია შუასაუკუნეობრივი რომანის ბუნების ამახსნელად არაერთ ხარვეზს შეიცავდა, რადგანაც „XII საუკუნის სამყაროში თანამედროვე ანტითეზა „ორიგინალური თხზულება“ და „თარგმანი“ არავითარ მნიშვნელობას არ შეიცავდა. თხზულებები ალექსანდრეზე. „ვარლამი და იოსაფატი“ ან „ტრისტანი და იზოლდა“, მრავალნაირ ცვლილებებს განიცდიან სხვადასხვა ევროპულ ენებზე. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ყველაზე უკეთ ამ მშვენიერი და რომანტიკული მოთხრობების მოქმედება შორეულ ქვეყნებში ვითარდება. ასე მაგალითად, „წყაროებისაგან დამოუკიდებლად, ბეოვულფის ავტორი მთავარ პერსონაჟს საგმირო საქმეების ჩასადენად აგზავნის დანიასა და შვეციაში, ნიზამი კი ლეილასა და მეჯნუნს ბედუინებთან წაიყვანს. ხონელის „სპარსეთსა“ და „ბაღდადს“ რაღაც საერთო აქვთ არტურის ციკლის რომანების კრეტიენ დე ტრუას ავტორის „ბრიტანეთსა“ და „უინჩესტერთან“, კრეტიენი თავისი შთაგონების სათავეს ხედავდა inatiere de Bretane-ში, რომლის წყაროს ჯეფრი მონმაუტის Historia Regum Bretannica წარმოადგენდა. მაგრამ არავინ უარყოფს, რომ ფრანგი რომანისტი მხატვარი შემოქმედია, ეს არც ხონელთან უნდა დაგვავიწყდეს“[11].

ამ თვალსაზრისით, საჭიროა უფრო დაწვრილებით შევეხოთ, ერთი მხრივ, „ამირანდარეჯანიანის“ სტივენსონისეულ გამოკვლევას, მეორე მხრივ, ინგლისელ და ქართველ მეცნიერთა შორის გამართულ დისკუსიას „ამირანდარეჯანიანის“ ავთენტიკურობის საკითხებზე.

რ. სტივენსონის წინასიტყვაობა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი

---

11 იხ. რ. სტივენსონის წინასიტყვაობა „ამირანდარეჯანიანის“ თარგმანზე, გვ. 19.

მნიშვნელოვანი ნაშრომია „ამირანდარეჯანიანზე“ დაწერილ გამოკვლევათა შორის. მას ეს ძეგლი მიაჩნია ქართული მწერლობის გარკვეულ მიღწევად. ამიტომაც იწყებს წინასიტყვაობას მ. ბროსეს სიტყვებით: „ეს არის რომანი პროზად, მოსე ხონელის მიერ ძველ ქართულად დაწერილი. მშვენიერი ნაწარმოებია. შედგება თორმეტი კარის ან ზღაპრისაგან და ეწოდება „ამირანდარეჯანიანი“. ამირანის მთავარი პერსონაჟი, რომელიც წარმოშობით ბაღდადიდანაა და მამაცი გმირია, მრავალ საგმირო საქმეს ჩაიდენს და ბევრ ომში მიიღებს მონაწილეობას, რაზედაც მწერალი დაწვრილებით მოგვითხრობს... მოსე ხონელი... იყო მდივანი ბრწყინვალე თამარ მეფისა, გიორგი III შვილისა, რომლის სახელიც უკვდავია!...“[12] როგორც სტივენსონი განმარტავს, 1838 წელს მარი ბროსემ აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა „ამირანდარეჯანიანს“ და ევროპელ მკითხველს პირველი ცნობა მიაწოდა შუასაუკუნეობრივი ცივილიზაციის ერთერთ ადრეულ ძეგლზე. სტივენსონის წინასიტყვაობა, რომელიც 9 ქვეთავისაგან შედგება, ამ ძეგლის გარშემო არსებული ყველა შეხედულების კრიტიკულ განხილვას შეიცავს და მეტყველებს მეცნიერის დიდ ერუდიციასა და განსწავლულობაზე, ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი საკითხების ღრმა ცოდნასა და მის დიდ შემოქმედებით უნარზე.

ბროსეს პირველმა გამოკვლევამ „ამირანდარეჯანიანზე“ ის როლი ითამაშა, რომ ბრიტანთის ენციკლოპედიის (1856) მერვე გამოცემაში უკვე გაჩნდა ცნობა ამ თხზულების შესახებ „ქართველები... დღესაც დიდად აფასებენ... „ამირანდარეჯანიანის“ (The Georgians .....stili hold in high estimation Amiran Darejaniani), მაგრამ სტივენსონი მართებულად მიუთითებს, რომ ბროსეს სტატიამ ვერ შეძლო რაიმე რეალური მეცნიერული ინტერესის გამოწვევა აღნიშნული ძეგლით. ამ სტატიიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ ინგლისურ ენაზე ინგლისელი მწერლის მიერ დაიწერა გამოკვლევა „საქართველოს ენა და ლიტერატურა“, სადაც „ამირანდარეჯანიანი“ ნახსენებიც არაა. სტივენსონი აქ მიანიშნებს ქართველოლოგის, უილიამ მორფილის წიგნზე „ქართული ენა და ლიტერატურა“, რომელშიც ქართული ლიტერატურული უმთავრესი ძველი ძეგლების მიმოხილვაა მოცემული და „ამირანდარეჯანიანი“ მართლაა გამორჩენილი, მაგრამ თხზულება ამ დროს საქართველოშიც კი არ იყო გამოცემული და, როგორც სჩანს, მორფილმა ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროსაც კი ვერ მიიღო ვერავითარი ინფორმაცია ამ ძეგლზე. „ამირანდარე-

---

[12] M. Brosset. „Notice litteraire sur quelques auteners georgiens“ Nouveau Journal asiatique. XIV, Paris, 1834, pp. 145—146.

ჯანიანის“ პირველი გამოცემა სრული სახით განახორციელა ზ. ჭიჭინაძემ 1896 წელს, რომელსაც კორნელი კეკელიძემ არაკრიტიკული უწოდა სამეცნიერო აპარატის უქონლობის გამო, ხოლო სტივენსონი აღნიშნავს, რომ ზ. ჭიჭინაძეს არა აქვს აღნიშნული რომელ ხელნაწერს ეყრდნობა მისი გამოცემა[13], რადგანაც სხვა ხელნაწერები შეიცავენ დამატებით ორ თავს: „ჯიმშერ ხაზართა მეფის დილარის შვილისა“ და „ჯიმშერის შვილის, ჯიმშერ არმოკლას, და მზეჭაბუკისა“. სტივენსონი ქართველ მეცნიერთა კვალდაკვალ ფიქრობს, რომ ამ ორ ამბავს „ამირანდარეჯანიანის“ თხრობასთან საერთო არაფერი აქვს. უფრო ზუსტად ეყრდნობა მარი ბროსეს, რომელსაც „ჯიმშერის შვილის ამბავი“ დანართად მიაჩნია და თავის ვარიანტში არ შეუტანია. ინგლისელი მეცნიერი აკრიტიკებს ზ. ჭიჭინაძის გამოცემას, გრძნობს და ესმის მისი ყველა ნაკლოვანება, და ამიტომაც დანანებით წერს: „შემთხვევითი კომენტარების გარდა, მას არ გააჩნია არავითარი კრიტიკული აპარატი... ტექსტი სავსეა აურაცხელი სინტაქსური შეცდომებით, დამახინჯებული ფორმებით და აუტანელი ორთოგრაფიით, პუნქტუაცია კი სრულიად ქაოტურია. და მაინც ეს ცუდი გამოცემა იძულებით დაედო ჩვენს თარგმანს საფუძვლად, რადგანაც ს. კაკაბაძის 1935 წლის გამოცემა ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა“[14]. დანანებია, რომ ქართული მასალები დროზე ვერ მიაწოდეს და ძალაუნებურად თარგმანში დედნის ბევრი შეცდომა განმეორდა.

წინასიტყვაობაში სტივენსონი მსჯელობს აგრეთვე „ამირანდარეჯანიანისა“ და ხალხური „ამირანის“ ურთიერთმიმართების თაობაზე, ასკვნის, რომ მათ შორის უსათუოდ არის შეხების წერტილები. მაგრამ ურთიერთმიმართების გამოკვლევა ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის დამატებად აღიქმებოდა. ეს პრობლემა კი, მეცნიერის აღნიშვნით, ძეგლის ორიგინალურობის საკითხია.

სწორედ ამ პრობლემის კვლევა არის სტივენსონის წინასიტყვაობის ძირითადი ქვაკუთხედი. ცნობილია, რომ ამ საკითხზე სამი სხვადასხვა მოსაზრება არსებობდა და ისინი თავის დროზე კ. კეკელიძემ მიმოიხილა და შესაბამისი დასკვნები გააკეთა[15]. სტივენსონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი შესანიშნავად იცნობს ქართულ მასალას, გვაძლევს ამ საკითხზე არსებულ ქართულ თუ უცხოურ გა-

---

13 გარკვეულია, რომ ზ. ჭიჭინაძემ ტექსტის გამოსაცემად გამოიყენა ერთერთი გვიანდელი, XIX საუკუნის, დამახინჯებული ნუსხა (S-1119). (იხ. მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1967).

14 იხ. სტივენსონის დასახელებული წინასიტყვაობა.

15 კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.

მოკვლევათა კრიტიკულ ანალიზს და ნელ-ნელა კვეთს თავის პოზიციას.

ზ. ჭიჭინაძესა და მ. ჯანაშვილს „ამირანდარეჯანიანი“ ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნდათ და ფიქრობდნენ, რომ აქ ალეგორიულ-იგავურად არის წარმოდგენილი საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა არაბ-სპარს-თურქებთან სჯულისა და თავისუფლებისათვის. თუმცა, აღნიშნავს კ. კეკელიძე, ისინი ამის არავითარ დამამტკიცებელ საბუთს არ იძლეოდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ა. გრენმა და შემდეგ ა. ხახანაშვილმა ეს ძეგლი ნახევრად ორიგინალურ, ნახევრად ნათარგმნ თხზულებად მიიჩნიეს. ზოგიერთი ეპიზოდი პირდაპირი თარგმანიც კი ეგონათ. მესამე შეხედულება, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხი, ეკუთვნოდა ნ. მარს[16]. თავისი შეხედულების ყველაზე ძლიერ არგუმენტად მარს მიაჩნდა ბაგრატ-მუხრანბატონის ანტიმაჰმადიანურ თხზულებაში „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთა“ გატარებული აზრი: „ისმაიტელნი გამოვიდეს და იყვნეს ყოველნივე ერთბაშად მესისხლენი, მტაცებელნი, მემრუშენი, მეშფოთენი, მპარავნი და ყოვლადვე უპოვარნი, რა მეთუ წიგნი იგი, რომელსა ყისაი ჰამზად უწოდენ სარკინოზნი, ამათ ისმაიტელთა ცხოვრება არს, და მის წიგნისაი მცირედი რა მე თარგმანებიც არს ენასაცა ზედა ჩუენსა ქართულს გარეშეთა კაცთა მიერ, რომელსა დარეჯანიანად უწოდენ, და არა თუ ეგევითარითა სიმხნითა ახოვან იყვნეს, ვითარცა მოგვითხრობს ჩუენ წიგნი იგი, არამედ მით მიერითა ზღაპრობითა განვრცელობით აღუწერიესთ მოთხრობაი იგი“. მარის ამ მოსაზრების მცდარობა თავის დროზე დაამტკიცეს. კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ ბაგრატ-მუხრანბატონის მიერ მოტანილი ცნობა დიდი ძალის შემცველი იქნებოდა, რომ იგი სიმართლეს შეესაბამებოდეს. ალ. ბარამიძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ ცნობის შემოწმება „ამირანდარეჯანიანის“ „ყისაი ჰამზასთან“ უშუალო შედარებით. „ამ შედარებამ წათელყო, რომ ამ ორ თხზულებას შორის არ არსებობს არავითარი ნათესაობა, არც შინაარსობრივი. არც იდეური, არც კომპოზიციური. ეს ორი სხვადასხვა სადევგმირო თხზულებაა, „ყისაი ჰამზა“ „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალადაც ვერ ჩაითვლება“.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში იმთავითვე იქნება დამტკიცებული, და საკმაოდ საფუძვლიანადაც, რომ აღნიშნული თხზულება ორიგნალურია და ქართულ ცხოვრებას ემყარება, თხზულების სპარსულობის თეზას ბევრი მიმდევარი

---

[16] Персидская национальная тенденция в грузинском романе „Амиран-Дареджаниани“, Ж МН (Просвещ., 1895, VI).

გამოეხმაურა უცხოეთში. ნ. მარის მოწაფე, ამერიკელი ორიენტალისტი რ. ბლეიკი, რომელსაც სტივენსონი მისი წინა თაობის ინგლისელ ქართველოლოგთა შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად თვლის, ფიქრობდა: „უეჭველია, რომ ეს ძეგლი თუ სიტყვასიტყვით თარგმანი არა, ყოველ შემთხვევაში სპარსული ორიგინალის ადაპტაცია მაინც არის“[17]. უცხოელთა შორის სტივენსონი ასახელებს აგრეთვე ჟ. კარსტსა და ბლაიხშტაინერს, რომელნიც მეტ-ნაკლებად ემხრობოდნენ მარის თეორიას.

იმ დროისათვის, როცა სტივენსონი „ამირანდარეჯანიანზე“ გამოკვლევას წერდა და ამ ძეგლს ინგლისურ ენაზე აითარგმნიდა (1951-1958), ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, თითქოს, ძეგლის ორიგინალურობის საკითხი საკამათო აღარ იყო და, როცა დ. ლანგმა ძველი თეორიები კვლავ წამოატივტივა, ალ. ბარამიძე სინანულით წერდა: „მათ ამ მოზრდილ სტატიაში დასვეს პრინციპული ხასიათის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი და თითქოს უკვე დამტკიცებული საკითხი ისევ სადავო გახდა. ჩვენი ნარკვევი თავის დროზე მიჩნეულ იქნა „მეორე ახალ პერიოდად“ ამირანდარეჯანიანის კვლევის ისტორიაში აკად. ნ. მარის შემდეგ. ამ ნარკვევმა ნებსით თუ უნებლიეთ პირველმა შეარყია ამირანდარეჯანიანის სპარსულობის თეორია და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა იგი“. ამის შემდეგ ბევრმა მკვლევარმა გადასინჯა თავისი დებულება. „აწინდელი გავრცელებული შეხედულებით, — აღნიშნავდა ალ. ბარამიძე, — „ამირანდარეჯანიანი“ მიჩნეულია სიუჟეტის მხრივაც ორიგინალურ თხზულებად“[18]. გავრცელებულ შეხედულებაში ალ. ბარამიძე, უთუოდ, გულისხმობდა იმას, რომ მისმა თვალსაზრისმა თავისი გამოხატულება ჰპოვა „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, რომელსაც თავის მხრივ, დაეყრდნო რ. სტივენსონი. აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოება, რომ სტივენსონი ძეგლის ორიგინალურობის თეზას და მისი, როგორც ნათარგმნი ძეგლის, საწინააღმდეგო არგუმენტებით მტკიცებას უდგება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან და ამის შესახებ წერს კიდევაც თავის წინასიტყვაობაში[19]. ეს ნიშნავდა მკვლევრის მიერ სარაინდო რომანის საერთო სქემაში ქართული ძეგლის ადგილის მოძებნას, და, მიუხედავად უცხო გარემოსი და გმირთა უცხო წარმომავლობისა, იმ პლასტების

---

17 R. P. Blake, Georgian Secular Literature, Harvard Studies and Notes in Philosophy and Literature, XV, 1933.

18 ალ. ბარამიძე, ამირანდარეჯანიანის გარშემო, წიგნიდან „ძველი ქართული მწერლობის პრობლემები“, თბ., 1980, გვ. 270.

19 იხ. მისი წინასიტყვაობა.

მონახვას, რომლითაც „ამირანდარეჯანიანი“ თავისი ძირებით ებჯინება როგორც ხალხური შემოქმედების ღრმა წყაროებსა და ფანტაზიას, ისე პიროვნული შემოქმედების გემოვნებას, რომლის ბრძნებში ის საბოლოოდ იღებს დასრულებული ეპიკური თხზულების ფორმას“. ამ თვალსაზრისით, სტივენსონმა არ გაიზიარა მარის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ნაწარმოების მთელი სიუჟეტი უცხო გარემოში ვითარდება, პერსონაჟები ბაღდადის ხალიფას ვასალები არიან, ბევრი სახელი ნაწარმოებში სპარსული წარმომავლობისაა და ა. შ.

სტივენსონის აზრით, მოყვანილი საბუთები მხოლოდ ტექსტის ემპირიული მასალის ინტერპრეტაციით შეიძლება იყოს მართალი. ამირანი წარმოშობით ბაღდადიდანაა, საერთო გარემო სპარსულია. „მაგრამ არავის სერიოზულად არ უფიქრია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არაბული ან ინდური წყაროებით განეხილა, იმის გამო, რომ მოქმედი პირები წარმოშობით ამ ქვეყნებიდან არიან და. მიუხედავად პროლოგიდან გამომდინარე სრულიად ნათელი განცხადებისა. რომ ეს „სპარსული ამბავია“, რუსთაველის პოემა ყველას მიერ აღიარებული ქართული ნაწარმოებია. ამირანის მიერ რამდენიმე ცოლის შერთვის გამო მოყვანილი დასკვნები, ორმაგად არის მცდარად გაგებული. ჯერ ერთი, ამირანის მრავალცოლიანობა რომ ვაღიაროთ, სპარსული ფონისათვის ეს სრულიად მისაღები იქნებოდა. მაგრამ ეს რამდენიმე ქორწინება სწორედ ტექსტის ყოველ თავგადასავალში ამირანს დამოუკიდებელ პერსონაჟად წარმოგვიდგენს. ყველა შემთხვევაში ამირანი ცოლს, თითქოს, პირველად ირთავს“[20]. სტივენსონს მარის არგუმენტები შუასაუკუნეობრივი რაინდული რომანის სპეციფიკის გაუთვალისწინებლობის შედეგად მიაჩნია. მაგრამ არც იმას უარყოფს, რომ ქართული ძეგლი, უდავოდ, შეიცავს სპარსულ ელემენტებს და მას ეტყობა მეზობელი ლიტერატურის კვალი. ასეთ ერთ ერთ ძლიერ კვალად მკვლევარს „შაჰ-ნამეს“ გავლენა მიაჩნია და მსჯელობს კიდეც ამის შესახებ, მაგრამ იქვე იმასაც მიუთითებს, რომ ეს კვალი შორს მიმავალი კონცეფციების ასაგებად ვერ გამოდგება და იმ ტრადიციის ფარგლებში რჩება, რასაც საერთოდ სპარსული ელემენტი წარმოადგენდა ქართული ლიტერატურისათვის.

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ სტივენსონი „ამირანდარეჯანიანს“ შუა საუკუნეების ქართული ზღაპრების ციკლს უწოდებს და დიდ

---

20 იხ. დასაბელებული წინაპიტყვაობა. სტივენსონის ეს დასკვნა უსათუოდ მართებულია, რადგანაც „ამირანდარეჯანიანს“, როგორც ციკლური აგებულების ნაწარმოებს, ფაბულის მთლიანობა არ ახასიათებს და ცალკეულ კართა ამბებიც ერთგვარად დამოუკიდებელ ელფერს ატარებენ. ამიტომაც სიუჟეტის მაგისტრალური ხაზები და მასში შემავალი სხვადასხვა ეპიზოდები სხვადასხვა გმირთა დამოუკიდებელ ისტორიებს შეიცავენ.

ადგილს უთმობს თავის გამოკვლევაში ხალხური „ამირანისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ მიმართებას, რამდენადაც ამ მიმართების ხასიათი ან დრო გამოურკვეველია, ძნელია რაიმე საერთო მახასიათებელი გამოიყოს, უფრო პერსონაჟთა სახელების მიხედვით შეიძლება რაიმე საერთო ელემენტის მოძიება. სტივენსონი მაინც ახერხებს ნათესაური და განმასხვავებელი ნიშნების დადგენას და ემიჯნება დავით ლანგის თვალსაზრისს—უარყოს ხალხური ამირანის ლეგენდის მნიშვნელობა „ამირანდარეჯანიანისათვის“. აქ უკვე მივადექით იმ საკვანძო საკითხს, რის გამოც დავით ლანგი და ლანგის რეცენზიის საფუძველზე მთელი პლეადა ქართველი მეცნიერებისა გამოეხმაურა ძეგლის ინგლისურ ენაზე გამოსვლას და გაიმართა პოლემიკა „ამირანდარეჯანიანის“ გარშემო.

სანამ დ. ლანგისა და გ. მერედიტ-ოუენსის რეცენზიას დაწვრილებით შევეხებოდეთ. საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ ის წერილები, რომლებიც საქართველოში და უცხოეთში ამ თარგმანთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა რეცენზია, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, პარიზულ ქართველოლოგიურ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ დაიბეჭდა (დ. ლანგისა და გ. მერედით ოუენსის წერილი კი გამოქვეყნდა აღმოსავლური და აფრიკული ლიტერატურების შემსწავლელ ბიულეტენში). სტივენსონის აღნიშნული თარგმანის გამოცემის შემდეგ, 1959 წელს ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ გაჩნდა ინფორმაცია „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისურად გამოცემის შესახებ. აქვე ნათქვამი იყო იმის თაობაზე, რომ ამ ძეგლის სადაურობაზე გამართულია პაექრობა საქართველოშიც და უცხოეთშიც. კერძოდ, მითითებული იყო: „რ. სტივენსონმა, „ბედი ქართლისას“ უახლოესმა თანამშრომელმა, გამოსცა შუა საუკუნეების ქართული ზღაპრების ციკლი. ამ თარგმანის გამოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში“[21].

ამ სარედაქციო შენიშვნის შემდეგ ჟურნალში შემოკლებით არის დაბეჭდილი შალვა ნუცუბიძის რეცენზია „ამირან-დარეჯანიანზე“, რომელიც გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში“ 1959 წელს[22]. შალვა ნუცუბიძე მაღალ შეფასებას აძლევს რობერტ სტივენსონის მიერ ჩატარებულ საკვლევაძიებო სამუშაოებს და მიუთითებს, რომ ინგლისელი მეცნიერი ქართველთათვის ამ მეტად მტკივნეულ საკითხს იკვლევს ფაქიზად, გულმოდგინებით, ფაქტებზე დაყრდნობით. კერძოდ, შ. ნუცუბიძე აღნიშნავს: „რ. სტივენსონი დიდ ყურადღებას უთ-

---

21 „Bedi Kartlisa“, 1959, No. 32—33, VI—VII.

22 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, „ლიტ. გაზეთი“ „ამირან-დარეჯანიანის თარგმანის გამო“, 1959, № 31.

მობს იმ ქართველ მეცნიერთა პოზიციას, ვინც ნიკო მარს ეკამათებოდა. ის ამ თვალსაზრისებს ერთმანეთს უპირისპირებს და არა მარტო მთლიანად მოიცავს ამ კამათს, არამედ აფასებს მის მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის". შ. ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ სტივენსონი ყურადღებით გაცნობია მის შრომასაც (იგულისხმება შ. ნუცუბიძისა), რომელიც ქართველმა მკვლევარმა წარუმძღვარა „ამირანის" რუსულ თარგმანს, მაგრამ, სამწუხაროდ, ინგლისელი მკვლევარი არ იცნობს შ. ნუცუბიძის შრომას ამირანზე, რომელიც დაიბეჭდა „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში" (ტომი I). მიუხედავად ამისა, შ. ნუცუბიძის დასკვნით, რ. სტივენსონი ძირითად ფაქტებს სწორად აფასებს.

შ. ნუცუბიძე საგანგებოდ არის დაინტერესებული იმ ფაქტით, რომ უცხოელ მკითხველამდე სწორად მივიდეს ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი საკითხები და ლიტერატურათმცოდნეობაში გამართულმა პაექრობამ არ გამოიწვიოს ევროპელი მკითხველის დეზორიენტაცია. კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ მთავარი საკითხია — „როდის არის დაწერილი (თუ ჩაწერილი) „ამირან-დარეჯანიანი" მოსე ხონელის მიერ. ამისათვის საჭიროა გაირკვეს ის ლიტერატურული მითითება, რომელიც გვხვდება რუსთაველის პოემის უკანასკნელი სტროფის პირველ პწკარში, სადაც ნათქვამია: „ამირან-დარეჯანის ძე, მოსეს უქია ხონელსა". მაგრამ სტივენსონის აზრით, ამას ხელს უშლის თვით რუსთაველის პოემის დაწერის დროის გაურკვეველობა და ეპილოგი, რომელშიც ეს პწკარია მოთავსებული. სტივენსონი იმასაც ფიქრობს, რომ შეიძლება ამ პწკარით ვინმემ მოინდომა დაემკვიდრებინა ერთგვარი ტრადიციულობა ამ ნაწარმოების ავტორობის საკითხისათვის. ამის შემდეგ სტივენსონი მაინც ფიქრობს, რომ „შესაფერი იქნება დავეთანხმოთ იმ თანამედროვე ქართველ მეცნიერებს, რომლებიც მოსე ხონელის ავტორობაზე დაბეჯითებით ლაპარაკობენ"[23]. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სტივენსონი იმ მოსაზრებას ემყარება, რომლის მიხედვით, ვეფხისტყაოსნის ეპილოგი და მისი უკანასკნელი სტროფიც არაა რუსთველისეულად მიჩნეული. საამისო საბუთები მას არ მოჰყავს და, ცხადია, საქართველოში არსებულ ზოგიერთ შეხედულებას ემყარება, რომლებიც, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულნი, დათვურ სამსახურს უწევენ რუსთველოლოგიას და მასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. უცხოეთში ასეთი დაუსაბუთებელი შეხედულებანი დეზორიენტაციას იწვევენ ისეთ ხალხშიც, რომლებიც გულწრფელად განწყობილნი არიან ქართული კულტურისა და მწერ-

---

23 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, „ამირან-დარეჯანიანის" ინგლისური თარგმანი, ლიტ. გაზეთი, 1959, № 21.

ლობის საკითხებს მიმართ. ამან გამოიწვია ის, რომ შ. ნუცუბიძეს დაებადა ლოგიკური სურვილი, დაეწერა სპეციალური წერილი, სადაც დაარწმუნებდა სტივენსონს, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დადგენილია, რომ ეპილოგის რუსთაველისათვის არმიკუთვნების საბუთები არ არსებობს და იგი არა მარტო მოსე ხონელის, თვით რუსთაველის ავტორებისათვის გადამწყვეტი საკითხია. შ. ნუცუბიძის ეს წერილი სწორედ ამ აზრის ხაზგასმით გადაიბეჭდა „ბედი ქართლისაში“ და, რა თქმა უნდა, მან თავისი როლი შეასრულა.

რ. სტივენსონის კვლევა-ძიების დამსახურებად შ. ნუცუბიძეს შემდეგი მიაჩნია: „სტივენსონს ყოველთვის დიდი მეცნიერული სიზუსტე ახასიათებს. ორიოდე მაგალითი თუნდაც სალიტერატურო კვლევის დარგში. ეხება რა იმ საკითხს, რომელ ლიტერატურულ ძეგლში ჰპოვა უკუფენა „ამირანდარეჯანიანის“ შექმნის ფაქტმა, სტივენსონი ცხადია, რუსთაველის უწინარეს ჩახრუხაძის „თამარიანზე“ ჩერდება. იხსენიებს რა დავით სოსლანის ძლიერებას, ჩახრუხაძის მიერ ნოსარისათვის მიმსგავსებას და შედარებისათვის ხმლოსანი ბადრის სახის გამოყენებას, სტივენსონი მაინც ფრთხილობს ამ მონაცემთა გამოყენების დროს. მართალია, მსჯელობს ავტორი, დავით სოსლანის სიკვდილის წელი — 1207 — თითქოს გამოდგებოდა იმის დასადგენად, რომ „ამირანდარეჯანიანი“ მანამდე უნდა შექმნილიყო, მაგრამ შესაძლოა ჩახრუხაძის თამარიანის მითითებანი პიროვნებათა დასახელებას შეიცავდეს და მათ შემცველ თხზულებას „ამირან-დარეჯანიანს“ სრულიადაც არ გულისხმობდესო“ (შ. ნუცუბიძეს მიაჩნია, რომ აქ სტივენსონთან კამათს აზრი არა აქვს. რადგანაც ეს გარემოება ცალკე, სისტემატურ აზრთა დაპირისპირებას და დასაბუთებას საჭიროებს, რაც პირველი შემთხვევის უმალ უნდა გაკეთდეს. აქ საინტერესოა იმ მეთოდისა და მიდგომის დახასიათება, რომლითაც სტივენსონი იკვლევს „ამირანდარეჯანიანთან“ დაკავშირებულ საკითხებს, იგი ფრიად კრიტიკულია და ობიექტური).

შ. ნუცუბიძე განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ სტივენსონს სწორად ესმის ძირითადი: საბელდობრ, ის, რომ „ამირანდარეჯანიანი“ შექმნილია ხალხური ძეგლის „ამირანიანის“ ნიადაგზე. რაც შეეხება იმას, რომ არის ეს ამირანი — პრომეთეს მომდევნო (პოსტპრომეთეან) თუ პირიქით, ამაში მკვლევარი ადვილად გაერკვევა, თუ ჩვენ შევძელით მასალის მიწოდება“.

სტივენსონის აზრით, „ამირანდარეჯანიანის“ შექმნის ეპოქა განუხრელად მიდის იმ კურტუაზიული სტილის შექმნისაკენ, რომელსაც მისი აზრით, ერთიანად მივყევართ რუსთაველის პოემამდე და ქრეტიენ დე ტრუას რომანამდე.

შ. ნუცუბიძის დასკვნა ასეთია: „რამდენადაც მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურისა და კულტურისათვის სტივენსონის პოზიცია, იმდენად ფასი ეძლევა მის მოსაზრებას. ღირსეული და მნიშვნელოვანია მის მიერ ინგლისურ ენაზე გულდასმით და საქმის ცოდნით თარგმნა... ნათელია, რომ „ამირან-დარეჯანიანის“ ინგლისური გამოცემის ავტორსა და მკვლევარს შეთვისებული აქვს კონცეპცია ქართული ლიტერატურული აღორძინებისა, რომელიც „ამირან-დარეჯანიანით“ იწყება და რუსთაველით თავდება, როგორც ეს დამუშავებულ იქნა ქართულ მეცნიერებაში. მიუხედავად ზოგიერთი ეჭვისა, რომელიც ნ. მარისა და მის მიმდევრებს რუსთაველის პოემის ეპილოგის ნამდვილობის უარყოფამ შეუქმნა ჩვენს ავტორს, მან მაინც შეძლო ამ ეჭვის გაფანტვა. დ. მ. ლანგის მიერ ქართულიდან თარგმნილ ჩვენს ძეგლს „სიბრძნე ბალავარისა“, თან მოჰყვა რ. სტივენსონის მიერ თარგმნილი „ამირან-დარეჯანიანი“. ორივე ძეგლის ინგლისურ ენაზე გამოცემას მარტო ის მნიშვნელობა კი არა აქვს, რომ მშვიდობიანი კულტურული თანამშრომლობის პირობებში დასავლეთში ჩვენი კულტურის ძეგლები ვრცელდება, არამედ იცის, რომ დასავლეთი, როგორც სტივენსონს კარგად აქვს ნაჩვენები, თავისი კულტურის აღმოსავლურ ძირებსაც ეცნობა“.

გარდა შ. ნუცუბიძის რეცენზიისა, „ბედი ქართლისამ“ კიდევ რამდენიმე წერილი უძღვნა სტივენსონის თარგმანს და „ამირანდარეჯანიანთან“ დაკავშირებულ პრობლემებს. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა რეცენზიებისა ასეთია: დ. ლანგი და მერედიტ ოუენსი — 1959 წელი. აზია-აფრიკის ჟურნალი; შალვა ნუცუბიძე და ალექსანდრე ბარამიძე, პასუხი ლანგისა და მერედიტ ოუენსის წერილზე ქართულ ჟურნალებში და შემდგომ შემოკლებით დაბეჭდილი 1960 წელს „ბედი ქართლისაში“; სერგეი სერებრიაკოვის წერილი 1960 წელს ჟურნალში „Проблемы Востоковедения“. 1960 წელს ჟურნალ მნათობის“ №4-ში მ. ჩიქოვანმაც დაბეჭდა რეცენზია და ბოლოს 1963 წელს „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნდა თამაზ ნასყიდაშვილის წერილი ფრანგულ ენაზე. 1964 წელს „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნდა აგრეთვე სერგეი სერებრიაკოვის წერილი „ამირანდარეჯანიანის“ გარშემო. ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალური წარმოშობის კონცეფციის თაობაზე და დიდი ხნის შემდეგ ეს საკითხი ქართველ მეცნიერთა სასარგებლოდ გადაწყდა. მაგრამ 1970 წელს დავით ლანგმა „ბედი ქართლისაში“ დაბეჭდა წერილი სათაურით „Popular and Courtly elements in the Georgian Epic“ (ხალხური და საკარო ელემენტები ქართულ ეპოსში), სადაც კვლავ დაბეჯითებით გაიმეორა თავისი აზრი „ამირანდა-

რეჯანიანის“ სპარსული წარმომავლობის შესახებ. „შუა საუკუნეების სარაინდო რომანს, რომელიც მოსე ხონელს მიეწერება, ძალიან მცირე მსგავსება აქვს ამირჯანის ხალხურ თქმულებასთან. მოსე ხონელის საკმაოდ მოსაწყენი თხზულება (production) უფრო მოგვაგონებს ხონელის თანამედროვე ანთარ და ამირ ჰამზას კომპილაციებს“[24]. ეს მცირე ამონაწერი კარგად მიუთითებს იმაზე, რომ დავით ლანგმა, საფუძვლიანი დასაბუთების მიუხედავად, არ გაიზიარა ქართველ მეცნიერთა მოსაზრება „ამირანდარეჯანიანის“ გენეზისის თაობაზე.

შ. ნუცუბიძის რეცენზიის მეტად კეთილგანწყობილი და მადლიერების გრძნობით აღსავსე ტონისაგან ერთგვარად განსხვავდება სერგეი სერებრიაკოვის რეცენზია, რომელშიც ავტორი რეცენზიისა ძირითადად იწონებს სტივენსონისეულ თარგმანს, თუმცა მიუთითებს ცალკეულ უზუსტობებზე, ჩრდილს რომ ვერ აყენებენ თარგმანს და რამდენიმე შენიშვნას გამოთქვამს სტივენსონის გამოკვლევასთან დაკავშირებით[25]. (აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ ს. სერებრიაკოვის ამ წერილს მოგვიანებით უპასუხა თვით სტივენსონმა რეცენზენტის დაუსახელებლად „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე სათაურით „To the editor“ (რედაქტორი), რომელშიც არ გაიზიარა ს. სერებრიაკოვის შენიშვნები).

საჭიროდ მიგვაჩნია, უფრო დაწვრილებით შევეხოთ ს. სერებრიაკოვის წერილს. სამართლიანად შენიშნავს რეცენზენტი, რომ დასანანია ის ფაქტი, რომ ეს ძეგლი დღემდე არ არის რუსულ ენაზე თარგმნილი. შუა საუკუნეების ერთ-ერთი უძველესი სარაინდო რომანის თარგმნა კი აუცილებელი საქმეა, მით უმეტეს, რომ რუსი ლიტერატურათმცოდნეები სარაინდო ეპოსს იკვლევენ, და, ბუნებრივია, ხშირად გვერდს აუვლიან ამ ძეგლს, იმის გამო, რომ თარგმანი არ მოეპოვებათ[26]. რეცენზენტი სტივენსონს საყვედურობს: „ძირითადად სტივენსონი საკითხებს სწორად იკვლევს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შეცდომებს უშვებს იმის გამო, რომ იგი საკმარისად არ იცნობს ქართველი ლიტერატურათმცოდნეების შრომებს. ასე მაგალითად, რ. სტივენსონი საკმაოდ კრიტიკულად უდგება „ამირანდარეჯანიანის“ სპარსული წარმომავლობის თეორიას მარმა რომ წამოაყენა და კეკე-

---

[24] P. M. Lang, Popular and Courtly elements in the Georgian Epic, „Bedi Kartlisa“, XXVII, 1970, p. 145.

[25] С. Серебряков, Проблемы Востоковедения, 1960, № 22.

[26] რუსულად „ამირანდარეჯანიანის“ ნაწყვეტები თარგმნა კ. დონდუამ. 1955 წელს გამოქვეყნდა ბ. აბულაძის სრული თარგმანი ამ ძეგლის რუსულ ენაზე. არსებობს ნ. მარისეული რუსული თარგმანიც, რომლის ხელნაწერი ლენინგრადში ინახება.

ლიძემ მხარი დაუჭირა, უფრო მეტიც, ამ თეორიას „მარ — კეკელიძის თეორიას“ უწოდებს. მაგრამ, როგორც ჩანს, რ. სტივენსონისთვის უცნობია მარის მიერ 1918 წელს გამოთქმული მოსაზრება: „В настоящее время у меня возникают сомнения относительно книжной повести „Амиран-Дареджаниан“: Не находится ли автор грузинской версии повести... под влиянием ходивших в грузинском населении влюбленных народных героических сказаниях“.

ავტორმა არ იცის, რომ მოგვიანებით ნ. მარმა საბოლოოდ უარყო ამ რომანის სპარსული წარმომავლობის თეორია, ხოლო კ. კეკელიძე არგუმენტირებული დასაბუთებით გამოვიდა რომანის ორიგინალურობასთან დაკავშირებით[27]. ვფიქრობთ, ეს შენიშვნა სწორია, მაგრამ სტივენსონი ამაზე დუმს (თუმცა დ. ლანგისა და გ. მერედითოუენსის თეორიები ნ. მარის ადრინდელი არგუმენტების მოშველიებით დასაბუთდა).

მეორე შენიშვნა, რომელიც სტივენსონს მისცა სერებრიაკოვმა, ეხება უახლესი არქეოლოგიური მასალების გაუთვალისწინებლობას. „ლიტერატურული ამირანის კავშირის მიმართების დადგენისას ამირანის ფოლკლორულ თქმულებასთან, რ. სტივენსონი იხსენიებს ბერძნულ მითს პრომეთეზე ადრე ნაცობი ძუნწი მასალების მიხედვით და მხედველობაში არ იღებს უახლეს მასალებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ავტორს არ გამოუყენებია ძვირფასი ფოლკლორული და არქეოლოგიური მასალები , რომლებიც ახალ შუქს ფენს ჯერ კიდევ სტრაბონის მიერ დაყენებულ პრობლემას“. ამ მეორე შენიშვნას თავად სტივენსონმაც გასცა ასეთი პასუხი: „თარგმანის შესავალ წერილში აღვნიშნე, რომ ამირანი იყო პირველყოფილი კავკასიელი ტიტანი, რომლის ყველაზე უახლოესი განსახიერება შეიძლება იყოს პრომეთე და მივუთითებდი, რომ „პრომეთეული“ ამირანი არის მრავალი ქართული და ოსური ზღაპრის გმირი. მაგრამ ამასთან ერთად არსებობს სხვა ციკლი ამირანისა, რომელსაც პრომეთეს საკითხთან ორგანული კავშირი არა აქვს... ჩვენ სწორედ მეორე ამირან-დარეჯანიანთან გვაქვს საქმე“.

ს. სერებრიაკოვის მესამე შენიშვნა ეხებოდა მეცნიერის მიერ სათარგმნელად არჩეულ 1896 წლის ზ. ჭიჭინაძის პირველ არაკრიტიკულ გამოცემას. დასკვნა. საბოლოოდ, ს. სერებრიაკოვისა დადებითია და თარგმანი რიგიანად მიაჩნია. ფიქრობს რომ დედნის სტილი

---

27 ნ. მარის მოსაზრებანი „ამირანდარეჯანიანის“ თაობაზე განხილულია შ. ჩიქოვანის წერილში „ნ. ი. მარი და „ამირან-დარეჯანიანის“ პრობლემა“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1945, ტ. VI, № 8.

შენარჩუნებულია, თუმცა დედნისეული კომპაქტურობა და ლაკონიურობა ზოგან დარღვეულია. მოჰყავს რამდენიმე მაგალითი.

მაგრამ ყველა ეს შენიშვა ეხება მხოლოდ ცალკეულ დეტალებს, თარგმანის საერთო შეფასება კი მაღალია. ამის შემდეგ ს. სერებრიაკოვი გადადის დ. ლანგისა და მერედით-ოუენსის რეცენზიაზე. მას ს. სერებრიაკოვი კრიტიკულს უწოდებს და მეცნიერთა მიერ დასმულ ორ ძირითად საკითხზე ამახვილებს ყურადღებას:

1. რა მიმართება არსებობს „ამირანდარეჯანიანსა“ და ამირანის თქმულებას შორის?

2. არის თუ არა მოსე ხონელი ქართველი ავტორი, თუ ის რომელიმე სპარსული რომანის, მაგალითად „ყისაი ჰამზას“. მთარგმნელი ინტერპრეტატორია?

რეცენზენტთა აზრით, ხალხური თქმულება ამირანზე წარმოიშვა მოსე ხონელის ნაწარმოების უშუალო გავლენით. სამართლიანად მიუთითებს, რომ ხალხში ასეთი დიდი ზეპირ- ციკლი რომ შეიქმნას, თავად ლიტერატურული ნაწარმოები ძალზე ძლიერი და შთამბეჭდავი უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვიქონიოთ ფოლკლორზე გავლენა. ხოლო არაერთხელ აღნიშნულა, რომ მოსე ხონელის თხზულება შედგება ერთმანეთთან ცუდად დაკავშირებული ცალკეული ფრაგმენტებისაგან. ინგლისელ რეცენზენტებს მიაჩნიათ აგრეთვე, რომ, რამდენადაც მოსე ხონელამდე ამირან დარეჯანისძე არცერთ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებში არ გვხვდება, ეს გმირი სწორედ მან შემოიყვანა ქართულ ლიტერატურაში (ასეთ ნაწარმოებებს, შესაძლოა, არც მოეღწიათ ჩვენამდე).

ამ თვალსაზრისით, თითქოს დამაჯერებლად გამოიყურება ნ. მარის კონცეფცია ამირანის ეტიმოლოგიასთან დეკავშირებით: „ამირანდარეჯან“ — სპარსულად „ამირ-ანდარ-ჯეხან“ („ამირი, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში“). ამის კვალზე ინგლისელი რეცენზენტები აყენებენ დასკვნას: ამირანს — მოხეტიალე რაინდს — უნდა ჩამოვაცილოთ ქართველი ერის „უძველესი ჭეშმარიტი გმირის დაუმსახურებელი დიდება“. რას ამბობს ს. სერებრიაკოვი ამ არგუმენტთა საწინააღმდეგოდ?

შესაძლოა, სპარსული ტიტული „ამირ-ანდარ-ჯეხან“ ქართველებმა პირდაპირ სახელად მიიღეს, რადგანაც ქართულში ორივე სახელი ცალ-ცალკე არსებობდა (ნესტან-დარეჯანი ამაზე მეტყველებს). „რეცენზენტების დასკვნა ამის თაობაზე ნაჩქარევი და უაზროა. ამ დასკვნის დაკავშირება ძალზე ძნელია იმ ამბებთან, რომლებიც ამირანის მითის უძველეს წარმომავლობას ადასტურებენ. გავიხსენოთ, რომ ბერძენი მწერლები ჯერ კიდევ ჩვ. წ-მდე V—VI საუკუნეებში ამტკიცებდნენ კოლხიდაში პრომეთეს მსგავსი მიჯაჭვული გმირის

არსებობას. და რომ აპოლონიოს როდოსელის მიერ ნახსენები ამარანტა (მთა, სადაც მიჯაჭვული იყო პრომეთე), წარმოადგენს ქართული „ამირანის მთის“ დამახინჯებას; აგრეთვე ისიც, რომ ამირანი მჭიდრო ეტიმოლოგიურ კავშირშია აფხაზურ აბრსკილთან — მზის ვაჟი“ — და ა. შ.

ს. სერებრიაკოვი აღნიშნავს, რომ ინგლისელი რეცენზენტები ერთგვარი ეჭვით უყურებენ მ. ჩიქოვანის ინტერპრეტაციას, ჩვ. წ. VII—VIII საუკუნეების ბრინჯაოს ჭამარზე არსებულ გამოსახულებას როგორც ამირანის, ბადრისა და უსუპის ნადირობის გამომხატველ სცენას. თუმცა სამი გმირის მოტივი ძალზე დამახასიათებელია ქართული ფოლკლორისათვის. განა ბუნებრივი არ იქნება იმის დაშვება, რომ მოსე ხონელმა ეს მოტივი სწორედ ფოლკლორიდან აიღო. იგივე შეიძლება ითქვას რუსთაველზე, რომელმაც ეს მოტივი კვლავ გაიმეორა.

აქვე ძალზე მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ს. სერებრიაკოვის შენიშვნა ინგლისელი რეცენზენტების მიმართ, რომლებიც არაფერს ამბობენ თრიალეთისა და სტეფანწმინდის არქეოლოგიური გათხრების თაობაზე, სადაც აღმოჩნდა ამირანის ზოგიერთი ეპიზოდის ამსახველი ნივთები, განსაკუთრებით ეს ეხება სტეფანწმინდის ზოგიერთ ბრინჯაოს ფიგურას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მ. ჩიქოვანის შრომა „მიჯაჭვული პრომეთე“ სრულიადაც არ ისახავს მიზანს დაამტკიცოს, რომ მათი პრომეთეზე ბერძნებმა ქართველებისაგან წაიღეს. ამ ნაშრომის ერთი დასკვნა ისიცაა, რომ ბერძნული პრომეთე და კავკასიური ამირანი — ეს ორეულებია და საკითხი მათი ერთი წყაროდან წარმოშობის შესახებ შესასწავლია.

რა თქმა უნდა, საკამათოა ინგლისელი რეცენზენტების მოსაზრება, თითქოს კორნელი კეკელიძის მიერ მოწოდებული ხუხვი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ლიტერატურული ნაწარმოებიდან წარმოიშვა ფოლკლორული მასალა და არა პირიქით. ამასთან დაკავშირებით დროულად მიგვაჩნია ს. სერებრიაკოვის კომენტარი იმის თაობაზე, რომ ინგლისელი მეცნიერები, სამწუხაროდ, არ იცნობენ კ. კეკელიძის კაპიტალური ნაშრომის უკანასკნელ გამოცემას და ეყრდნობიან მხოლოდ 1924 წლის გამოცემას. მაშინ, რა თქმა უნდა, ისინი თავს აარიდებდნენ კატეგორიულ მსჯელობებს. კ. კეკელიძე კი, ეი, რა თვალსაზრისს ავითარებდა „ამირან-დარეჯანიანის“ შესახებ: „ხსზულების ორიგინალობის მაჩვენებელია სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების, რაინდობის, ქალის კულტისა და პატრონყმური ურთიერთობის ის სურათი, რომელიც დამახასიათებელია ქართული ფეოდალური მონარქიის აღმავლობისა ე. წ. კლასიკურ ხანაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წმინდა ქართული ინსტიტუტი „ძმად-

ნაფიცობისა", რომლის მსგავსს სხვა ლიტერატურაში ვერ ვხვდებით. შეუძლებელია უცხო წარმოშობის, ნათარგმნ თხზულებაში ადგილი ჰქონოდა ქართული სინამდვილის ისეთ ზუსტ სურათს, რომლის მსგავსს სხვა ლიტერატურაში ვერ ვხვდებით"[28].

უფლისწულ ბაგრატის ცნობაზე დაყრდნობით, დ. ლანგი და გ. მერედიტ-ოუენსი ამტკიცებენ, რომ მოსე ხონელის ორიგინალი იყო სპარსული რომანი „ყისაი ჰამზა". მათ მიაჩნიათ, რომ ალ. ბარამიძის მიერ გამოკვლეული ეს საკითხი ზედაპირული და არადამაჯერებელია. ამიტომაც რეცენზიაში გადმოცემულია „ყისაი ჰამზას" შინაარსი, ხაზგასმულია „ამირანდარეჯანიანთან" დაკავშირებული მსგავსი მომენტები (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ბარამიძეს ეს მომენტები უკვე მითითებული ჰქონდა). ს. სერებრიაკოვის დასკვნა ასეთია: „რეცენზიის ავტორები მეტისმეტად არიან გატაცებული მსგავსი მომენტების ძიებით და ავიწყდებათ ის თვისობრივი განსხვავება, რაც არსებობს „ყისაი ჰამზასა და „ამირანდარეჯანიანს" შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ „ამირანდარეჯანიანის" ავტორი იცნობდა „ყისაი ჰამზას" და იმდროინდელი ტრადიციების გათვალისწინებით არ ცდილობდა გაქცეოდა სპარსული თხზულების გავლენას. მაგრამ იმავე დროს თავის ნაწარმოებს მან საფუძვლად დაუდო მთავარი პერსონაჟის საგმირო საქმეები. რომელზედაც თქმულებები მას თავის ხალხში ჰქონდა გაგონილი. ამით, რა თქმა უნდა, მოსე ხონელი გარკვეულად რუსთაველის წინაპარია, თუმცა დიდი შოთა უფრო დამოუკიდებელია თავისი ნაწარმოების ფაბულის შექმნის დროს, რომელიც გარეგნულად მოკლებულია ეროვნულ კოლორიტს, მაგრამ სულითა და შინაარსით წმინდა ქართულია. „ამირანდარეჯანიანის ავტორმა კი გამოიყენა სპარსულის ზოგიერთი მოტივი. სპარსული ლიტერატურის ტრადიციები და შექმნა ორიგინალური ქართული სარაინდო რომანი"[29].

ს. სერებრიაკოვი არსებითად არ იზიარებს დ. ლანგისა და გ. მერედიტ-ოუენსის დასკვნებს რ. სტივენსონის თარგმანთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ინგლისელმა რეცენზენტებმა სტივენსონის თარგმანი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს, რომ ამ თარგმანმა ვერ გაამართლა მოლოდინი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ასეთი მსჯავრი ამ თარგმანის მიმართ მეტისმეტად მკაცრი და უსამართლოა. თარგმანს, შესაძლოა, ახასიათებს ნაკლოვანებანი, მაგრამ მან შეასრულა თავისი როლი — ინგლისურენოვანი სამყაროსთვის გაეცნო სარაინდო რომანის ეს უძველესი ძეგლი.

---

[28] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 76.

[29] С. Б. Серебряков, იხ. დასახ. წერილი, გვ. 205.

საინტერესო მოსაზრებანი გამოთქვა „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისურ გამოცემასთან დაკავშირებით პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმაც[30]. მან ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ინგლისური თარგმანით ქართული ეპოსის შესწავლა საერთაშორისო მოვლენად იქცა. მის კვლევაში მონაწილეობას იღებენ ჩეხები და უნგრელები, გერმანელები და ბულგარელები, ინგლისელები და ფრანგები, დანიელები და ფინელები. მ. ჩიქოვანს აღნიშნულ წერილში მთლიანად მოჰყავს ინგლისურ ენაზე არსებული ბიბლიოგრაფია „ამირანდარეჯანიანთან“ დაკავშირებით — როგორც თარგმნილი ტექსტები, ასევე საკვლევაძიებო სამუშაოები. ესენია:

1. Amiran-Darejaniani, A Cycle of medieval Georgien tales traditionally ascribed to Moze Khoneli. Translated by R. H. Stevenson. Oxford, 1958.
(ამირან-დარეჯანიანი, რობერტ სტივენსონის თარგმანი, 1896 წლის გამოცემის მიხედვით).

2. They went out hunting. Amiran and his brothers.

ხალხური ბალადა „სანადიროდ წავიდნენ ამირანი და ძმანი მისნი“ თარგმანისათვის რ. სტივენსონის მიერ გამოყენებულია ფშაური ვარიანტის რაზიკაშვილისეული ტექსტი, რომელიც მოთავსებულია „ამირანდარეჯანიანს“ 1896 წლის გამოცემის 315—317 გვერდებზე.

3. Amiran bound (მიჯაჭვული ამირანი). Bulletin of the school of Oriental and African studies, University of London, Vol. XXII, Part, 3, 1959, p. 463-64.

დ. ლანგისა და გ. მერედიტ-იუენსის მიერ მ. ჩიქოვანის გამოცემის მიხედვით თარგმნილი ამირანის მითის ერთი კახური ვარიანტი, რომელიც ჩაწერილია 1937 წელს და გამოქვეყნებულია „მიჯაჭვულ ამირანში“.

4. Amiran, Anthology of Georgian Poetry. Translated by Venera Urushadze, Tbilisi, 1958, გვ. 241—250.

ვ. ურუშაძის თარგმანს საფუძვლად უდევს შ. ნუცუბიძის „ამირანი“.

ინგლისურ ენაზე გამოკვლევები ამ საკითხთან დაკავშირებით, ასეთია;

1. რ. სტივენსონის „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა, განსაკუთრებით მისი მეორე და მეშვიდე თავები.

2. დ. მ. ლანგისა და გ. მ. მერედიტ-იუენსის ნაშრომი: „ამირან-

---

30 მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, „ამირანდარეჯანიანის“ ფოლკლორული წყაროების პრობლემა, მნათობი, 1960, № 4.

დარეჯანიანი", ქართული რომანი და მისი ინგლისური თარგმანი. რომელიც 1959 წელს გამოქვეყნდა. ხალხური თქმულების თვალსაზრისით ამ საყურადღებო გამოკვლევაში განსაკუთრებით მესამე თავი გამოიყოფა. ასეთ ინტერესს თვით ნარკვევის სახელწოდება აღძრავს: „ამირანდარეჯანიანი" და ამირანპრომეთე.

3. Mikhael Chikovani, Amiran bound. (Summary). [მ. ჩიქოვანის „მიჯაჭვული, ამირანი" რეზიუმე, 1947.

4. M. Kveselava, Introduction. შესავალი წიგნისა „Anthology of Georgian poetry", 1958, გვ. XIV.

მ. ჩიქოვანის აღნიშნული რეზიუმეს მიზანია შეეხოს მოსე ხონელის თხზულების არა რიგ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს, არამედ იმ მასალებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ფოლკლორულ შემოქმედებასთან. მ. ჩიქოვანი არ იზიარებს სტივენსონის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამირანის პოპულარობა განპირობებულია არა იმდენად „ლიტერატურული ნაწარმოების" ან ე. წ. „მეორე ამირანის" წყალობით, არამედ იმ თქმულების მეოხებით, რომელიც ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე შეიმუშავეს ქართველებმა და თავის ძირითად ნაწილში გმირის მიჯაჭვით დასჯას შეიცავდა, რითაც იგი მრავალტანჯულ პრომეთეს ემსგავსებოდა, თუმცა ანტიკურ სამყაროსთან კავშირი არ ჰქონდა. მ. ჩიქოვანი გადაჭრით არ იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც კავკასიის ხალხებში გავრცელებული ამირანის ციკლის თქმულებებში გაერთიანებულია ერთმანეთისაგან გენეტიკურად დაცილებული ორი ამირანი: პირველი — პრომეთეს მსგავსი და მეორე — მიჯაჭვის გარეშე მდგომი, რომელთანაც კავშირი აქვს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს". დ. ლანგი და ვერედიტ-ოლენსი იგივე აზრს ასე ავითარებენ: „საუკუნეების განმავლობაში რაინდი გმირის ამირან-დარეჯანისძის თავგადასავალი ქართველი ხალხის წარმოდგენაში შეერწყა სრულიად სხვა, პრომეთესეულ — ამირანის მოთხრობებს, „კავკასიურ ტიტანს", რომელიც ზოგჯერ წარმოსახულია როგორც იესო ქრისტეს ნათლული". თუ რ. სტივენსონი „ამირანდარეჯანიანის" ხალხურ-პოეტური წყაროს აღიარებას ამტკიცებს, დ. ლანგი უარყოფს ამ დებულებას. მ. ჩიქოვანიც არ იზიარებს მოსაზრებას ორგვარი ამირანის არსებობის შესახებ მიჯაჭვული გმირის ქართული და სხვა კავკასიური თხზულებების მიხედვით. თვით კ. კეკელიძის შეხედულებითაც, ამირანის თქმულება წინ უსწრებს მოსე ხონელს, თუმცა ამ უკანასკნელის რაინდული ნაწარმოები, გავრცელებისდა მიხედვით, გავლენას ახდენდა ამირანისავე ხალხურ თქმულებაზე.

მოსე ხონელის თხზულება, ვერ მოახდენდა გავლენას ხალხურ თქმულებაზე და იგი არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ვიფიქროთ,

რომ ამ რანგის ლიტერატურული ნაწარმოები ხალხში შექმნილა მიჯაჭვული გმირის მარადიულ სახეს. ამ მიჯაჭვული გმირის მოტივის არარსებობა ლიტერატურულ თხზულებაში ვერ წარმოშობდა ხალხში ამგვარ თქმულებას. ამასთან დაკავშირებით მართებულად მიგვაჩნია მ. ჩიქოვანის შემდეგი მოსაზრება: „ორგვარი ამირანის არსებობის დაშვების ერთგვარ შესაძლებლობას ამირანიანის ვარიანტები და ვერსიები იძლევა, რადგან მიჯაჭვული გოლიათი ხალხში სხვადასხვა თვისებით არის წარმოდგენილი. ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ერთ შემთხვევაში ამირანი დასჯილ ტიტანად გვევლინება, მრავალ საგმირო თავგადასავალთა შემდეგ. მას ღმერთი კავკასიონზე მიაჯაჭვავს; მეორე ჯგუფის თქმულებებში, უკეთ, ფრაგმენტებსა და ზღაპრებში, მთავარი პერსონა არ ისჯება, იგი არც ღმერთთან მებრძოლობას ამქღავნებს რაიმე ფორმით და საგმირო-ფანტასტიკური ზღაპრის კვალობაზე, მოიპოვებს რა მზეთუნახავს, ოჯახურ ცხოვრებას შეუდგება. ამირანის სიუჟეტის ეს მეორე სქემა ლიტერატურული ნაწარმოების ფაბულას ემსგავსება, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაა. რაკი „ამირანდარეჯანიანი“ მიჯაჭვის ეპიზოდს არ იცნობს, იგი ფოლკლორული ნაწარმოების იმ ვერსიას უახლოვდება, რომელშიც მარადიულ სასჯელს ადგილი არა აქვს“[31].

ჩვენ ვეთანხმებით მ. ჩიქოვანის იმ დებულებას, რომ გენეზისის თვალსაზრისით არაა მართებული ორი ამირანის დაშვება, თქმულებათა ცენტრში დგას ღვთის ურჩი, ღვთაებასთან მებრძოლი გმირი, რომლის მიმზიდველი სახე შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა. ამდენად, ამირანი ქართული ეპოსის ეროვნული გმირია.

სამწუხაროდ, დ. ლანგი და გ. მერედიტ-ოუენსი დაუმსახურებლად ესხვიან თავს ამირანის ეროვნულობას, არ მოჰყავთ ქართველ მეცნიერთათვის უცნობი არავითარი საბუთი. მ. ჩიქოვანი ნაგლისელი მეცნიერების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი სკეპტიკურს უწოდებს. მათ არ მოსწონთ რ. სტივენსონის ასეთი განცხადებები: „ცოტა მოინახება ისეთი ზღაპრული გმირი, რომლებსაც ამირანზე უფრო ხანგრძლივი და რთული წარსული ექნება“. „თუ ზემოთ აღნიშნული მოსაზრებანი საერთო აღიარებას ჰპოვებენ, მაშინ დაბეჯითებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალხური ტრადიციის დიად სახელთა შორის ამირანის სახელი ერთ-ერთი ყველაზე მარად მიმზიდველია“. დ. ლანგი და გ. მერედიტ-ოუენსი ძირითადად ქართველ მეცნიერებს შემდეგს უსაყვედურებენ: „ქართველებმა, როგორც ამას თავად ამტკიცებენ, გადასცეს ამირან-პრომეთეს მოთხრობა ბერძნებს, ხოლო თვითონ ზეპირად შემოინახეს და საუკუნეთა განმავლობაში სოფლელი მთქმელების საშუალებით გადასცემდნენ თაობებს. თითქოს,

31 მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი დასახ. ნაშრომი გვ. 139.

თვითონ პრომეთეს მოთხრობა აუცილებლად უნდა იყოს კავკასიელ ხალხთა ნაციონალური მითოლოგიის ნაყოფი". მ. ჩიქოვანი ცდილობს ბერძნული წყაროების მოხმარებით დაასაბუთოს ინგლისელ მეცნიერთა მოსაზრებების მცდარობა და ამას ძირითადად ახერხებს კიდეც. თუმცა აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ლანგისა და მერედიტ-ოუენსის სტატიაში წარმოდგენილი ყველა დებულება დღესაც კი არ არის დარღვეული და მას მეცნიერთა შემდგომი კვლევა-ძიება სჭირდება.

ახლა გვინდა დაწვრილებით შევეხოთ დ. მ. ლანგისა და გ. მ. მერედიტ-იუენსის რეცენზიას „ამირანდარეჯანიანის" ინგლისურ თარგმანზე[32]. აღნიშნული სტატია ხუთ ძირითად საკითხს მოიცავს:

1. მთარგმნელი და მისი ტექსტი.
2. ტექსტის შინაარსი.
3. ამირან-დარეჯანი და ამირან-პრომეთე.
4. ამირან-დარეჯანი და ამირ-ჰამზა.
5. შენიშვნები სტივენსონის ვერსიის შესახებ.

დავით ლანგისა და გ. მერედიტ-ოუენსის რეცენზია სტივენსონისეული „ამირანდარეჯანიანის" თარგმანზე უბრალოდ თარგმანის ავკარგიანობის აღნუსხვას როდი ისახავს მიზნად. აქ თარგმანი უფრო საბაბია. ძირითადი მიზანი კი, თუ რატომ დაიწერა ეს სოლიდური გამოკვლევა (ნაშრომი 36 გვერდს მოიცავს) შემდეგში მდგომარეობს... ზემოთ აღნიშნულ ორ ინგლისელ ქართველოლოგს შუა საუკუნეების ქართული სარაინდო თხზულება ეროვნულ ძეგლად არ მიაჩნია მრავალ მოსაზრებათა გამო. ამ მოსაზრებებს ისინი იოლად ვერ დაასაბუთებდნენ, რომ არ იცნობდნენ მთელ იმ სამეცნიერო ლიტერატურას, ამ საკითხის გარშემო რომ არსებობს. მათ გამოკვლეული აქვთ ამ ძეგლის ქართულ ხელნაწერთა ნუსხები, შეჯერებული აქვთ ისინი ერთმანეთთან, იცნობენ აგრეთვე ამირანის თქმულებებს, მათ შორის ამ თქმულების ოსურ, აფხაზურ ვარიანტებს და დაწვრილებით განიხილავენ მათ. მსჯელობენ ამ მითების ქრონოლოგიაზე. დ. ლანგს საგანგებოდ შეუსწავლია აგრეთვე სპარსული შუა საუკუნეების კორპუსი ამირ ჰამზას თაობაზე, რადგანაც, მისი თეორიის თანახმად (იგულისხმება, რომ იგი მარის მიმდევარია ამ საკითხებში), „ამირანდარეჯანიანი" სპარსული რომანის „ყისაი ჰამზას" თუ სიტყვასიტყვით თარგმანი არა, ყოველ შემთხვევაში მისი ადაპტაციაა.

---

[32] D. M. Lang and G. M. Meredith-Owens, Amiran-Darejanian, A Georgian Romance and its English Rendoring, „Bulletin of the school of Oriental and African studies", University of London, 1959, vol. XXII, 3, p. 454—490.

საერთოდ, სიტვენსონის თარგმანს დ. ლანგი (სიადვილისათვის ყოველ წუთს არ ვახსენებთ მერედიტ-ოუენსს, თუმცა იგი ამ სტატიასთან დაკავშირებით ყოველთვის იგულისხმება) ჩავარდნად თვლის, თუმცა ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე შესაძლებლობა ჰქონდა ეს ძეგლი მთელი თავისი მშვენიერებით გაეცნო ინგლისელთათვის. სტივენსონის პირველ და ძირითად შეცდომად მას მიაჩნია ის ფაქტორი, რომ ქართული გამოცემებიდან მთარგმნელმა ყველაზე უფრო ცუდი, არაკრიტიკული და ნაკლული გამოცემა შეარჩია. ზ. ჭიჭინაძისეული „ამირანდარეჯანიანი“ თავის დროზე საქართველოშიც დაიწუნა კ. კეკელიძემ. დ. ლანგი სავსებით მართებულად ფიქრობს, რომ სტივენსონს უნდა აერჩია ს. ყუბანეიშვილის გამოცემა. ამიტომაც, აღნიშნავს იგი, რომ ზ. ჭიჭინაძის გამოცემის ყველა შეცდომა ასახულია თარგმანში. რეცენზენტი საყვედურობს სტივენსონს იმის გამო, რომ იგი არავითარ ინფორმაციას არ აძლევს ინგლისელ მკითხველს „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერებზე. ამ ხარვეზს თვითონ ავსებს და რეცენზიაში ჩამოთვლის ყველა ნუსხას და ხელნაწერს, რომელსაც იგი საქართველოში გასცნობია.

მკითხველის კარგად ორიენტირებისათვის დ. ლანგი თავის რეცენზია-გამოკვლევაში იძლევა „ამირანდარეჯანიანის“ შინაარსს თავების მიხედვით. ეს შინაარსი მას სჭირდება იმისთვის, რომ მკითხველს უფრო ნათლად აჩვენოს, ვინ არის მოსე ხონელი — დამოუკიდებელი, ეროვნული ავტორი თუ კომპილატორი და შემკრები. ეპიგონი? დ. ლანგი, თითქოს, ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ საუკუნეთა განმავლობაში, „ამირანდარეჯანიანის“ გმირთა რაინდული თავგადასავლები ქართველთა წარმოდგენაში დაუკავშირდა, შეერია მეორე ხალხურ და მეტად, პოპულარულ „ამირანს“. „პირველყოფილ კავკასიურ ტიტანს“, რომელიც ზოგჯერ გვხვდება როგორც იესო ქრისტეს ნათლული“. თავის ამ აზრს იქვე განმარტავს, რომ ამ მითებს არაფერი აქვს საერთო ლიტერატურულ „ამირანდარეჯანიანთან“, თუმცა ქართულ ფოლკლორულ ლიტერატურაში არსებობს მოთხრობების მთელი ციკლი, რომელიც ძალიან ახლოსაა იმ ზღაპრებთან, მოსე ხონელს რომ მიეწერება. მაგრამ ამ მასალების, ამ ციკლის კითხვისას დ. ლანგი აფრთხილებს მკითხველს ერთ რამეში: „ამირანის ციკლის სხვადასხვა ვარიანტების შესწავლის დროს, ადამიანი ფრთხილად უნდა იყოს, ბრმად არ აჰყვეს იმ ზოგიერთ ქართველ პატრიოტს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ პრომეთული ამირანი და „ამირანდარეჯანიანი“ ქართველი ხალხისა და მათი წინაპრების ანტიკური ნახევრადღმერთები არიან (Antique demigods)[33]. დ. ლანგი აქ ხაზს უსვამს იმ

---

33 როგორც ჩანს ზოგიერთ ქართველ პატრიოტში დ. ლანგი გულისხმობს აკად-

გარემოებასაც, რომ ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, თრიალეთში, სამთავროსა და სტეფანწმინდაში, გამოვლინეს ამირანის მითის ზოგიერთი მოტივი. მაგალითად, ნადირობის სცენაა ასახული სამთავროში ნაპოვნ ბრინჯაოს ჭამარზე (ჩვ. წ.-მდე VI—VII სს.), ნადირობის სცენა ახსნილია როგორც ბადრის, უსუპისა და ამირაჯის ეპიზოდი. დ. ლანგს ბრინჯაოს ჭამარზე გამოსახული სცენა მხოლოდ ჰიპოთეზად მიაჩნია და მას მეცნიერულ ღირებულებას ვერ ანიჭებს.

იგი არ იზიარებს შალვა ნუცუბიძის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებითაც, რომ პრომეთეული ამირანი არის ამარანტუას თემთა ღმერთი (tribal God of Amarantoi) და ცხოვრობდა ამარანტინის მთებში. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ნახსენები ამარანტის მთას შალვა ნუცუბიძე საკუთარ სახელად — ამირანის ბერძნულ ვარიაციად — თვლის და ასკვნის, რომ „ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის პოეტი აპოლონიოს როდოსელი უკუფენს იმ ცნობას, რომ საბერძნეთიდან ჩამოსული მოგზაურები უკვე გაცნობილი იყვნენ ამირანის სახელს. „არგონავტიკაში“ კონტექსტი „კუტაიდის მიწაზე შორიდან, ამარანტის მთიდან, კირკაიოსის ველზე ფართო მდინარებით ჩამოდის ფაზისი და ზღვას ერთვის“ ნუცუბიძის განმარტებით ნიშნავს ამირანის მთას და მეცნიერს აძლევს შესაძლებლობას დაასკვნას: „ბერძნულ ძეგლებში აგრეთვე არა ჩანს კვალი ამირანის და პრომეთეოსის გაიგივებისა, მაგრამ ჩანს ასეთი გაიგივების ტრადიცია მაინც ყოფილა. უნდა ვიფიქროთ, ამ გაიგივების შესაძლებლობა ზემოთ აღნიშნულ კონტამინაციაში იყო ჩადებული“. სწორედ ამ ჰიპოთეზას არ იზიარებს დ. ლანგი, რადგანაც მისი აზრით, ეს ჰიპოთეზა არავითარი საბუთით არ არის გამაგრებული და აგებულია მხოლოდ ძლიერ სურვილზე თავის თეორიულ პოსტულატებს როგორმე მოარგოს ამირან-პრომეთეს ურთიერთკავშირი. ინგლისელი მეცნიერი ირონიით მიუთითებს იმაზე, რომ არაერთ დასავლელ მეცნიერს უცდია სწორედ ეს ადგილი განემარტა როგორც არიმანი ზოროასტრული დემონოლოგიიდან[34]. ხოლო სტივენსონს დ. ლანგი იმას უსაყვედურებს, რომ მან კეთილსინდისიერად, მაგრამ უკრიტიკოდ და განურჩევლად მიიღო ყველაფერი ეს ქართული ლიტერატურათმცოდნეობიდან და ამ გაუფრთხილებლობის გამო ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული. აქედან დ. ლანგი აკეთებს დასკვნას:

ამ თეორიების მიხედვით, ქართველი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ღმერთების მიერ კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ბერ-

შ. ნუცუბიძეს. იხ. თავი „ადრინდელი ქართულ-ბერძნული საზროვნო ურთიერთობა“ წიგნში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, შრომები, VIII, წიგნი I, თბ., 1983.

[34] დ. ლ ა ნ გ ი, დასახელებული სტატია, გვ. 464.

ძენი პრომეთეს წინაპარი უნდა იყოს ქართული მითოლოგიური ამირანი. გამოდის, რომ ქართველებმა ამირანის მითი მისცეს ბერძნებს, თვითონ კი ხალხური მთქმელების საშუალებით საუკუნეებში შემოინახეს. ყველა მითი შეკრებილია ქართულ სოფლებში XIX საუკუნეში.

დ. ლანგს ეს მოსაზრება ძალიან ზედაპირულად და ნაჩქარევად მიაჩნია, ამიტომაც მისთვის მსგავსი თეორიები ქართული ლიტერატურის შესახებ მიუღებელია. იგი ცდილობს ფაქტების მოხმობით მათზე ძალდატანება არ იხმაროს და ნელ-ნელა დაარღვიოს მისთვის მიუღებელი ჰიპოთეზა. პირველ რიგში, — აღნიშნავს ინგლისელი მეცნიერი, — ძნელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ ქართველები, რომელთა კულტურა გარკვეული თვალსაზრისით ბერძნულ-ბიზანტიური წყაროებით იკვებება, წაიკითხავდნენ ბერძნულ წიგნებს, სადაც პრომეთეს მითის გაცნობის შესაძლებლობაც ექნებოდათ. გაუფრთხილებლობა იქნებოდა ანტიკურობის შენახვა მხოლოდ სოფლის მთქმელებისათვის მიგვენდო. სწორედ ამასთან დაკავშირებით დ. ლანგს მოჰყავს გერმანელი მეცნიერის, ფოლკლორისტის ადოლფ დირის ნაამბობი იმაზე, თუ როგორ დასჭირდა დირს ავთენტიკური საილუსტრაციო მასალა თუშური დიალექტისათვის. ეს მოვალეობა ერთმა მოხუცმა მთქმელმა იკისრა. რასაც დირი იწერდა, მისთვის ყველაფერი ნაცნობი აღმოჩნდა. მაგრამ, როდესაც ბოლოს დირს თუშმა მოხუცმა სიტყვა-სიტყვით უამბო ვილჰელმ ტელის თავგადასავალი, დირმა ვეღარ მოითმინა, გააწყვეტინა, და უთხრა, ეს ჩემთვის ყველაფერი ძალზე ნაცნობიაო. მიუხედავად ამისა ,მოხუცი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ეს ყმაწვილობაში გამიგია მოხუცებისაგან. ამ მოხუცს მხოლოდ ძალიან გვიან მოაგონდა და. ალბათ, ამას გულწრფელადაც ამბობდა, რომ ყველაფერი ეს ერთ ქართულ წიგნში ჰქონდა წაკითხული თელავის სკოლაში სწავლის დროს. ეს ამბავი და მისი შეხსენება დავით ლანგს სჭირდება შორს მიმავალი დასკვნების გასაკეთებლად. იგი ამით პარალელს ავლებს ამირან — პრომეთეს მითის ზეპირ ჩანაწერებთან და ასკვნის, არაა გამორიცხული იგივე ვითარება აქაც გვქონდესო. მისი აზრით, შესაძლოა, ძველ ქართველებს მართლაც ჰყავდათ კავკასიონის ქედზე ღმერთის მიერ დასჯილი ურჩი ტიტანი და ეს ტრადიცია, ალბათ, ბერძენმა კოლონისტებმა ან მოგზაურებმა შემოიტანეს და ის ქართულ კლასიკურ მითოლოგიას შეერწყა, მაგრამ იმის მტკიცებას, რომ ამირანის მითის თანამედროვე ჩანაწერებით საზრდოობს პრეელინისტური ეპოქა, ინგლისელი მეცნიერი დაუფიქრებლობად თვლის. ამიტომაც წერდა დ. ლანგი: — „ეჭვით ვუყურებთ იმ ცდას, რომელიც ჩატარდა ამირანზე არსებული თანამედროვე ზეპირსიტყვიერების მიხედვით

ამირანის სახის შესაქმნელად და ეს უცხოელმა მეცნიერებმა უნდა გავიაზროთ"[35].

რაც შეეხება მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს", დ. ლანგი ამას კომპილაციურ ნაწარმოებად თვლის და ამბობს, რომ ამ ძეგლის ეროვნულობის დაცვა ქართველთათვის ეროვნული პრესტიჟის საქმედ გადაიქცაო (აქ, ალბათ, ინგლისელი მეცნიერი მ. ჩიქოვანს გულისხმობს). ქართული ზეპირსიტყვიერების ისეთი მშვენიერი შემკრებიც კი, როგორც მ. ჩიქოვანია, ამტკიცებს, რომ ამირანზე არსებული ფოლკლორული მასალა ლიტერატურული ნაწარმოებიდან მომდინარეობს და არა პირიქით.

დ. ლანგს მიაჩნია აგრეთვე, რომ ოსური ამირანიანა მთლიანად ქართულიდან მომდინარეობს. რა თქმა უნდა, ის ამ აზრში ორიგინალური არ არის. თუმცა სწორია მისი დაკვირვება, რომ ოსური „ამირანდარეჯანიანი" მთელი კლანია და მასში შემონახულია კიდევ ვერსია ამირანის ოჯახისა და მისი წინაპრების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ოსურ ვარიანტში ამირანის თოთხმეტი ამბავია ცნობილი. შემდეგ დ. ლანგი არჩევს აგრეთვე ყაბარდოულ ვარიანტს (ყაბარდოულ პრომეთეზე ცოტას ქილიკობს), თუმცა პრომეთეს მითთან ყველაზე ახლოს მას აფხაზური ვარიანტი მიაჩნია.

დ. ლანგი სკეპტიციზმს გამოთქვამს აგრეთვე ამირანის მითის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით. ამირანის მითის სიძველის დამამტკიცებელი საბუთი არც არქეოლოგიაში არსებობს მოსე ხონელის ნაწარმოებზე უფრო ადრინდელი. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ დ. ლანგს არ მიაჩნია ამირანი ქართულ ეროვნულ გმირად და საჭიროდ მიაჩნია მას ჩამოვაცილოთ ქართველი ხალხის ეროვნული გმირის დაუმსახურებელი დიდებაო.

დ. ლანგის ამ აზრს შეეკამათა მიხ. ჩიქოვანი ჩვენ მიერ ნახსენებ წერილში და შეეცადა დაემტკიცებინა მისთვის ამ მოსაზრებათა მცდარობა. თუმცა ინგლისელი მეცნიერის ბევრი მოსაზრება ვერ გააბათილა.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს დ. ლანგის რეცენზიის მეოთხე თავი, რომელიც შეეხება „ამირანდარეჯანიანისა" და „ყისაი ჰამზას" შედარებას. როგორც მოსალოდნელი იყო, დ. ლანგს პირველ რიგში მოჰყავს შ. მარის საბუთები (ამირანის პოლიგამია, ბრძოლა ყველა ქვეყნის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მაგრამ არა სპარსელთა წინააღმდეგ, ყველა სახელი ან არაბულია ან სპარსული). დ. ლან-

---

35 ცნობილია, რომ ვ. ურუშაძემ „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში" ინგლისურ ენაზე შეიტანა აგრეთვე ამირანის ამბავი ლექსად. ამაზე ლანგი წერს: როგორც ლიტერატურა მშვენიერია, მაგრამ შ. ნუცუბიძის რომანტიკული ფანტაზიის ნაყოფიაო.

გი თანაუგრძნობს მარს, რომელსაც, თითქოს, დიდი რისხვა დაატყდა ამ თეორიის გამო. თვითონაც ნ. მარის გავლენით პირველხარისხოვნად მიაჩნია უფლისწულ ბაგრატის საბუთი. ცნობილია, რომ ეს საბუთი ქართველმა მეცნიერებმა არ ცნეს და მოგვცეს მისი გაზვიადების უსაფუძვლობა თავიანთ ნაშრომებში. ამიტომაც აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ინგლისელი მეცნიერი მკითხველის დასარწმუნებლად დეტალურად აანალიზებს სპარსული ლიტერატურის ძეგლს „ყისაი ჰამზას“ და ძალიან გატაცებულია მსგავსი ელემენტების ძებნით. ამიტომაც მას თავის დროზე მიუთითეს ს. სერებრიაკოვმა, ალ. ბარამიძემ, მ. ჩიქოვანმა. რომ მსგავსების ძიებისას მან ვერ შენიშნა არსებითი ხასიათის განსხვავებანი ამ ორ რომანს შორის და ეს იყო მთავარი. დ. ლანგი მიუთითებს შემდეგ ნათესაურ მომენტებზე: სახელების მსგავსებაზე (ამარი, ამრი, ომარი და იმაია), ერთნაირი ეპიზოდების არსებობაზე. დ. ლანგი მძაფრად გრძნობს „ამირანდარეჯანიანში“ „ყისაი ჰამზას“ სურნელს. დაუოკებელი ბრძოლების ჟინი, თილისმათა ამბავი ორივე ნაწარმოების წამყვანი თემაა. (ამირანი ემსახურება ბაღდადის ხალიფას, ჰამზა — სასანიდების მეფეს. ორივე გმირი მეფის ქალიშვილს მოიპოვებს ცოლად). ამირანის სამოქმედო ასპარეზი — ხაზარეთი, თურქეთი, ბალხეთია, ჰამზას სამოქმედო ასპარეზიც აქ არის. თუმცა „ამირანდარეჯანიანი“. მკაცრად რომ ვთქვათ, თარგმანი არ არის, ის მაინც სპარსული ძეგლის გადამღერებაა. დავით ლანგის აზრით, „ყისაი ჰამზა“ არ არის „ამირანდარეჯანიანის“ ერთადერთი ისლამური მოდელი. შაჰ-ნამე. ათას ერთი ღამე — ხონელისათვის ნაცნობი სამყაროა. ათას ერთ ღამეშიც არის რამდენიმე პერსონაჟი ბადრის სახელწოდებით და ერთზე მეტი ყამარი — იგი აშკარად გვაგონებს ქართული ციკლის ბაღრი იამანელს და ყამარ-ყამარელს. ყველაფერი ეს ინგლისელ მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ სპარსული და არაბული ლიტერატურის ხვედრითი წონა ამ ნაწარმოებში დიდია და საკუთრივ, სპეციფიკურად კავკასიური ელემენტი — დიდო მეფის ეპიზოდი დიდ როლს არ ითამაშებს რომანის სტრუქტურაში. ძალზე მკაცრია დ. ლანგისა და გ. მერეღიტ-ოუენსის დასკვნა: „მოსე ხონელის როგორც ორიგინალური მწერლის შესახებ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ის დახელოვნებულია უცხოური ამბების გადმოტანა-შეთხზვაში. განსაკუთრებით სპარსული ზღაპრების მთელი სერიების შეჭმნაში, რომელიც ქართველმა თანამემამულეებმა სიამაყით მიიღეს როგორც თავიანთი გმირული წარსულის გამოხატულება. ამ ზღაპრებში მოთხრობილი რაინდობა კი, რომელიც მათ მუსულმან მეზობლებსა და ევროპელ პალადინებს თანაბრად ახასიათებს, საგმირო ეპოსად გამოაცხადეს“.

ამის შემდეგ დ. ლანგს დეტალურად აქვს შედარებული ერთმანეთთან ზ. ჭიჭინაძისა და ს. ყუბანეიშვილის გამოცემები, მიუთითებს განსხვავებაზე მათ შორის და ამ განსხვავების მიხედვით მკითხველს უჩვენებს სტივენსონის თარგმანის ხარვეზებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშუალოდ ამ რეცენზიას ალ. ბარამიძე გამოეხმაურა წერილით „ამირანდარეჯანიანის გარშემო“ და პასუხი გასცა კონკრეტულად ერთ საკითხს. არის თუ არა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ სპარსული „ყისაი ჰამზას“ ქართული თარგმანი? სრულიად ნათელია, რომ მოსე ხონელის თხზულებას და „ყისაი ჰამზას“, როგორც საგმირო-საფალავნო თხზულებებს, აქვთ საერთო „ზოგიერთი ცალკეული ხასიათის მოტივები, სიუჟეტური თუ თემატიკური, ამასთან ერთად საერთო მოტივები აახლოებს „ამირანდარეჯანიანს“ სადევგმირო შინაარსის მქონე სხვა თხზულებებთან, მაგალითად, „სეილანიანთან“, „ვარშაყიანთან“, „სირინოზიანთან“. ამბრი არაბისა და ინდო-ჭაბუკის ამბები ემთხვევა „ყისაი ჰამზას“ ამბებს. ამბრი არაბი ჰამზას ჩვეულებრივი ეპიტეთის დამახინჯებული ფორმაა (ამირე არაბი)“. ალ. ბარამიძემ ფაქტიურად აღიარა ქართულ „ამირანდარეჯანიანში“ სპარსული ტენდენციის არსებობა, მაგრამ განზოგადებული დასკვნა ასეთი გამოიტანა: „ჩვენ სრულიად იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ამბრი არაბის ამბავი სიუჟეტურად იყო იდენტური ჰამზას ამბისა, არა. ზოგიერთი დეტალის გარეშე ორივე ტექსტი განსხვავებული შინაარსის მქონეა, სხვადასხვა თხზულებასაც უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ მაინც საფიქრებლად მიგვაჩნია, რომ გადანაშთის სახით ამბრი არაბის ამბავს უნდა შემოენახოს ამირე არაბ-ს (ჰამზას) ფანტასტიკური ფალავნური მოღვაწეობის კალკეული მომენტები. „ამირანდარეჯანიანის“ შინაარსისა და იდეური ტენდენციების შესწავლამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ საქმე უნდა გვქონდა „სპარსული იდეური და ლიტერატურული ნიადაგიდან მომდინარე ნაწარმოებთან“[36]. სხვათა შორის, ალ. ბარამიძის ეს მოსაზრება დიდად არ განსხვავდება დ. ლანგისა და მერედიტ-ოუენსის თვალსაზრისისაგან იმავე საკითხზე, სადაც ისინი მოუთითებენ: „სპარსულ „ყისაი ჰამზასთან“ შედარებით ქართული ვერსია ამბრი არაბის დაბადებისა დამახინჯებულია. მაგრამ ამ ეპიზოდებს შორის ნათესაური ელემენტების არსებობა უეჭველია“. იგივე თვალსაზრისს გამოთქვამს დავით კობიძეც, რომელიც აღიარებს, რომ მოსე ხონელი „უმთავრესად სპარსული ლიტერატურის ტრადიციების რკალშია და, ვინ

---

36 ნარკვევები, I, თბ., 1945, გვ. 25—27; აგრეთვე ალ. ბარამიძე, „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხისათვის“, (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 6, თბ., 1943).

იცის, იქნებ მოსე ხონელის თხზულება რომელიმე სპარსული საგმირო-ეპიკური ხასიათის დიდი ნაწარმოების ნაწილსაც კი წარმოადგენდეს“[37]. მიუხედავად ამისა, დ. კობიძეს შესაძლებლად მიაჩნია „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობა ქართულ ნიადაგზე, ინგლისელ მეცნიერებს ბარამიძისეული შეპირისპირება რამდენადმე „ზედაპირულად“ მიაჩნიათ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ არსებობს ჰამზას რომანის, უმეტეს წილად, ნაკლებცნობილი, ერთურთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ხელნაწერი ვერსიები, რომელთა სრული გაუთვალისწინებლობა ვერ მისცემს მკვლევარს შესაფერისი დასკვნების გამოტანის საშუალებას. ეს შენიშვნა ალ. ბარამიძემ გაიზიარა. „ჩვენც არ დაგვიჩემებია, რომ „საბოლოდ გავარკვიეთ „ამირანდარეჯანიანისა“ და „ყისაი ჰამზას“ დამოკიდებულების პრობლემა. „ყისაი ჰამზას“ ჩვენ ხელთ არსებული ვერსიისა და „ამირანდარეჯანიანის“ შეპირისპირების ნიადაგზე კი გარკვეული დასკვნები გამოვიტანეთ“[38]. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელმა მეცნიერებმა ახალი ნაბიჯი გადადგეს წინ საკვლევი სფეროს შემდგომი გაფართოებისათვის („ყისაი ჰამზას“ სხვა ვერსიები გამოიყენეს), არსებითად ალ. ბარამიძის დასკვნებს არ გასცილებიან, ძირითადად იზიარებენ მის შეხედულებებს, მაგრამ დასკვნა სხვადასხვაგვარი გამოაქვთ (ინგლისელმა მეცნიერებმა დიდი ჯაფა გასწიეს იმ კუთხით, რომ დაწვრილებით შეუდარეს ერთმანეთს ეს ორი ძეგლი, ინგლისელ მკვლევართა განკარგულებაში იყო უახლესი სპეციალური ლიტერატურა და „ყისაი ჰამზას“ სხვადასხვა ხელნაწერი თუ ბეჭდური ვერსიები, მათ შორის დღემდის უცნობი ქართული ვერსიის ხელნაწერის ტექსტი ბოდლის ბიბლიოთეკიდან). მაგრამ, როგორც ალ. ბარამიძე სამართლიანად აღნიშნავს, „ინგლისელი მეცნიერები იზოლირებულად იკვლევენ ორივე ძეგლს და ნათესაურ ადგილებს ხაზგასმით აღნიშნავენ (ეს ნათესაური ადგილები არც ქართველ მეცნიერებს უარუყვიათ ოდესმე)“. უწიხარეს ყოვლისა, ისინი მიუთითებენ იმ მომენტებზე, რომლებზედაც ადრე ბარამიძეს მითითებული ჰქონდა. მათ უკვირთ კიდეც, რომ „ბარამიძე, რომელმაც პირველად აღიარა ჰიპერბოლა, უარს ამბობს გაავლოს საგულვებელი პარალელები აძირ ჰამზას რომანთან და მისი ტიპის სხვა სპარსულ ნაწარმოებებთან“. ინგლისელ მეცნიერებს ნიშანდობლივ პარალელად მიაჩნიათ ორთაბრძოლანი და თილისმების მოტივები.

როგროც ვხედავთ „ამირანდარეჯანიანის“ ჟანრობრივი ხასიათის

---

[37] დ. კობიძე, „ამირანდარეჯანიანის“ სადაურობისათვის, ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1944, გვ. 262—263.

[38] ალ. ბარამიძე, „ამირანდარეჯანიანის“ გარშემო, გვ. 272.

თაობაზე სრულიად სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი გამოითქვა. მარი ბროსემ მას სარაინდო რომანი უწოდა. იგივე თვალსაზრისს იზიარებდნენ ა. გრენი, კ. დონდუა, პ. ინგოროყვა. ნიკო მარი ფიქრობდა, რომ ეს საგმირო მოთხრობაა და არა რომანი. იუსტინე აბულაძის კვალიფიკაციით, ეს ძეგლი სადევგმირო მოთხრობაა, სტივენსონის აზრით კი, შუასაუკუნეობრივი ზღაპრების ციკლია, თუმცა საგულისხმო პარალელები გაჰყავს „როლანდის სიმღერასთან". „ამირანდარეჯანიანისა" და „როლანდის" შედარებამ შესაძლებლობა მისცა სტივენსონს გამოეყო ისეთი საერთო ნიშნები, როგორიცაა მონარჩისადმი ღრმა პატივისცემა, ქალის პიროვნებით დაუინტერესებლობა, საერთოდ რომანტიკული მგრძნობელობის მხოლოდ ჩანასახის ფორმით გამომჟღავნება, ადამიანური და რაინდული კეთილშობილება.

რ. სტივენსონის ეს პარალელი შემთხვევითი არ ყოფილა და მეცნიერი ამ დასკვნამდე, უსათუოდ, შუა საუკუნეების ეპიკური ლიტერატურის თუ სარაინდო ციკლის ნაწარმოებთა საერთო ესთეტიკისა და ტენდენციების გათვალისწინებამ მიიყვანა. მართალია, მას კონკრეტულად არ აღუნიშნავს ის საერთო და წამყვანი ტენდენცია, რითაც ევროპული და აღმოსავლური ეპიკური და რაინდული ლიტერატურა ხასიათდებოდა. რამდენიმე მათგანზე ჩვენ მივუთითებთ. ცნობილია, რომ ამ ეპოქის ძეგლებში ძალზე მცირე როლი ენიჭებოდა ადგილობრივი კოლორიტის ასახვას (ამდენად, თუ ევროპულ შუა საუკუნეების ან უფრო ადრინდელ ეპოსს ანტიკური სამოსელი ჰქონდა, ქართულ ლიტერატურას აღმოსავლურ-სპარსული „გარეგნობა" მსჭვალავს, რამაც ბევრ მეცნიერს მცდარი დასკვნა გააკეთებინა). ასეთი ეგზოტიკური ელემენტი ის თვალისმომჭრელი ზღაპარი იყო, რომელიც იმდროინდელ ფეოდალურ გემოვნებას ხიბლავდა. ამიტომაც, ერთი შეხედვით, „ტიპიურად ქართული" „ამირანდარეჯანიანში" არაფერი არ არის. შუა საუკუნეების მწერლებისათვის არსებობდა რაღაც ზემოთ აღნიშნული მოდელები, მაგრამ მათთვის მთავარი იყო არა კოლორიტის ან ეპიზოდის აღდგენა, არამედ მარადიული ამბავი, რომელიც ყველა ეპოქისათვის ჭეშმარიტების საზომს წარმოადგენს. ამიტომ რომანთან დაკავშირებული მომდევნო ხანებში აღმოცენებული ესთეტიკა დავიწყებულ უნდა იქნას „ამირანდარეჯანიანის" ციკლის სადევგმირო მოთხრობასთან თუ რომანთან მიყენების დროს (მომდევნო ეპოქაში რომანმა ხომ საერთოდ უარყო ეგზოტიკური ელემენტი). XII საუკუნის ევროპაში კვლავ აღორძინდა ბერძნული აზროვნება, არაბული კულტურაც თავის ადგილს იჭერს ამ სამყაროში. არისტოტელე, პტოლომე, პლატონი, ჰიპოკრატე თავიდან ითარგმნებიან ლათინურად და რომანისტები კვლავ სარგებლობენ პლატონით, არისტოტელეთი, ოვიდიუსით. როგორც მოსწრებულად აღნი-

შნავს პიერ დექსი, ფრანგი ლიტერატორი, ისინი წარმართული სამყაროს მონაპოვრებით სარგებლობენ და სინდისის ქენჯნას არ განიცდიან.

„ამირანდარეჯანიანი“ (სამწუხაროდ, სადევგმირო მოთხრობებიდან ესღა შემოგვრჩა) როგორც არ უნდა განვიხილოთ და მივუდგეთ მას, გვიტაცებს სარწმუნოებრივი აღმსარებლობის სრულიად ნეიტრალური ტენდენციით, რელიგიური პათოსის გარკვეული იგნორირებითა და ინდიფერენტიზმით. ეს, ალბათ, ჰუმანიზმის პირველი კვირტია. ანტიკური სიბრძნე ევროპისათვის, სპარსული სიბრძნე აღმოსავლეთისათვის. ხელს უწყობს ავტორებს ახალი კუთხით შეხედონ სამყაროს. საგმირო პოეზიაში და პროზაში საერთაშორისო მასშტაბის მოვლენაა თვით ის ფაქტიც, რომ მიჯნურობა, სქესობრივი სიყვარული უცნობია ამ პერიოდის ლიტერატურისათვის. იგი გულგრილია ამ თემის მიმართ. ისევე როგორც გულგრილია იმის მიმართ, ვის ახსამს ხოტბას — ქალს თუ კაცს. ვეფხისტყაოსანში გამოხატული სიყვარული იმდენად ძლიერ ფორმებს აღწევს, რომ სატრფოთათვის განშორება ტრაგიკულ უბედურებას წარმოადგენს, სტიქიასავით ატყდებათ მათ თავზე ეს განსაცდელი (დღეს ასეთი რამ რომანში წარმოუდგენელია). ამიტომ ისინი წარმოუდგენელ საფრთხეში იგდებენ თავს, სიცოცხლეს სასწორზე დებენ, ოღონდაც ერთმანეთი მოიპოვონ. და ეს მომენტი, საერთოდ, ნიშანდობლივია შუა საუკუნეების ახალი რომანისათვის. შუა საუკუნეებზე ადრე კი ამაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. შუა საუკუნეები იწყება იმით, რაზედაც გაჩერდა ძველი სამყარო სიყვარულთან დაკავშირებით.

საგმირო-საფლავნო ძეგლები თავიანთი სისასტიკითა და სიტლანქით ატარებენ ეპოქის მკვეთრად გამოხატულ ნიშნებს. არ ხდება გმირთა შინაგანი, სულიერი ცხოვრების ასახვა. ამ ეპიკური ნაწარმოებების სისუსტეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მათში მკვეთრად არ არის გამოხატული სამშობლოსადმი სამსახურის იდეა. წამოწეულია განძის, ოქროს, ხელში ჩაგდების სურვილი. ამიტომაც, ისევე როგორც ევროპულ, აღმოსავლურ, ქართულ სარაინდო რომანშიც გმირები არ არიან დაჯგუფებული იმის მიხედვით, თუ რამდენად ემსახურებიან ისინი თავიანთ ქვეყანას, ხალხთა ინტერესებს. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგივე „ამირანდარეჯანიანში“ უგულებელყოფილია სამშობლოსადმი სამსახურის იდეა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: დ. ლანგი და მერედიტ-ოუენსი „ამირანდარეჯანიანისა“ და სპარსული „ყისაი ჰამზას“ შედარების დროს იმდენად გაიტაცა ნათესაური ადგილების ძებნამ, რომ მხედველობიდან გამოუშვეს რამდენიმე არსებითი მომენტი, რაც საფუძველთა საფუძველია შუა საუკუნეების

რაინდული ლიტერატურისა და ტრადიციისა. პირველი არსებითი მომენტი ის გახლავთ, რომ გადმოკეთება, უცხოური მასალის ადაპტაცია, მისი გადამუშავება ამ ეპოქის ესთეტიკის, ეპოქის მოთხოვნების წამყვანი ტენდენციაა. ეპიკური თუ საგმირო-სარაინდო თქმულებებიდან აღებული მასალა, სიუჟეტური ჩონჩხი საერთოა, მაგრამ მასალის გაშუქება ხდება ახლებურად, ისე, როგორც ამას გაბატონებული იდეოლოგია მოითხოვს. ასე მაგალითად, ევროპული შუა საუკუნეების ბევრი ძეგლი უცხოური მასალის გადაკეთებას წარმოადგენს. „სიმღერა ალექსანდრეს შესახებ“ ძველთაგანვე გავრცელებული თქმულებებია ალექსანდრე მაკედონელზე. ეს რომანი შეიქმნა ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეში. იგი გერმანულადაც და ფრანგულადაც ითარგმნა. ასევე ფრანგული „სიმღერა როლანდზე“ გადმოკეთდა მეთორმეტე საუკუნეში გერმანულად და ეს ორი ძეგლი საგულისხმო საკითხებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამდენად, ეპიკური პოეზიის ნიმუშები XI—XII საუკუნეებში ახალი სოციალური ფაქტორების გავლენით იცვლიან ხოლმე ადრინდელ სახეს და სარაინდო, სადევგმირო ლიტერატურის ტრადიციებს ეგუებიან. სწორედ აქედან გამომდინარე ჩვენ სავსებით დამაჯერებლად გვეჩვენება, რომ „ამირანდარეჯანიანი“ არ არის სპარსულიდან ნათარგმნი თხზულება და ის ორიგინალურ ძეგლს წარმოადგენს, მისი ორიგინალობის მაჩვენებელი თვისებები კი ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ.

რაც შეეხება კონკრეტულად თარგმანს, ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ თარგმანი შესრულებულია დიდი კეთილსინდისიერებით, რიგიანად. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ ინგლისურ თარგმანს ქართული გამოცემის ყველაზე უვარგისი ვარიანტი დაედო საფუძვლად. ამაზე, პირველ რიგში, მთარგმნელს უსაყვედურეს დავით ლანგმა და შემდგომ — ბ. სერებრიაკოვმა. აღმოჩნდა, რომ ზ. ჭიჭინაძისეული გამოცემა ნაკლულია, გამოტოვებულია მთელი რიგი გვერდები, სტილი აქა-იქ დარღვეულია. რა თქმა უნდა, ყველა ამ ნაკლმა თარგმანში თავი იჩინა. თავად სტივენსონი კი დედნის მეტისმეტი ერთგულია. ტექსტი ესმის და აზრის დამახინჯება თითქმის არსად არ შეგვიმჩნევია. როგორც საგმირო-საფალავნო თხზულება „ამირანდარეჯანიანი“ მხატვრული სამკაულებით დიდად არ გამოირჩევა. თუმცა ტექსტი, სტილური ლაპიდარობით და გამოთქმათა სიმკაცრით არის აღსანიშნავი და საერთოდ საგმირო რომანისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი ახასიათებს.

რობერტ სტივენსონი ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი და ინტერპრეტატორი

70-იანი წლების მიწურულს ინგლისურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ რიგით მეოთხე თარგმანი გამოქვეყნდა. ეს თარგმანი, თავისი წინასიტყვაობითა და კომენტარებით, რობერტ სტივენსონის მიერ შესრულებული, ინგლისელი მეცნიერის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. საერთოდ რუსთაველის შემოქმედებასა და მის პიროვნებაზე მთლიანი კონცეპციის აგება, ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის მსოფლიო მასშტაბით გააზრება, ქართული პოეტური კულტურის ღრმა ფესვების შემეცნებასა და შესისხლხორცებას თხოულობს ყოველი მეცნიერისაგან, მით უმეტეს — უცხოელისაგან. რ. სტივენსონის მთელი რუსთველოლოგიური მოღვაწეობა იმას მოწმობს, რომ მას შესანიშნავად აქვს გააზრებული რუსთველური კორპუსის მთელი პრობლემატიკა, თანამედროვე რუსთველოლოგიის ამოცანები, ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე გარდასახვის სიძნელეები. ინგლისელ ქართველოლოგს აფიქრებს და ესმის ის გარემოება, რომ ეპიკური ქმნილების თარგმნა ერთჯერად იშვიათად რომ ვინმემ შეძლოს. ინგლისურად არსებულმა მარჯორი უორდროპისა და ვენერა ურუშაძის ვეფხისტყაოსნის თარგმანებმა დიდი კეთილშობილური მისია შესანიშნავად შეასრულეს. ქართველობა ყოველთვის მადლიერებით მოიხსენიებს სათნოებით აღსავსე და დიდად განათლებულ მანდილოსანს — მარჯორი უორდროპს, რომელმაც ქართველი ხალხის მისწრაფებანი და იდეალები ისე გაიგო, თითქოს, ამ ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი ყოფილიყო. რ. სტივენსონი მ. უორდროპის ამ დიდ დამსახურებას ყოველთვის ითვალისწინებს, მაგრამ სრულიად სამართლიანად მიაჩნია, რომ ვერც ერთმა მთარგმნელმა ვერ გაართვა სრულყოფილად თავი ვეფხისტყაოსნის სტილისა და აზრის ინგლისურად გარდასახვის ურთულეს ამოცანას, მის მხატვრულ სახეთა სინატიფისა და აზრის სიღრმის სრულყოფილად გამომჟღავნებას და ეს არც იყო გასაკვირი. ყოველი ახალი თაობა, ყოველი ეპოქა ხომ თავისებურად და ახლებურად შეიმეცნებს თავისი ერის ყველა უკვდავ ძეგლს, ყველა ეპოქაში ხომ ახალი წახნაგით აკიაფდებიან გენიალური ქმნილებები და ეს ახალ ამოცანებს აყენებს ყოველი ლიტერატურული თაობის წინაშე. ბანალური აზრია, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენოთ, რომ გენიალურ ქმნილებათა ზუსტი თარგმნა შეუძლებელი საქმეა და ამ შეუძლებლობაში ბუნების სრულიად კანონზომიერი საიდუმლოება იმალება. „ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მათი დუბლიკატები გაჩნდებოდნენ სხვადასხვა ენაზე“ (კ. გამსახურდია). ამიტომაც რ. სტივენსონის მიერ ჯერ კიდევ 50-იანი წლების მიწურულს ჩა-

ფიქრებული ვეფხისტყაოსნის თარგმნის სურვილი სრულიად შეესაბამებოდა პოემის ინგლისურ ენაზე ამეტყველების უკეთილშობილურეს ამოცანებს. ეს იყო ახალი ეტაპი ინგლისურ რუსთველოლოგიაში და ეს ეტაპი რობერტ სტივენსონისა და მისი ლიტერატურული თაობის სახელთანაა დაკავშირებული.

ვეფხისტყაოსნის თარგმნა ინგლისელმა მეცნიერმა პოემასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების კვლევით დაიწყო. მის რუსთველურ ძიებებში გარკვეულად აირეკლა, და ეს სხვანაირად შეუძლებელიც იყო, ქართული კრიტიკის, ფილოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ტენდენციები, რომელთაც თავისი ნაკლიც გააჩნია და ღირსებაც, მაგრამ მეცნიერმა მაინც შეძლო რუსთველოლოგიური პრობლემების საკუთარ მეცნიერულ ბრძმედში გატარება და ძალდაუტანებელი და ლოგიკური დასკვნებით ძირითადად სწორად გადაწყვეტა ვეფხისტყაოსნის კონსტრუქციისა და მისი შემოქმედებითი მეთოდის გაგების საკითხები. თუ მას ამ მხრივ ხარვეზები გააჩნია და ამისგან მაძიებელი სულ არასოდეს არაა დაზღვეული, ეს მრავალი მიზეზით შეიძლება აიხსნას და ამ საქმეში ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობა დიდი სიკეთის მომტანია.

ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორს რ. სტივენსონმა შემდეგი გამოკვლევები მიუძღვნა: 1. „ქართული კურტუაზიული სიყვარული", რომელთაც იგი ორიენტალისტთა მეოცე საერთაშორისო კონგრესზე წარდგა 1954 წელს ინგლისში[39]; 2. „შენიშვნები რუსთაველის ვეფხის სიმბოლოს თაობაზე"[40]; 3. „რუსთაველი და არიოსტო"[41]; 4. „რუსთაველის თარგმანის საკითხები"[42]; 5. ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა — გამოკვლევა კომენტარებითა და შენიშვნებით[43].

ყველა ეს გამოკვლევა თავისებურად მნიშვნელოვანია და ყურადსაღები. მკვლევარს ისინი წამოეჭრა გზადაგზა ვეფხისტყაოსნის ტექსტის თარგმნისა და მასთან უშუალოდ შეხებისას. ამ მეცნიერული ნარკვევების ყურადღებით წაკითხვისას საკამათო საკითხებიც წამოიჭრება, შესაძლოა, მკვლევარს არ დაეთანხმო, მაგრამ პირველი,

---

[39] A Georgian Amour Cortois. Proceedings of the Twenty International Congress of Orientalists (Cambridge, August, 1954) London, 1957.

[40] A Note on Rustaveli's Panther Symbol, „Bedi Kartlisa", N. 26—27, 1957.

[41] Rustaveli and Ariosto, „Bedi Kartlisa", N. 32—33, 1959.

[42] On Translating Rustaveli, „Bedi Kartlisa", N. 32—33, 1959.

[43] Shota Rustaveli, „The Lord of the Panther's Skin", Introduction XII—XXIX by R. H. Stevenson, State University of New York Press Albany 1977.

რაც უსათუოდ კეთილად განაწყობს მკითხველს ინგლისელი მკვლევრისადმი ის გახლავთ, რომ მეცნიერი არასოდეს არ ივიწყებს, რომ ვეფხისტყაოსანი ადამიანურ ვნებათა ჭიდილზე, მათ სულში დატრიალებულ ქარიშხალზე, სასოწარკვეთაზე და იმედზე, პიროვნების ხასიათთა ინდივიდუალობაზე, პიროვნების სულის ხვეულების საიდუმლოებაზე დაწერილი პოემაა და არა ეგზოტიკური რომანი ევროპელთათვის „უცხო“ და „გაუგებარი“ სისხლის ცრემლებით, ფიზიკური ძალ-ღონის კულტით, გმირის ფათერაკიანი თავგადასავლებით, აღმოსავლური თვალისმომჭრელი ბრჭყვიალა მეტაფორებით და ა. შ. მთარგმნელს ვეფხისტყაოსანი გაგებული აქვს. როგორც სულითა და ხორცით ძლიერი ადამიანური სტიქიის გამომხატველი ნაწარმოები, სადაც პოეტის მზერა მუდამ გმირის სულის ჩვენებაზეა გადატანილი. გმირის მომაჯადოებელი სილამაზე მოვლენის მხოლოდ ზედაპირული და ემპირიული დახასიათებაა. აქედან იწყება გმირის სულის თავგადასავალი, სადაც ფათერაკიანი ამბები გმირის პიროვნების მეს გამოვლენას და გამოცდას ემსახურება. ტარიელის მშფოთვარე სახე და მდუღრად ანატირი გული, სისხლის ცრემლები, ბროლის წვიმებისათვის დაგებული გაშრის ღარები, ადამიანებთან დაშორება და განმარტოებული ცხოვრება (სევდად მექცა კაცთა ნახვა), ხორცისა და სულის გაყრაზე გაუშორებელი ფიქრი, შესაძლოა, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ზედმეტ და უსარგებლო ჰიპერბოლად მოეჩვენოს. ვეფხისტყაოსანში იმდენი ცრემლი და ტირილია, რომ „მსოფლიო წარღვნის“ მოლოდინი გიპყრობს უნებურად. მაგრამ ამ მხატვრულ „სანაკაულს“ რუსთაველი ისეთ დამაჯერებლობას სძენს, რომ სრულიად ნათელია, ეს არის სულიერი განწმენდისა და კეთილშობილების, ჭირთა თმენისა და სულიერი გამოცდის ურთულესი გზა, რომლის გადატანის შემდეგაც მკითხველის თვალწინ იბადება ზნეობრივად ამაღლებული პერსონაჟი და მისი ხასიათი. პირველი შეხვედრა ტარიელისა და ავთანდილისა არასოდეს იშლება მეხსიერებიდან:

> ყელი ყელსა გარდააჭდეს, ერთმანეთსა აუტირდეს,
> ჭარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.

ან

> ერთვან დასხდეს და იტირეს დიდხანს ცრემლითა ცხელითა...

და ასე შემდეგ მთელ პოემაში.

რობერტ სტივენსონმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ცრემლთა ხსენების ამ მომენტს ვეფხისტყაოსანში და იგი პოემის აუცილებელ და ბუნებრივ ატრიბუტად მიიჩნია წინაალმდეგ იმ თვალსაზრისისა, რომლის მიხედვითაც, გრძნობათა ასეთი უზომო და გადაჭარბებული გამოხატვა ევროპელი მკითხველისათვის გაუგებარია. მინდა აღვნი-

სამკაულადაა გამოყენებული და ისეთ რთულ კონტექსტში გვევლინება, სადაც ან გრძნობათა (ლეილი და მეჯნუნი“), ან გარკვეული სახის სამეჯნურო („ვისრამიანი“) განწყობილებაა გამეფებული. იგივე ცრემლები სარაინდო რომანში უადგილოდ მოგვეჩვენებოდა“[45].

სტივენსონს სავსებით სწორად ესმის, რომ ვეფხისტყაოსნის განცრი უნდა შეიმეცნოს ვნებათა ჰიდრილში და რომ ამ გმირთა პირადნული სრულყოფილების საფუძვლების ერთ-ერთი გამოვლენა „პოემის გმირების თვალთაგან გადმონადენი ცრემლის გუბეებია...“.

რაც შეეხება „შაჰ-ნამეში“ დაცრილი სისხლის ცრემლების ფუნქციას, ან „ლეილი და მეჯნუნსა“ და „ვისრამიანში“ ამ კლიშეს გამოყენებას, ეს საკითხი იყო მეცნიერთა დაკვირვების საგანი და მასზე საუბარს აქ ვერ შევუდგებით.

რ. სტივენსონის მიერ დასმულ რუსთველოლოგიურ საკითხთაგან შეიძლება, პირველ რიგში, გამოვყოთ ვეფხისტყაოსნის მიმართება აღმოსავლურ პოეზიასთან. ეს თემა სტივენსონს დამუშავებული აქვს წინასიტყვაობაში, რომელიც ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანს უძღვის და ჯერჯერობით ამ წინასიტყვაობის არც ქართული თარგმანია გამოქვეყნებული.

საერთოდ რუსთაველის შემოქმედების მიმართება აღმოსავლურ თუ დასავლურ სამყაროსთან რუსთველოლოგიის აღმოცენებისთანავე დაისვა. თუმცა არაერთი კურიოზული „აღმოჩენაც“ თან დაჰყვა რუსთველოლოგიას თავისი ისტორიის მანძილზე, მაგრამ ყოველ მათგანს თავისი განვითარებისა და ევოლუციის ხანგრძლივი და დრამატული ისტორია აქვს. დრამატული იმიტომ, რომ რუსთაველის შემოქმედების აღმოსავლური ძირების ძიებამ ერთ დროს ლამის საფუძველი გამოაცალა პოემის ორიგინალობას და ქართველი ხალხის სათაყვანო ეპოსი უცხო სინამდვილის გამომხატველ ქმნილებად დაისახა, ხოლო ტაეპი „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ საბედისწერო გამოდგა რუსთაველისათვის და ვეფხისტყაოსნის — ორიგინალის ძიება, ცნობილია, რითაც დამთავრდა. დღეს ბევრმა გამოკვლევამ, ამ თემაზე დაწერილმა, დროის გამოცდას ვერ გაუძლო. მით უფრო საინტერესოა, როგორ ინტერპრეტაციას აძლევენ უცხოელი მეცნიერები ქართული კულტურის მიმართებას აღმოსავლურ სამყაროსთან და ჩვენი მწერლობის ისტორიის რომელ მხარეებს ახსნის ამ მიმართებათა კვლევა-ძიება. „მთელ აღმოსავლეთს და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოსაც კი, ჭეშმარიტი რაინდული ეპოსის თვალსაზრისით, აწევს შაჰ-ნამეს გიგანტურ სახეთა კოლოსი, რომელშიაც ნაციონალური სიამაყისა და თავისებურების სტილით სპარსეთის

---

45 რ. სტივენსონი, დასახ. ნაშრ., გვ. 204.

დიდი ისტორიული ცხოვრებაა ასახული... საერთოდ კი აღსანიშნავია ევროპული რაინდული რომანის იდეალების სპარსული საზოგადოებრივი ყოფის ელემენტებით შეფერილობა. ფეოდალური ვალდებულება სუზერენისადმი, რაინდული თაყვანისცემა მანდილოსნისა, გვარიშვილობის აპოლოგია, ეტიკეტის მნიშვნელობა ყოფაში — ყოველივე ეს სპარსულ საზოგადოებასა და ეპოსში ადრევე გამომუშავებული ჩვევებია"[46]. რა თქმა უნდა, ამ სრულიად სწორ მოსაზრებას დაამშვენებს მხოლოდ ისეთი გამოკვლევა. სადაც დაზუსტდება ლიტერატურულ გავლენათა ხასიათი და მნიშვნელობა, რადგანაც არ არსებობს იზოლირებული ლიტერატურა და არც კარჩაკეტილობას შეუქმნია როდესმე რაიმე ფასეული. ამიტომაც, სავსებით სწორია გ. იმედაშვილის შეხედულება, რომ „როგორც არ უნდა განვითარებულიყო ადგილობრივი ტრადიციების გარემოში ქართული მწერლობა, შეუძლებელია მისი მხატვრული აზრისა და სოციალური გემოვნების ევოლუციისათვის მნიშვნელობა არა ჰქონოდა მსოფლიო ლიტერატურის საყოველთაოდ ცნობილი ძეგლების არსებობას. რომელნიც მაშინდელი პოეტური სიტყვისა და აზრის მიღწევებს წარმოადგენდნენ. ამ მხრივ მოულოდნელი არ იყო, რომ ზოგჯერ ქართულ ეპიკურ ძეგლებს მათი იდეალებით, მოტივებითა თუ სახეებით „სარგებლათ". მაგრამ, უდავოა, რომ ქართული კულტურის ისტორიის გზებისა და მისი ევოლუციის საფეხურების გარკვევას აძველებს წყაროთა უქონლობა და ფრაგმენტულობა. ამან აფიქრებინა, ალბათ, ნ. მარს ვეფხისტყაოსანი მეტეორულ მოვლენად ჩაეთვალა. ვეფხისტყაოსნის შემოქმედი დიადი კულტურული ეპოქის ნაყოფია, მას შეწოვილი აქვს თავისი ეპოქის ყველა მიღწევა, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელი სამყაროა და როგორი მსგავსებები, პარალელები, ნათესაობაც არ უნდა აღმოვაჩინოთ პოემაში, რა ფილოსოფიური სისტემებიც არ უნდა იყოს მასში პოეტურად გარდასახული, რა უცხო წყაროებითაც არ უნდა სარგებლობდეს პოეტი, ვეფხისტყაოსანი ქართული ეროვნული ტრადიციების ბრძმედშია გატარებული და რელიგიურ თუ ფილოსოფიურ კონცეფციათა ძიება ამ პოემაში, შემდეგ კი პოემის მხატვრული სახის ახსნა ამ ძიებების შედეგებით. მხოლოდ სქოლასტიკური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა და პოემის რეალური გასაღები მაინც მუდამ საძიებელი გახდება. რუსთაველის ჰეშმარიტი შემეცნების სათავე ქართულ ეროვნულ სინამდვილეში უნდა ვეძიოთ. ისევ გ. იმედაშვილს დავიმოწმებთ: „რუსთაველის მსოფლმხედველობის პრობლემათა წყაროები საბოლოოდ მაინც ფილოსო-

---

46 გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა. თბ., 1968, გვ. 27.

ფიური და თეოლოგიური განათლების ორბიტში ერთდება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მოძღვრებას დაუკავშირდება ვეფხისტყაოსნის იდეების ახსნა—სიცოცხლისა თუ სიკვდილის საკითხები, ღმერთს, უზენაესი არსების, განგების ცნებათა გაგება, სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება, სულისა და სხეულის მიმართების პრობლემები. განა ქართული გონებისა და ევოლუციისათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლურ მისტიციზმსა და დასავლურ რაციონალიზმს, რაც მათ წარმომშობ ქვეყნებში ერთს თავისი პოლიტიკურ-სოციალურ დესპოტიზმით გაპირობებული რელიგიური ფანატიზმით, მეორეს თავისი რელიგიური ასკეტიზმით"[47].

ვეფხისტყაოსნის აღმოსავლური ძირების ძიებისას რ. სტივენსონი, ვფიქრობთ, ზომიერებას იჩენს და რუსთაველის მხატვრულ სახეთა თუ მისი იდეოლოგიის სააზროვნო სინამდვილის საფუძვლების ძიებისას რუსთაველს მაინც საკუთარი, განსაკუთრებული შთაგონებისა და წარმოსახვის შემოქმედად მიიჩნევს. ნიშანდობლივად მიმაჩნია ის გარემოება, რომ ინგლისური ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობას ის იწყებს შემდეგი ტაეპის განმარტებით: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები". ამით, თითქოს, თავიდან უნდა აიცილოს ყოველგვარი გაუგებრობა, რომელსაც წააწყდება ინგლისელი მკითხველი პოემის გაცნობისას. აი, რას წერს რ. სტივენსონი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები", ვეფხისტყაოსნის დახასიათებაა პროლოგში. ამ სტროფის რუსთველურობაში ეჭვი შეჰქონდათ, მაგრამ ეს ეჭვები ვერ დაადასტურეს და ეს კი ძალზე ნიშანდობლივია. თუმცა ნაწარმოები სრულიადაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, მის სპარსულ წრმომავლობაზე ვიფიქროთ; სპარსნი მხოლოდ ერთ პატარა ეპიზოდში გამოჩნდებიან როგორც არასასიამოვნო უცხოელები... პროლოგის ეს სტროფი, ალბათ, გაგებულ უნდა იქნას როგორც პოეტური მინიშნება ისეთ ამბავზე, როგორსაც სპარსი პოეტები წერენ. ამ თვალსაზრისით, რუსთაველის სიტყვები, ალბათ, გარკვეულ სიმართლესაც შეიცავენ"[48]. რა საკვირველია, კლასიკური სპარსული ლიტერატურის უზარმაზარი პრესტიჟი დიდ გეოგრაფიულ რეგიონს მოიცავდა და მას შეეძლო გამსრესი გავლენა მოეხდინა ქართველ ერზე. მაგრამ ეს არ მოხდა მრავალი მიზეზის გამო და პირველი ის არის, რომ გავლენა არ იყო მხოლოდ ლიტერატურული ინტერესებით შემოფარგლული, მას მრავალი შიდა დინება ჰქონდა და მოიცავდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების იმდენად მრავალფეროვან და

---

47 გ. იმედაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 138.

48 რ. სტივენსონისეული ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა, გვ. XII.

მრავალმხრივ მხარეს, რომ ათვისება ყოველთვის შემოქმედებითი და ეროვნული კოლორიტით დაღდასმული იყო. ქართული მწერლობის დიდოსტატები, როგორც კ. გამსახურდია იტყოდა, „იძულებულნი იყვნენ ბიზანტიელების, ირანელებისა და არაბების მწერლობათა პერმანენტული გავლენა ქართულ მეტყველებაში ნაციონალური კოლორიტით აღებეჭდათ. ამიტომ აქვთ ნაციონალური „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“ და სხვა. ერთი მხრივ, აღმოსავლური მწერლობის თარგმანთა ეროვნული კოლორიტის აღბეჭდვა და „მეორე მხრივ, ბერძნულიდან ნათარგმნი სასულიერო მწერლობა თანაბრად ჰკვებავს და ანაყოფიერებს ქართული კულტურის სხვადასხვა ფორმებს, სადაც მას უდიდესი ქართული ფოლკლორის სტიქია ერთგვარად იმორჩილებს და აოკებს“.

რ. სტივენსონს ვეფხისტყაოსნის სპარსული შეფერილობა გაგებული აქვს ისე, როგორც ეს შეიძლება შეიმეცნოს და აღიქვას ნატიფი პოეტური სმენის ადამიანმა. „ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, ეს ბრწყინვალე ანარეკლი სპარსული მითოლოგიისა, ფოლკლორისა და ისტორიისა, რომლის პოეტიკასაც ჩვენს მოსაზრებათა დასადასტურებლად სპარსულ ტრადიციას ვუწოდებთ — ნარცისის თვალები, ყორნისფერი თმა, საროს ან ალვისტანი, ვარდისფერი ლოყები, ლალის ტუჩები, მელნის წამწამები, ლომგული გმირები, მნათობმეტყველება — უკვე თავისუფალია ყოველგვარი პროვინციული შეზღუდულობისაგან, რაც, შესაძლოა, სპარსულ ლიტერატურას განვითარების ადრეულ ეტაპებზე ჰქონდა. არსად ფირდოუსსა და მის მიმდევრებს იმდენი თაყვანისცემა არ რგებიათ, რამდენიც საქართველოში. ამ თაყვანისცემას ქართველები, თურქების, ავღნელებისა და ინდოელების მსგავსად, მონურ მორჩილებამდე არ მიუყვანია. უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრეებს, რომლებიც ორთოდოქსული ქრისტიანობის განშტოებას მიეკუთვნებიან, გაცილებით მეტად სჭირდებოდათ თავიანთი ინდივიდუალობის დამტკიცება. და თუ რუსთაველსა და მის მომდევნო ეპოქასაც სპარსული ტრადიცია უმაღლეს გემოვნებად მიაჩნდათ, მათი პოეტიკის სალაროთი და ალუზიებით სარგებლობდნენ, არ შემცდარან[49]... რ. სტივენსონმა არაერთი მაგალითის მოყვანით „ვისრამიანიდან“ „ლეილა და მაჯნუნიდან“, „შაჰნამედან“ დაასაბუთა „წყაროები“ რუსთველის შთაგონებისა. ამ მხრივ ის არ იშურებს არც ცოდნასა და არც ენერგიას. მაგრამ ყველაფერი ეს მას მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ უფრო ნათელი გახადოს რუსთაველის ორიგინალური, ეროვნული ენერგიით აღბეჭდილი პოეტური სისტემა, სადაც ნაწარმოების პერსონაჟები თავისუფალნი არიან ყოველგვარი მის-

49 რ.სტივენსონისეული ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა, გვ. XIII—XIV.

ტიციზმისაგან. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უცხო სინამდვილის კვალის ძიება ვეფხისტყაოსანში, წმინდა ფილოსოფიური საკითხების თუ პოეტური ტრადიციების პოზიციიდან, ხშირად აბნევს ამა თუ იმ მკვლევარს და ორიენტირს უკარგავს. და ამის მიზეზი მხოლოდ ის გარემოებაა, რომ ძალიან ადვილია მხედველობიდან გამოგვრჩეს რუსთაველის პოემის წყაროების როლი და მნიშვნელობა საზოგადოდ. ეს როლი კი ის გახლავთ, რომ აღმოსავლური ძირები და წყაროები უკვე რუსთაველამდეც კი ეროვნული გემოვნების ცხრილში იქნა გატარებული და ორიგინალური პრესტიჟის ხასიათს ატარებდა. ეს არის მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რადგანაც ხშირად რაც წყარო ან გავლენა ჯგონიათ, ერის მიერ უკვე გადახარშული, ტრადიციად ქცეული მოვლენაა.

ქართველი მკითხველისათვის რუსთაველის მიმართება აღმოსავლურ სამყაროსთან ერთგვარად განვლილი და განცდილი ეტაპია. ჩვენი მეცნიერების ნაშრომები ამ მხრივ უმდიდრეს მასალას შეიცავენ (ალ. ბარამიძე, დ. კობიძე, გ. იმედაშვილი, ს. ცაიშვილი და სხვები) და ამის შესახებ მსჯელობა აქ უადგილოდ გვეჩვენება. თუ რ. სტივენსონი ვრცლად ჩერდება ამ საკითხზე, ეს გარემოებითაც და აუცილებლობითაც არის ნაკარნახევი. მას პოემის ინგლისურ ენაზე წამკითხველი მრავალრიცხოვანი მკითხველისათვის უნდა განემარტა ვეფხისტყაოსნის რაობა და თავი დაეზღვია სავალალო შეცდომებისაგან. ეს თარგმანი ხომ იუნესკოს სერიით და დავალებით არის შესრულებული. იუნესკოს საერთაშორისო ორგანიზაცია ფილოსოფიური და ჰუმანიტარული სერიის ეგიდით სცემს მსოფლიოს რჩეულ საგანძურს, სადაც ვეფხისტყაოსანმა რიგიანი და ოსტატურად შესრულებული თარგმანით თავისი ადგილი დაიკავა. სწორედ ამიტომაც, თავის წინასიტყვაში ასეთი კომენტარი გააკეთა ინგლისელმა მკვლევარმა: „საშუალო მკითხველისადმი განკუთვნილ გამოკვლევებში, რუსთაველის აღმოსავლურ წყაროებთან დამოკიდებულებას ძალზე ცოტა ყურადღება ეთმობა. ქართველ მეცნიერთა უმეტესობა ამ მოვლენას არც თუ დიდი მნიშვნელობის ფაქტორად მიიჩნევს“[50]. ჩვეულებისამებრ, უფრო დიდი აქცენტი კეთდება ვეფხისტყაოსნის მსგავსებაზე დასავლურ სარაინდო რომანთან. ასეთი მსგავსება ვეფხისტყაოსნის გარემოსა და დასავლურ ფეოდალური საზოგადოებასთან მართლაც არსებობს და ეს მსგავსებანი ხანდახან გასაოცრია. მაგრამ ისლამური სამყაროს გავლენის ცოდნა, რომელიც რუსთაველის და მისი მსმენელების შთაგონებას იპყრობდა, აუცილებელია მხოლოდ იმიტომ,

---

50 ერთგვარად გაუგებრად გვჩვენებს მკვლევრის ეს განცხადება, რადგანაც თემა „რუსთაველი და აღმოსავლეთი“ ეს მთელი კორპუსია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

რომ ევროპულ სარაინდო რომანზე აღზრდილი მკითხველი შეცდომაში არ შეიყვანოს სერ გოვეინისა და ამადისის სარაინდო თავგადასავლებმა, ასე საგრძნობლად რომ განსხვავდება აღმოსავლური სარაინდო ციკლისაგან. მისი აზრით, ქართული ტიპის ან მისი მსგავსი პატრონყმური ურთიერთობანი, კაცებს შორის მეგობრობა ევროპულ სარაინდო ლიტერატურაში წარმოდგენილია იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა დრამატულად დაძაბული სიტუაციისათვის, როცა ბრძოლა სატრფოს გამო ხდება. რაც შეეხება მეფისადმი ერთგულებას შუა საუკუნეებში, ის შეიძლება სიტყვიერად გამოიხატოს, მაგრამ საქმით მისი დამტკიცება ნაკლებად ხდება. ავთანდილის ეთოსი გამოიხატება მის ჭეშმარიტ პატივისცემაში მეფისადმი, რომელსაც არაბეთის სპასპეტი სიტყვითა და საქმით ამტკიცებს. მონარქი ევროპულ სარაინდო რომანში მეტწილად დახატულია როგორც მოტყუებული ქმარი. მეფე უბრალოდ მბრძანებელი ან ბატონია.

როგორც ვხედავთ, რობერტ სტივენსონს უფრო აწვარიშგასაწევად მიაჩნია რუსთაველის შთაგონების აღმოსავლური ძირების კვლევა-ძიება და ნაკლებ შედეგიანი ეჩვენება ვეფხისტყაოსნის ანალოგის ძებნა დასავლეთევროპულ სარაინდო რომანში მრავალი მოსაზრებათა გამო. ყოველ შემთხვევაში, იმ ფაქტს, რომ თავის ნარკვევში მან ძირითადად გამოკვეთა თემა „რუსთაველი და აღმოსავლური სამყარო“, მრავალი ახსნა მოეძებნება. მკვლევარმა ამ თემას სწორი ინტერპრეტაცია მისცა იმ კუთხით, რომ მრავალმილიონიან უცხო მკითხველს უჩვენა და გააგებინა, რომ ეს არის ეროვნული ეპოსი, სადაც უცხო, არაქართველი გმირებისა და ქვეყნების გარემოცვაში ისეთნაირად არის მოცემული ეროვნული სინამდვილის განცდა, ქართული სახელმწიფო იდეალი, სოციალური ჰარმონიის შეგნება, პიროვნების თავისუფლებისა და მისი პროგრესული იდეალების ქადაგება, რომ რეალური ისტორიის ნატამალი და კვალიც კი არსად ჩანს. ამ მომენტს ქართველი კაცისათვის არასოდეს არ შეუშლია ხელი, რომ ვეფხისტყაოსანი გაეგო როგორც ქართული სინამდვილე, თუმცა სხვა ეროვნულ ეპოსთა უმეტესობა ისტორიულ ქარგაზეა აგებული და ერთგვარად გალექსილი ისტორიაა. რუსთაველმა ქართული სინამდვილე ისეთი პოეტური ძალით აჩვენა, ქართული პატრონყმური იდეალები ისეთი ფსიქოლოგიური სიმართლით დახატა, რომელიც მხოლოდ საკუთრივ ქართული საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი. თუმცა პოემის ორიგინალობისა და ეროვნულობის დასამტკიცებლად არაერთგზის უცდიათ მკვლევრებს კონკრეტული ისტორიული ანალოგების მოძებნა ქართული სინამდვილიდან და. ბუნებრივია, მოუნახავთ კიდეც, რადგანაც ვეფხისტყაოსანი საამისოდ უხვ მასალას იძლევა. მაგრამ ამით პოემის ეროვნულობის დამტკიცება არა-

სწორი და გულუბრყვილო გზა იყო. მხატვრულ ტექსტთან კონკრეტული ისტორიის ამ მიზნით მიყენება მეცნიერულ მიზანს ვერ აღწევს. რუსთაველის მხატვრული განცდა შორს არის ისტორიული სინამდვილის აღწერისაგან. ეს ამოცანა მისი, როგორც პოეტის, ფუნქციაში და მისწრაფებაში საერთოდ არ შედის და ამით მისი პოემის ფორმაცა და შინაარსიც დახვეწილ მიმართებაშია ერთმანეთთან.

რუსთველოლოგიამ დიდი დ დრამატული გზა განვლო და ამ გზაზე ერთ-ერთი ეტაპი იყო პოემის ორიგინალურობის დამტკიცების „საჭიროება“. დღეს რუსთველოლოგიისათვის ეს ეტაპი განვლილია, მაგრამ მრავალი ბრძოლა იქნა გადახდილი, რომ საგნებს თავისი სახელი დარქმეოდათ. ამიტომაც უხსნის რ. სტივენსონი არაქართველ მკითხველს, როგორ უნდა გავიგოთ ვეფხისტყაოსნის სამყარო. ცდილობს კიდევ ერთხელ არ დაიბნეს მკითხველი. მის საბოლოო შეხედულებად ვეფხისტყაოსნის მიმართებაზე აღმოსავლურ სამყაროსთან შემდეგი სიტყვები უნდა მივიჩნიოთ: „შაჰნამე“, „ვისრამიანი“ და „ლეილა და მეჯნუნი“ სპარსული პოეტური მჭევრმეტყველების საგანძურია. ყოველ მათგანთან რუსთაველს თავისი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ მისი პოემა მისი საკუთრებაა. დიდი პოეტის შემოქმედებითი უნიკალობა ამის მაჩვენებელია. და მაინც, რუსტამის, ვისის, რამინისა და ყაისის ხსენებით თითქოს, დიდი სპარსი მელექსეების მარაქაში (ტრადიციის მიმდევრად) უნდა დაგვანახოს თავისი თავი“[51]. და თუ ჩვენ ჩვენი მხრივ იმას დავუმატებთ, რომ ვეფხისტყაოსანი სწორედ ამ ე. წ. სპარსულ ტრადიციასთან გაჯიბრებაც არის, მაშინ სტივენსონის ეს აზრი გასაზიარებელია და მან გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს. თუმცა, შესაძლოა, მეცნიერის ამ დასკვნას გამოედავონ და სწორედ ამ ფრაზით უსიამოვნო და არასწორი გზით ეკამათონ მას. ვინც სწორედ ამ თემაზე კამათისათვის გამოიწვევს მეცნიერს, მან მთლიანობაში და არსებითად უნდა გაიაზროს ინგლისელი მკვლევრის ერთიანი კონცეფცია ამ საკითხზე. „საერთოდ ორი სამყაროს გზაჯვარედინზე დაარსებამ არა მარტო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა დააკისრა საქართველოს. ქართული აზრი და გონება, ხასიათი და ტიპი ეროვნული თვითშეგნებისათვის ბრძოლაში ჩამოყალიბდა, ამდენად, დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროს იმდენად გადამწყვეტი ფაქტორი კი არ ჰქონდათ რუსთაველის შთაგონებისათვის, რამდენადაც საკუთრივ ქართულ სინამდვილეში არსებულ ლიტერატურულ ტრადიციებს, რომელიც რუსთაველის შემოქმედებითი ინდივიდუალობისა და მისი მხატვრული ინტერესების მიხედვით იქნა დაღდასმული“.

დასავლეთევროპული სარაინდო ლიტერატურისა და ვეფხის-

---

51 იხ. რ. სტივენსონის წინასიტყვაობა, გვ. XVII—XVIII.

ტყაოსნის დამოკიდებულების საკითხს სტივენსონი შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან ხსნის და ეს გზა მართებულად გვესახება. ვინც სხვადასხვა ლიტერატურათა შედარების დროს არ გაითვალისწინებს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სპეციფიკას, შესაძლოა, თავისი ნააზრევი ჩიხში მოამწყვდიოს და ზედაპირული, ემპირიული მასალის მოძიების იოლ გზას დაადგეს, რაც, რასაკვირველია, საკვლევ ლიტერატურათა სპეციფიკურ, ეროვნულ თავისებურებებსა და განსხვავებებს ვერ დაადგენს. სტივენსონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ იდეოლოგიურ გარემოს, რომელშიც ყალიბდებიან როგორც ვეფხისტყაოსნის, ასევე ევროპული სარაინდო რომანის პერსონაჟები. იგი ცდილობს მკითხველს დაანახვოს ამ გარემოს შედეგად წარმოშობილი სოციალური გემოვნება და პერსონაჟების ეთოსი, მათი მორალურ-ზნეობრივი კოდექსი, იმის გამო, რომ ქართული პოემა ამ მხრივ საგრძნობლად განსხვავდება როგორც სპარსული სარაინდო-სამიჯნურო რომანისაგან, ასევე ევროპულისაგანაც. „იდუმალებით მოცულ ვეფხისტყავით მოსილი რაინდის საძებრად მიმავალი ავთანდილი აღასრულებს ორ ვალდებულებას; მბრძანებელი დედოფალი მას დავალებას აძლევს როგორც ვასალსა და როგორც მიჯნურს... როგორც ქვეშევრდომს და სახელმწიფო მოღვაწეს მას შეგნებული აქვს თავისი მოვალეობანი; ამიტომაც დავალების შესასრულებლად მიმავალი, პირველ რიგში, თავისი სამეფოს თავდაცვაზე და მისი საზღვრების უვნებლობაზე ფიქრობს. ბუნებრივია, საჭირო განკარგულებებს აძლევს შერმადინს:

ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი,
დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,
წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი,
აქა სადმე არ ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი!

ძალზე ძნელია წარმოვიდგინოთ ლანსელოტი, რომელმაც უნდა დატოვოს მეფე არტური, ავთანდილის პრობლემებით შეწუხებული— მოაწესრიგოს ჯარი და სამოქალაქო საქმეები ისე, რომ მისი არყოფნა არავინ იგრძნოს.

როცა ავთანდილი ტარიელს იპოვის, ძმად შეეფიცება, არაბეთს ბრუნდება რათა თავისი ახალი მოვალეობა მისი ქალბატონის სამსახურთან შეათავსოს. მაგრამ წინააღმდეგობაში ვარდება ქალის სამსახურსა და თინათინის მამის ფიცს შორის და საბოლოდ ძმადნაფიცობის ფიცის აღსასრულებლად გაემგზავრება. და როცა ამ ვალსაც მოიხდის, უკან ბრუნდება და თავის მოხუც მეფეს შეწყალებას სთხოვს. ის უმტკიცებს ერთგულებას თავის მიჯნურს, მეგობარსა და ტახტს.

ერთგულების ტრიადის ასეთი ზუსტი დაცვის შემდეგ ნაწარმოებში ადგილი აღარ რჩება საგმირო ფათერაკებისათვის. ავთანდილს დრო არა აქვს გზაზე შემხვედრი ყოველი კაცის მიმართ გამოიჩინოს რაინდული თავაზიანობა, თუმცა ჩაგრულებს მუდამ ექომაგება. როცა ვაჭრებს მეკობრები თავს ესხმიან, ის ვაჟკაცურად იხსნის მათ მტრებისაგან და მასთან ერთად განაგრძობს მოგზაურობას. ვაჭრებთან ერთად მგზავრობა მის ინტერესებში შედის და დროებით ავთანდილისა და ვაჭრების ინტერესები თანხვდება. ის რაინდულ ჟესტს აკეთებს იმით, რომ მეკობრეებთან შებრძოლებას შედეგად მოპოვებულ ნადავლზე უარს ამბობს, მაგრამ როგორც მერე გამოტყდება, მისნაირი მდიდარი კაცისათვის ასეთი ნადავლი არაფერს ნიშნავს...

როგორც სამსახურისა და ერთგულების ნიმუში, ავთანდილს ხასიათი, ცხოვრებისეული პრობლემების მიზანსწრაფული გადაწყვეტით, დიდად ეხმარება ნაწარმოების სიუჟეტის განთავისუფლებას ისეთი ეპიზოდური შემთხვევებისაგან, რომლებიც ფათერაკების მაძიებელ რაინდს ჩვეულებრივად იზიდავს: შემთხვევითი ფათერაკების არარსებობა ვეფხისტყაოსანში რუსთაველის დამსახურებაა, ეს არის შუა საუკუნეების ეპიკოსი მწერლის უიშვიათესი თვისებათაგანი — მას ფორმის გრძნობა ჰქონია. პირველი წაკითხვით პოემის კონსტრუქცია. შესაძლოა, დახლართულად მოგვეჩვენოს, მაგრამ შემდგომი ჩაღრმავება ნათელს ხდის, რომ ყოველი მოქმედება ძირითად გეგმას ემორჩილება. ავთანდილის ორი გამგზავრება, პირველი — ტახტისა და მიჯნურის სამსახურისათვის და მეორე — მეგობრისთვის. ნაწარმოების არქიტექტონიკას აწონასწორებენ. თუმცა რუსთაველის ხელოვნება ამბავში ამბის ჩართვისა, მას საშუალებას აძლევს თავისუფლად იმოძრაოს დროსა და სივრცეში თხრობის თანმიმდევრული მდინარებით. შინაარსის მიმოხვრის გადმოცემის ხელოვნება და პროპორციის აბსოლუტური დაცვის გრძნობა იშვიათია ამ ეპოქის ლიტერატურაში.

რუსთაველის შედარება დასავლურ სარაინდო თხზულებებთან სტრუქტურული თვალსაზრისით საინტერესოა. „კლიჟეში“ კრეტიენ დე ტრუა მესამე ამბავს ისე იწყებს, რომ გმირი ჯერ არ არის დაბადებული. გოტრფიდ ფონ სტრასბურგელი ვერც კი ამთავრებს თხრობას ტრისტანის იზოლდასთან შეხვედრის შემდეგ. ვოლფრამ ფონ ეშენბახელის „პარციფალში“ არ ჩანს ნათესაური კავშირი შემთხვევასა და შედეგს შორის, საეჭვოა, რომ შუა საუკუნეების რომელიმე სარაინდო რომანი, აღმოსავლური იქნება თუ დასავლური, ასეთ ურთულეს შემოქმედებით ჩანაფიქრში ასეთ ერთიანობას ფლობდეს“[52].

სრულიად ნათელია, თუ რა დიდ როლს ანიჭებს ინგლისელი

52 იხ. დასახ. წინასიტყვაობა, გვ. XX, XXI.

მკვლევარი ვეფხისტყაოსნის არქიტექტონიკას, მის კომპოზიციურ აგებულებასა და სიუჟეტის ხვეულებრივ განვითარებას. მას ანალოგს ვერ უძებნის მის თანამედროვეთა შორის და ავლენს ყველა იმ უპირატესობას და დამსახურებას, რაც რუსთაველს მიუძღვის საერთოდ ლიტერატურაში. რუსთაველის დახვეწილობა და ლიტერატურული გემოვნება, მისი მთლიანი მსოფლშეგრძნება, სტივენსონს საშუალებას აძლევს ვეფხისტყაოსანი ინგლისურენოვან მკითხველს წარუდგინოს როგორც ჭეშმარიტი ეროვნული ეპოსი, რომელიც თამამად უსწორებს თვალს მსოფლიოს ლიტერატურულ ნიმუშებს და ხშირად უსწრებს კიდეც ახალი ლიტერატურული სიახლეების დანერგვაში. მას სურს, რომ ვეფხისტყაოსანი უცხო მკითხველმა შეიმეცნოს როგორც ეროვნული კულტურისა და სულის გამოხატულება. სადაც ყველაზე დიდი მშვენიერება ადამიანია, ადამიანის ნება-სურვილი და მისი სტიქია — ყოველისშემძლე ფაქტორი. და რომ ამიტომაც რუსთაველი არ წარმოგვიდგება, როგორც რომელიმე ფილოსოფიური სისტემის მიმდევარი ან გამლექსავი. მას ვეფხისტყაოსნის მღელვარე ამბავი ხიბლავს მისი მხატვრული აზრითა და თქმის ლაკონიურობით, აზრის სიცხადით, სიბრძნით, პოეტური ჩანფიქრის სილრმით და მისი გადაწყვეტით, ხელოვნურად არ აკავშირებს პოემას რომელიმე ფილოსოფიურ მოძღვრებასთან.

რ. სტივენსონი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს აგრეთვე რუსთაველის თავისებურების ერთ მომენტზე — ადგილისა და გარემოს არაჩვეულებრივ შეგრძნებაზე. რაც, მისი აზრით, ასევე იშვიათია შუა საუკუნეების მწერლობაში. „რუსთაველის ერთ მშვენიერ თვისებათაგანია შემოგვთავაზოს ადგილი და წარმოშვას გარემო. საზოგადოდ, სარაინდო მოთხრობებში ყოველი ციხე-სიმაგრის და ტყის აღწერა კონვენციური ზოგადობის ისეთი ბურუსით აღიბეჭდება ხოლმე მკითხველის გონებაში, რომ მკითხველს ადგილი არც კი ამახსოვრდება. ვეფხისტყაოსნის მკითხველს კი სულ თვალწინ აქვს არაბეთის სამეფო თავისი მომხიბლავი ბრწყინვალებით, კეთილშობილური და ნამდვილი ადამიანური ურთიერთობებით, სიხარულისა და ტკივილის უცაბედი ცვალებადობით; უზარმაზარი ქვაბები ტარიელის თავშესაფარია მისი სულიერი შეჭირვების დროს; ინდოეთის დედაქალაქი თავისი ინტრიგებითა და დარდით, და ბოლოს მგრძნობიარე, მხიარული მულღანზანზაროო. ყველა ეს აღწერა არასოდეს არ ხდება მოსაწყენი, მას ყოველთვის ახლავს მოულოდნელობის ეფექტი. მულღანზანზაროში დატრიალებული კომედია, მაგალითად, მნიშვნელოვან შვებას შეიტანს თხრობაში და ახალი ფაზის წინამორბედია, სადაც თხრობა უფრო სწრაფი ხდება, სევდა-დარდი ადგილს უთმობს იმედს და შემოქმედებით საქმიანობას.

აქ არ არის იმის ადგილი, რომ რუსთაველი დასავლური ფორმალური კრიტიკის კანონებით შევაფასოთ. მისი თხზულება ჯერ ფართოდ უნდა გახდეს ცნობილი, სანამ შესაძლებელი გახდება გამოვიტანოთ ზოგადი დასკვნები ჩვენი აზრების დასადასტურებლად"[53].

ასე რომ, რ. სტივენსონი ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ, არაერთი სარაინდო რომანისაგან განსხვავებით, ვეფხისტყაოსანში გამორიცხულია თვითმიზნური ქცევა, ყველა ადგილი თუ ეპიზოდი გარემოებითაა ნაკარნახევი და ისინი რუსთაველის მხატვრობის საგნად იქცევა. მას დიდი სურვილი აქვს ვეფხისტყაოსანი ფართო მკითხველმა წაიკითხოს და სწორი და ნათელი წარმოდგენა იქონიოს რუსთაველის სამყაროზე.

ინგლისურენოვანი მკითხველისათვის ვეფხისტყაოსანზე ნათელი წარმოდგენის მისაცემად სტივენსონმა დიდი მუშაობა გასწია სწორედ მის თარგმანთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ვეფხისტყაოსანმა მეცნიერის წინაშე არაერთი ძნელად გადასაჭრელი საკითხი დასვა და ერთ-ერთი მათგანი იყო რუსთველური ლექსის ინგლისურ ენაზე გადატანის საკითხი. რუსთველური შაირი, თექვსმეტმარცვლიანი საზომი სათანადო სალექსო ინსტრუმენტს მოითხოვდა მეორე ენაზე, რათა ქართულ ენაზე არსებული დედნის ბადალი შექმნილიყო. სტივენსონს კარგად ესმის, რომ სწორი ფორმის არჩევანს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თარგმანისათვის და გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარიც ეს იქნებოდა. რა საკვირველია, ეპიკური პოემის თარგმანი სულაც არ საჭიროებს, რომ იგი იმავე საზომით ითარგმნოს, როგორც გაკეთა ზოგიერთმა მთარგმნელმა. პირიქით, ეროვნული სალექსო საზომების გადატანა სხვა ენაზე ძალიან ხშირად დიდი ზიანისა და მარცხის მომტანია. სტივენსონმაც შესანიშნავად იცის, რომ რუსთაველის გენიალობა მის საზომში არ მდგომარეობს. „საზომში ავტორის გენიალობის ამოკითხვა ისეთივე გაუგებრობაა, როგორც მასში ტერფის ან ლექსის მთელი მეტრული სისტემის ძებნა"[54]. თუმცა, ვეფხისტყაოსნის მთარგმნელებს არაერთხელ უცდიათ ამ საზომის თავის ენაზე გადატანა, მაგრამ წარმატებისათვის არ მიუღწევიათ. ისევე როგორც ჰომეროსის თარგმნა ჰეგზამეტრით მრავალ ენაზე სცადეს. მაგრამ ვერც ერთზე ვერ ააჟღერეს. „ბევრი ოფლი ღვარეს კლოპშტოკმა, გოეტემ. შილლერმა, შლეგელმა, ფოსმა, შელლიმ, გნედიჩმა. ჟუკოვსკიმ, იტალიის, საფრანგეთის და შვეციის დიდმა პოეტებმა და მთარგმნელებმა, ბოლოს იმავე ერების მთარგმნელები მიხვდნენ ამ ტენდენციის უნაყოფობას და ჰომეროსის თარგმნა დაიწყეს ისეთი

---

53 იხ. დასახ. წინასიტყვაობა, გვ. XXI—XXII.

54 ა კ. გაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974, გვ. 50.

მეტრით, როგორიც გამარჯვებული იყო ამა თუ იმ ნაციონალურ მწერლობაში და ეს იმიტომ მოხდა, რომ ექვსმუხლიანი დაქტილური ლექსი წარმოადგენდა თვით ბერძნული ენის ბუნებაში ღრმად გამჯდარ ფენომენს"[55]. და თუ შაირის ფორმით გადატანილი ვეფხისტყაოსანი სხვა ენებზე მაინც არსებობს, ეს მაინც ივ ექსპერიმენტების ხანას უნდა მიეწეროს, როდესაც მთარგმნელები ჯიუტად (ქარგი გაგებით) ცდილობენ თავიანთი ეროვნული ვერსიფიკაციული ფორმების დამკვიდრებას, თუმცა ასეთი თამამი ექსპერიმენტები გამარჯვებით იშვიათად დასრულებულა. კ. გამსახურდია, როცა დანტეს „ღვთაებრივ კომედიას" თარგმნიდა, ბუნებრივია, იგივე პრობლემას წააწყდა დანტეს ტერცინის გადმოღებისას. იგი დანტეს მთარგმნელებზე შენიშნავდა: „ამ მეტრის (იგულისხმება ტერცინის — ნ. ა.) სხვა ენებზე გადანერგვა სცადეს ათეული წლების მანძილზე შლეგელმა, რუკერტმა, შამისომ, ჰაიზელმა და სხვათა. ანალოგიური ცდები ჩაატარეს რუსებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა.

მეოცე საუკუნეში დანტეს კომედიის ტერცინებით თარგმნა განიზრახა გერმანული ლექსის ვირტუოზმა სტეფან გეორგემ, მაგრამ მისი ცდა დასრულდა ღვთაებრივი კომედიის მხოლოდ და მხოლოდ ორიოდე ქების გადათარგმნით.

დანტეს სხვადასხვა ენებზე თარგმნა ხშირად უცდიათ სხვადასხვა სალექსო მეტრზედაც. მაგრამ ამ ცდებში ყველაზე ხელმარჯვე აღმოჩნდა თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი.

სხვადასხვა ენებზე მრავალჯერ უთარგმნიათ დანტეს კომედია ტერცინებით, მაგრამ ეს თარგმანები მეტწილად ისეთი რითმებითაა შესრულებული, ეს ცდები ჩამოთვლადაც არ ღირს".

ზემოთქმულ გარემოებებს თუ გავითვალისწინებთ, ბუნებრივად მოგვეჩვენება, რომ რ. სტივენსონი, პირველ რიგში, ვეფხისტყაოსნის თარგმნის დროს ფორმის ეკვივალენტის ძებნას შეუდგა, დაიწყო ძიება იმისა, თუ რა გამოადგებოდა და დაამშვენებდა ქართულ პოემას ინგლისური პოეზიის არსენალიდან. მისთვის გასაგები იყო, რომ შაირი ქართული ენის ეროვნული სპეციფიკის გამომხატველ და უნივერსალურ-ვერსიფიკაციულ საზომს წარმოადგენდა ჩვენი პოეზიისათვის. „დიდი ეპიკური ნაწარმოების საზომად გამოყენებამ, შაირის მყარ ვერსიფიკაციულ ფორმაში რიტმული ვარიაციების შესაქმნელად გამოავლინა ტერფული მოძრაობის მრავალგვარი შესაძლებლობანი, რამაც პოემას ააცდინა მონოტონურობის საშიშროება. აღმოჩნდა, რომ შაირს მრავალფეროვანი რიტმული ყოერადობის ფორმები აქვს, მიუხედავად მკაცრი ვერსიფიკაციული აგებულებისა

---

55 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1965, გვ. 465.

და მუდმივი ცეზურისა რვა მარცვალზე. შაირის ერთფეროვნებისათვის თავის დაღწევა, მისი რიტმული ვარიაციების მრავალფეროვანი მონაცვლეობით, მთელ ქართულ პოეზიაში მსგავსი გემოვნებითა და ხმით ვერავინ შეძლო. ვეფხისტყაოსნის სტროფში ტერფების მოძრაობა დაქტილებისა და ქორეების მრავალგვარი გადანაცვლებით, შაირს ანიჭებს მოქნილობას და რიტმულ მრავალფეროვნებას, რაც ქმნის, ძირითადად, შაირის ორ სახეობას — მაღალ ანუ მოკლე და დაბალ, ანუ გრძელ შაირს"[56]. რაც შეეხება რითმის საკითხს, მისი გადატანა ინგლისელი მთარგმნელისათვის ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა ინგლისური პროსოდიის თავისებურების გამო. ლექსის შინაარსის გამომხატველი სარითმო სიტყვების თარგმნა გადაულახავ დაბრკოლებად აღიმართა რ. სტივენსონის წინაშე და აქ უკვე, ცხადია, ძნელი გახდა რუსთაველის სტილის გამომხატველობა დაცულიყო. აზრის სიცხადე და ლაკონიზმი ურთულესი დასაცავი იქნებოდა და, ალბათ, შეუძლებელიც, სტივენსონს ვერსიფიკაციული ფორმის დაცვა რომ მოეწადინებინა. იგი უსათუოდ ტექსტის ღალატისაკენ წაიყვანდა მას და მთარგმნელი ჩიხში მოემწყვდეოდა. მაშინ პოემა მიუწვდომელი და ძნელად შესამეცნები გახდებოდა მკითხველისათვის. 50-იან წლებში კ. გამსახურდია, ვფიქრობთ, სრულიად მართებულად მიუთითებდა ამის თაობაზე: „ვეფხისტყაოსნის" მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზებისათვის, ვგონებ, მართებული იქნებოდა საკითხი დაისმოდეს ამ პოემის პროზაული თარგმანისა რუსულად, ფრანგულად და გერმანულად, რა თქმა უნდა იმ წინასწარი პირობით, რომ თარგმანები კვალიფიციურ მწერლებს გაეკეთებინათ და არა მოვარჯიშე მოხალისეებს...

„ვეფხისტყაოსანი" პროზად თარგმანს უფრო აიტანს, ვიდრე დანტეს „ღვთაებრივი კომედია". რამდენადაც რუსთაველის პოემა ამ უკანასკნელზე უფრო რეალისტური ქმნილებაა, მკაფიო ფაბულურ ჭარგაში მოქცეული და იგი რომანს უახლოვდება ამ მხრივ.

უეჭველია ასეთი ცდა მსოფლიო რეზონანსს გაუძლიერებს ქართული სიტყვის ამ უბადლო ოსტატს"[57]. დიდი მწერლის ეს სწორი გამონათქვამი. რასაკვირველია, არ გამორიცხავს გამონაკლისებს და საბოლოოდ მაინც ყველაფერი ნიჭიერი მთარგმნელი-შემოქმედის პრიზმაში გადატყდება. ჭეშმარიტი შემოქმედის წინაშე ყველა თეორია უძლურია, და კაოცბრიობამ ასეთი თარგმანების არა ერთი და ორი მაგალითი იცის.

---

[56] გ. იმედაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 353.

[57] კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1965, გვ. 468—469.

ვეფხისტყაოსანი, ალბათ, მაინც „უთარგმნელ“ ნაწარმოებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. მთლიანად ქართული ენის ტყვეობასა და სტიქიაში მოქცეული ეს პოემა, სადაც ყოველი სიტყვა, აზრი და გამოთქმა სანთელივით მოქნილი და ელასტიურია პოეტის ხელში, სადაც ყოველი ნეოლოგიზმიც კი ბუნებრივად ჟღერს, მიახლოებულისა და რაიმე მსგავსის შესაქმნელად მთარგმნელისაგან მხოლოდ დიდ შემოქმედებით უნარს მოითხოვს. ცხოლოდ ფაქიზი და დახვეწილი პოეტური სმენა იხსნის მთარგმნელს შეცდომებისაგან. ვისაც ეს ნიჭი არ გააჩნია, იგი მხოლოდ გარკვეულ შორეულ ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს და ასეთი ურთიერთობა მკითხველსა და თარგმანს შორის დაემსგავსება ორი ყრუს ერთმანეთთან საუბარს. უცხო მკითხველი დიალოგს ვერასოდეს ვერ გაუმართავს ქართველი ხალხის განცდებისა და ნააზრევის ნაყოფს. რ. სტივენსონის ეს სიტყვებიც, ერთგვარად, თითქოს ზემოთქმულის სრული შეგრძნებით არის ნათქვამი: „ენობრივ სტრუქტურათა, გამოთქმათა და სააზროვნო ხატის სიშორე რუსთაველის ენის თარგმნას შეუძლებელს ხდის. როცა რუსთაველი სწერს ნესტანზე „პირმზე გაჰკვირდა ფატმანის ამბითა საკვირველითა, ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა“, — პოეტი, უეჭველია, მოელის მკითხველისაგან, რომ „ნუშნი გააპნა“ გაგებულია როგორც ქალს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა. სიტყვა-სიტყვით თარგმანი შემდეგი ტაეპებისა, ნათლად გვიჩვენებს იმ სიძნელეებს, რომლებიც რუსთაველის წარმოსახვის ფანტაზიის თავისებურების გადმოტანასთან არის დაკავშირებული:

შინა შევედი, მის წინა ედგის ცრემლისა გუბები,
შიგან სისხლისა მორევსა ეყარის გიშრის შუბები,
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები,
შუა ძოწსა და აყიყსა სჯვირს მარგალიტი ტყუბები.

ამაზე ნაკლებად რთული ტაეპების სიტყვა-სიტყვით თარგმანიც კი მხოლოდ ღიმილისმომგვრელ შედეგებამდე მიგვიყვანდა. ასე მაგალითად, ხატაეთის მეფე ტარიელს სწერს:

გითხრობს, გკადრებს: ნუ ამოგვწყვედ, არის შენგან არ-საქმნელი
ზენაარი გამოგვიღე, მით გვაბია ყელსა წნელი,
მოურბევლად მოგახსენეთ თავნი, შვილნი, საქონელნი.

იმ არგუმენტის მოშველიება, თუ „როგორ იტყოდა ამას ინგლისელი“, ძალიან ხშირად უსარგებლოა. სახე „ჰკლევდის წამწამთა ჯარისა“, რომ ქალის წამწამებს ჯაბუკის განგმირვა შეუძლია, გუშინდელი გაზეთის ენით არ გადმოიცემა, ბუნებრივია, პირველქმნილი სურნელება დაიკარგება. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, თუ როგორ უნდა მორიგდეს ერთმანეთთან პოემის გამჭვირვალე ლა-

კონური სიმძაფრე და უაღრესად ფორმალიზებული მეტყველება. რუსთაველის კატრენების თარგმანი არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილება მეოცე საუკუნის მეტყველების პათოსს. წონასწორობა უნდა იქნას დაცული"[58]. თუ ამ სიძნელეებს იმასაც დავურთავთ, რომ ბევრი რუსთველისეული პასაჟი ჯერ კიდევ საკამათოა გამოთქმის ბუნდოვანებისა, თუ არასწორად მოღწეული ადგილების გაუსწორებლობის გამო, მთარგმნელის ამოცანა კიდევ უფრო რთულდება. რაც შეეხება ლექსების ალიტერაციულ ჟღერადობას, სინონიმურ-ომონიმურ ჯვარედინებს, სახელთა გაზმნავებას და ათას სხვა მომენტს, სადაც არც ერთი მათგანი ფორმის ელემენტად კი არ არის გამოყოფილი, არამედ შინაარსშია ჩადუღაბებული, მაშინ მთარგმნელი ახალი ტექსტის რეკონსტრუქციის დროს მრავალნაირად დაანაწევრებს ტექსტს, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაკარგოს რუსთაველის მხატვრული ხედვის ის მთავარი კომპონენტი, როცა „სინამდვილის" პოეტურ გარდაქმნაში იდეა არ ჩრდილავს სახეს და მხატვრული სახე არ იქცევა გამოსახვის თვითმიზნურ ელემენტად" (გ. იმედაშვილი). სტივენსონს საქმეს ურთულებს ის გარემოებაც, რომ ქართველი მეცნიერების თვალსაზრისი ვეფხისტყაოსნის ამა თუ იმ საკითხზე იმდენად სხვადასხვაგვარია და ურთიერთგამომრიცხველი, ძნელია თარგმანში ყოველი მათგანის ინტერპრეტაციას გაეწიოს ანგარიში. მისი აზრით, ასეთი მონუმენტური ნაწარმოების ყოველ დეტალში ჩაწვდომა ურთულესი საქმეა.

რუსთაველის ინგლისურ ენაზე გადათარგმნის საკითხებს, რ. სტივენსონმა მიუძღვნა ვრცელი ნაშრომი „რუსთაველის თარგმნის საკითხები".

ეს ნაშრომი რ. სტივენსონის მოღვაწეობის ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება (1960 წელი) და წინასწარი, მოსამზადებელი საფეხური იყო ვეფხისტყაოსნის თარგმანზე სამუშაოდ. მკვლევრის წინაშე იდგა უდიდესი ამოცანა არა მარტო პოემის ტექსტის სწორი წაკითხვისა და მისი იდეურ-ესთეტიკური სამყაროს შემეცნებისა, არამედ ძეგლის უნიკალური ფორმის ხელახალი რეკონსტრუქციისა შექსპირის ენაზე. ამდენად, ეს ნაშრომი ძალზე ფართო მიზნებს ისახავდა და დაკავშირებული იყო ისეთ პრობლემებთან, როგორიცაა ქართული ეპოსის შესაძლებელი გააზრება სხვა ენაზე და მასთან დაკავშირებული არა-

---

58 იხ. რ. სტივენსონის დასახ. წინასიტყვაობა, გვ. XXII—XXIII. აქ ისიც უნდა დავურთოთ, რომ სტივენსონის თარგმანი დაეფუძნა „ვეფხისტყაოსნის" 1957 წლის აკადემიურ გამოცემას.

ერთი პრობლემის გადაწყვეტა[59]. „პირველი უხერხულობა, — წერს რ. სტივენსონი, — რაც მოსალოდნელია თვალში ეცეს პოემის პატივისმცემელ უცხოელს, შეიძლება შემდეგი იყოს: პოემაში ყველაზე არსებითია მისი ლექსთწყობა — შაირი, პროზაული თარგმანი კი სრულიად უგულებელყოფს მარცვალთა ამ რთული სტრუქტურის მთელ თავისებურებას და დედნის რითმების დაღუპვასთან ერთად თავიდანვე უაზრობას ვღებულობთ. ყოველი მთარგმნელი აღსავსე უნდა იყოს სურვილით — მიბაძოს დედანს, შესაძლებლობისამებრ შეინარჩუნოს რიტმი და მუსიკალობა. სამწუხაროდ, ინგლისურში არა გვაქვს თექვსმეტმარცვლოვანი ტაეპი, ფლექსიებით ეგზომ ღარიბ ჩვენს ენას ვერც მოსთხოვ ოთხსავე სტრიქონში ერთნაირი (aaaa). ორი და სამმარცვლიანი რითმების ხმარებას. მკითხველს თუ სურს ამაში დარწმუნდეს, ასეთი უხეირო ლექსი შეიძლება ნიმუშად გამოდგეს (84):

They saw by the stream's side a stranger, on the bark sitting weeping
A horse the hero was holding; its reins lay in his keeping.
On bridle, saddle, armour someh hand, it seemend, pearls had been leaping,
Tears flowed down his cheeks, and from the depth of his heart came sobs leaping.

(სტივენსონმა სანიმუშოდ თარგმნა ტაეპი „ნახეს უცხო მოყმე ვინმე...“). იგი ასეთ თარგმანს „უნდილი მეტრული მიმსგავსების“ ნიმუშად თვლის და ასაბუთებს, თუ რატომ არ შეიძლება შაირის მეტრული სქემის გამეორება ინგლისურად. ინგლისური ენისა და პოეზიის ბუნებას არ შეუძლია ორ და სამმარცვლიანი რითმების განმეორება, რადგანაც ასეთი ვითარება ისეთ ერთფეროვნებასა და კაკაფონიას შექმნიდა, რომ აბსურდამდე დაიყვანდა პოემას და მისი წაკითხვა და შემეცნება შეუძლებელი გახდებოდა.

რ. სტივენსონი მხედველობიდან არ უშვებს იმ გარემოებას, რომ ასეთ შემთხვევაში მთარგმნელები ყოველთვის „გამოსავალს“ პოულობენ ჰეგზამეტრის მოხმობით. ჰეგზამეტრით ვეფხისტყაოსნის არაერთი თარგმანია გამართული (ვ. ურუშაძის ინგლისური, ჰ. ბედენზიგის გერმანული და სხვები). გარდა ამისა, რ. სტივენსონს შეეძ-

---

[59] R. H. Stevenson, On Translating Rustaveli, „Bedi Kartlisa“, N. 34—35. 1960.

აღნიშნული ნაშრომის თარგმანის ნაწილი ეკუთვნის მ. მაჭულაშვილს (მ. მაჭულაშვილი, ინგლისელი ქართველოლოგი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საკითხების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1961, № 3).

ლო გაეზიარებინა ის უზარმაზარი გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ვეფხისტყაოსნის თარგმანებთან დაკავშირებით და ამ გარემოებამ იგი არერთ საკითხზე დააფიქრა კიდეც. ვეფხისტყაოსნის ფორმის გადატანის საკითხების სირთულემ ასეთივე სიძნელეები შეუქმნა ვეფხისტყაოსნის გერმანულად მთარგმნელ ჰ. ბუდენზიგსაც, რომელმაც გერმანული ლექსის ბუნებას ვერანაირად ვერ შეუხამა რუსთველური შაირი და ამან თავიდანვე ააღებინა ხელი რითმის გადატანის ფიქრზე, რადგანაც გერმანული ლექსი რითმის სიღარიბის გამო ვერ იგუებდა ხელოვნურად შემოტანილ ფორმას და მას ბუნებრიობა დაეკარგებოდა: მიუხედავად იმისა, რომ „ნიბელუნგების სიმღერა“ გარითმული გრძელტაეპოვანი პოემაა და ჰ. ბუდენზიგს შეეძლო ეს საზომი გამოეყენებინა. მან არ აირჩია ეს გზა ვეფხისტყაოსნისათვის არქაული იერის მინიჭების შიშით. გრძელი ლექსთწყობისთვის დარჩენილი ორი ვარიანტიდან (ალექსანდრიული ლექსი და ჰეგზამეტრი), მთარგმნელმა ჰეგზამეტრი აირჩია, რომელიც გერმანულ ლექსწყობაში დაკანონდა ჯერ კიდევ ჰომეროსისა და ვირგილიუსის თარგმანების წყალობით. „თავისებურად იყენებდნენ ჰეგზამეტრს კლოპშტოკი, გოეთე, შილერი და ჰელდერლინი, მოგვიანებით მიორიკე და გ. ჰაუპტმანი. მათ გააგერმანულეს ჰეგზამეტრი, მიუსადაგეს ბერძნული და რომაული პოეზიის ანტიკურ ფორმებს. გერმანული ენის მოთხოვნილებათა შესაბამისად კლასიკური პოეზიის გერმანულ ჰეგზამეტრს ახასიათებს ხმის აწევ-დაწევა ნაცვლად ანტიკური სიგრძე-სიმოკლისა. ამ ცვლილების წყალობით ჰეგზამეტრი, თითქოს, გერმანული ენისათვის ყოფილიყო შექმნილი. მრავალი მიზეზის გამო მას შეუძლია ისე, როგორც თითქმის არცერთ სხვა ლექსწყობას, ანტიკური ლექსი ზუსტად ისე გადმოიღოს, ზედმიწევნით დაიცვას ორიგინალის შინაარსს... მისი გერმანული ფორმა ასონანსებისა და ალიტერაციების საშუალებას იძლევა. ეს ორი რამ რუსთველის ქმნილებასაც ახასიათებს. ამ ჰეგზამეტრს ძალუძს ყოველი ხატის, ყოველი მეტაფორის, ყოველივე ორიგინალური გადმოცემა თარგმანში“[60]. როგორც ვხედავთ, ჰ. ბუდენზიგი ლაპარაკობს „გაგერმანულებულ“ ჰეგზამეტრზე და მის უდიდეს ტრადიციებზე და მნიშვნელობაზე გერმანულ ლიტერატურაში. ამდენად, მისი არჩევანი ყოველმხრივ გამართლებული და გერმანული ლექსის ბუნებისათვის მისადაგებული აღმოჩნდა. რაც შეეხება ჰეგზამეტრის ისტორიას ინგლისში, რა თქმა უნდა, მას განსხვავებული დატვირთვა და ფუნქცია ჰქონდა. იგი არა-

---

60 ჰ. ბ უ დ ე ნ ზ ი გ ი, ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანის წინასიტყვაობა, (ნ. ამაშუკელის თარგმანი) ციტატა დამოწმებული წიგნიდან რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. I, თბ, 1976, გვ. 289—290.

სოდეს „გაინგლისურებულა“ და ამიტომაც სტივენსონი მიიჩნევს, რომ ამ კლასიკური საზომის ინგლისურ ლექსთან მისადაგების ცდა უნაყოფოა, მიუხედავად იმისა, რომ ჰეგზამეტრს შეუძლია გადმოსცეს „რუსთაველის რიტმის მოძრაობა, მოახერხოს დაიჭიროს კიდეც, მართალია სუსტად, ცხენთა ფლოქვების თქარათქურიც, რომელსაც დედანში ლექსის მუსიკა გამოხატავს. მაგრამ მაინც იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ მცდარად მიგვაჩნია ცდა ინგლისური ენისათვის გრძელი მოთხრობის, იამბის გარდა, სხვა რომელიმე მეტრით გალექსვისა, რასაც ინგლისური ენის ბუნებრივი რიტმი ასე მტკიცედ მოითხოვს. რუსთაველის მთარგმნელისათვის, რომელსაც თავისი ენის ყველა რესურსის გამოყენების ცნარი უნდა ჰქონდეს, ნაწილობრივ რომ გადმოსცეს დედნის ცხოველმყოფელობა, სიმსუბუქე, გადავიდეს თხრობიდან აღწერაზე, აღწერიდან ზნეობრივ სწავლაზე და კვლავ თხრობაზე, — ყოველგვარი ცდა უცხო მეტრული ეფექტის გამოყენებისა ფრიად საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს“[61].

ამიტომაც, რ. სტივენსონმა ინგლისური ენის ყველა რესურსის გამოყენება სცადა. რა თქმა უნდა, პირველად რუსთაველის ინგლისელ თანამედროვეებს მიმართა, მაგრამ შეუფერებლად მიიჩნია რვამარცვლიანი ტაეპი არქაულობისა და მოსაწყენი ელფერის გამო. რაც შეეხება სპენსერისეულ სტანსებს (ababbcbcc), „ფერიათა დედოფლის“ წყალობით დიდი პოპულარობა რომ აქვს მოპოვებული ინგლისურ პოეზიაში, ინგლისელი მთარგმნელი ვერ გამოიყენებდა მათ ტაეპების მკაცრი კომპაქტურობის მიზეზით. რაც შეეხება პენტამეტრის გამოყენება abab რითმებით, ისეთი დიდი მოცულობის ნაწარმოებს, როგორიც ვეფხისტყაოსანია, სრულ უხამსობამდე დაიყვანდა და ფორმის სიმშვენიერეს წაართმევდა. რა შეიძლებოდა რ. სტივენსონს ინგლისური პოეზიის სალაროდან მოეხმო. აი, რას წერს იგი: „სულ მცირე დაფიქრებაა საჭირო, რომ თარგმანის სერიოზული შესაძლებლობანი იამბური პენტამეტრის ორ ფუნქციამდე დავიყვანოთ. ესენია: თეთრი ლექსი და გარითმული ორტაეპოვანი „საგმირო“ ხანა. ელისაბედის დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე თეთრი ლექსი იხმარებოდა როგორც ყველაზე დამახასიათებელი ფორმა ამაღლებული და საგმირო თემებისათვის. ის ფორმაც, რაც შექსპირმა და მილტონმა გამოიყენეს თავიანთი უდიდესი ქმნილებებისათვის, შეიძლება, ყველაზე შესაფერისი ნიმუში გამოდგეს ქართველი პოეტის ინგლისურ სამყაროში შესაყვანად“. სტივენსონმა ასეთი თარგმანის ვრცელი ნიმუში კიდეც მოგვცა სხენებულ სტატიაში. იგი თვითონვე აანალიზებს მის მიერ თარგმნილი პასაჟის

---

61 იხ. რ. სტივენსონის დასახ. ნაშრომი, ქართულ ენაზე. გვ. 336.

ნაკლს (მან თარგმნა სანიმუშოდ „იყო არაბეთს როსტევან“) „პირველი. რაც აქ თვალში გეცემათ, ის გახლავთ, რომ რუსთაველის სამი შაირის გადმოცემას ოცდაოთხი ტაეპი დასჭირდა. ერთი შეხედვით, თეთრი ლექსის თვით ბუნებაში არის ისეთი რამ, რაც ერთნაირი ძლიერი შთაბეჭდილებით გადმოსცემს როგორც ქართული შაირის ყღერადობას, ისე დედნის რიტმს. სწრაფი ტემპის სიმკვირე. რაც თეთრ ლექსს ახასიათებს, იძულებულს გვხდის ჰეგზამეტრს დავუბრუნდეთ... სხვათა შორის, შეიძლება შეინიშნოს, რომ დრამატულ თხზულებაში თეთრი ლექსი ბევრად განსხვავდება თხრობის ფორმისაგან და აგრეთვე ის, რომ შექსპირის ყველაზე მაღალმხატვრული ადგილები, რომლებიც ტიპების შექმნას ეხება, პროზით არის დაწერილი. თეთრი ლექსი საკმაოდ შესაფერია როსტევანის როგორც მორჭმული მეფის წარმოსადგენად, რომელიც ყველა ღირსებით არის დაჯილდოებული. მაგრამ ის უფრო ნაკლებ გამოსადეგი მოგვეჩვენება სხვა შემთხვევაში, როდესაც მპყრობელს ვხედავთ ჩვეულებრივი მოკვდავის მდგომარეობაში: სევდით მოცულს, განრისხებულს მოსიყვარულეს ან გამხიარულებულს“[62].

ასე რომ, ინგლისური ლექსის არსენალიდან არ დარჩენილა არც ერთი სალექსო საზომი, სტივენსონს რომ არ ეცადოს; ვეფხისტყაოსნის თარგმნას საუკუნე-ნახევარზე მეტი ხნის ისტორია აქვს და, ალბათ, დროც მოითხოვს და საჭიროებაც, რომ ამ ხნის უზარმაზარი გამოცდილება განზოგადდეს და ქართულმა ეპიკურმა ქმნილებამ საპატიო ადგილი დაიკავოს მსოფლიო კულტურის საგანძურში, დღევანდელ დაძაბულ და დაღლილ მსოფლიოს კიდევ ერთხელ გაახსენოს ადამიანის ამქვეყნად მოვლინების მაღალი აზრი და დანიშნულება. იუნესკოს დაკვეთაც, რომ ეს ნაწარმოები რ. სტივენსონს ეთარგმნა, ალბათ, ამ კეთილშობილური და აუცილებელი სურვილით იყო გამოწვეული.

საბოლოოდ სტივენსონის არჩევანი პროზაულ თარგმანზე შეჩერდა. თუმცა მთარგმნელსა და მკვლევარს შესანიშნავად ესმოდა, რომ პროზაული თარგმანი ფორმის მთელ სიმშვენიერეს შეიწირავდა, მაგრამ, საჭადრაკო ენით რომ ვთქვათ, ხარისხის შეწირვით „პოზიციურ“ უპირატესობას მიიღებდა და, შესაძლოა, გამარჯვების საწინდარიც სწორედ ეს ყოფილიყო. მით უმეტეს, ევროპულ თარგმნით ლიტერატურას (განსაკუთრებით ფრანგულსა და ინგლისურს) ულხო ძეგლების პროზაულად თარგმნის საკმაოდ დიდი გამოცდილება და ტრადიცია გააჩნია. მაგრამ სტივენსონის თარგმანი არ არის პროზაული, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. აქ რუსთველის ყოველი კატ-

62 დასახ. ნაშრომი, გვ. 328

რენი (რუსთველურ სტროფებს კატრენებს უწოდებს მთარგმნელი) ცალკეა გამოყოფილი და სტროფად აღიქმება. ეს ერთგვარი მინიშნებაა რუსთველის თხზულების პოეტურ აღნაგობაზე. ჩვენს წინაშეა უაღრესად ფაქიზად და ნატიფად მოწოდებული პოეტური პროზა, ხოლო დაქტილური და ტროქეული აღნაგობა თარგმანისა პოეტურობის განცდას უტოვებენ მკითხველს. რ. სტივენსონის პროზაული თარგმანი დიდად განსხვავდება მ. უორდროპის ასევე პროზად შესრულებული ვარიანტისაგან როგორც თხრობის მანერით, ასევე რუსთველური მხატვრული სისტემის თავისებური გააზრებით, თუმცა დამთხვევებიც ბევრია.

რ. სტივენსონის რუსთველოლოგიურ შტუდიებში გამოვყოფთ აგრეთვე საკითხს, რომელიც ეხება რუსთაველის მიმართებასა და მის გააზრებას ევროპულ ლიტერატურასთან. ესაა ნაშრომები: „ქართული რაინდული სიყვარული“ და „რუსთაველი და არიოსტო“.

„ქართული რაინდული სიყვარული“ უაღრესად საყურადღებო, მაგრამ მეტისმეტად საკამათო ნაშრომია, სადაც მკვლევარი შეეცადა ვეფხისტყაოსნის მიჯნურობისა და პროვანსული პოეზიის სიყვარულის გაგების საერთო წყაროები დაეძებნა მისი გენეზისის თვალსაზრისით. რუსთაველის პოემასა და პროვანსულ ტრუბადურთა პოეზიაში გამოხატული სიყვარულის მსგავსების შესახებ, — მიუთითებს მკვლევარი, — ჯერ კიდევ ნ. მარმა გამოთქვა თავისი შეხედულებანი, მხოლოდ ამ მიმართულებით მას კვლევა არ გაუღრმავებიაო. ფაქტიურად, ნ. მარის მიერ დასმული ეს საკითხი ძალიან დიდ ხანს მკვლევართა ყურადღების ცენტრში არ იყო მოქცეული. შეიძლება ითქვას, რომ თვით სტივენსონმაც ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესის დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურის სექციას, გარკვეულად, ერთგვარი თეზისების სახით წარუდგინა შესაძლებელი საერთო წყაროების საკითხი მის კონკრეტულ გამოვლენაში, სადაც თავად დიდ სურვილს გამოთქვამდა, რომ ამ საკითხის მომავალ კვლევას ბევრი საინტერესო და აუცილებელი პრობლემის გადაჭრა შეეძლო ამ მიმართებით.

სტივენსონის აზრით, ვეფხისტყაოსნის დაპურათებული სიყვარულის გაგება ძალიან ჰგავს მისი თანამედროვე საფრანგეთის პროვანსელ ტრუბადურთა სიყვარულის გაგებას. შ. რუსთაველს სიყვარულის ბუნება ყველასათვის ადვილად შესაცნობად არ მიაჩნია და ამით ბერნარდ დე ვენტადორნს მოგვაგონებს. რუსთაველის ნათქვამს „არს პირველი მიჯნურობა, არ დარჩენა ჭირთა, მალვა“, რომელიც სიყვარულის გრძნობისადმი სათუთად მოპყრობისა და სხვათა წინაშე მის არგამჟღავნებას გულისხმობს, თავგამოდებით იცავდნენ გირაუტ დე ბორნელი და საერთოდ სხვა პროვანსელები. რუსთაველის

მოწოდება „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა" უფრო მკაცრიც ჩანს, ვიდრე დაუდე დე პრადასის შეგონება: მიჯნურმა თავი კასტილიის მეფედ უნდა ჩათვალოს, სატრფომ თუნდაც ბაფთა რომ უბოძოსო. სტენდალის ცნობილი სიტყვები „ჭეშმარიტი სიყვარულის ბუნება და სამშობლო არაბი ბედუინის კარავში უნდა ვეძიოთო" და საერთოდ პროვანსული პოეზიის ბუნებაზე დაკვირვება სტივენსონს აფიქრებინებს, სიყვარულის კონცეფციაში არაბული გავლენა მიიჩნიოს ქართული და პროვანსული პოეზიის საერთო წყაროდ, მაგრამ ამასთანავე, იმასაც დასძენს, რომ არაბული სამყაროს გავლენა თუმცა აშკარაა, მაინც ბევრად არ გასცილებია ზედაპირსო[63].

რ. სტივენსონმა ამ მიმართებათა კვლევისას საერთო წყაროდ ნეოპლატონიკოსების ფილოსოფია დასახა, კერძოდ, ყურადღება გაამახვილა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნაძღვრებაზე, რომელიც ევროპაში ერიგენასეული და საქართველოში ეფრემ მცირესეული თარგმანით იყო ცნობილი. სტივენსონი დაბეჯითებით უსვამს ხაზს იმ დებულებას, რომ რუსთაველის პოემა ნეოპლატონიზმის სულითაა გაჟღენთილი. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ საკითხის ასე დასმამ და შემდეგ მისმა გადაწყვეტამ ქართული სინამდვილის ჭეშმარიტი მეცნიერული ახსნისა და დასაბუთების გარეშე მეცნიერი სასურველ შედეგამდე ვერ მიიყვანა. თუმცა მკვლევარს თავის შრომებში ყოველთვის სწორად ესმის რა იყო რუსთაველის შთაგონების წყაროები, რას ეფუძნება მისი მხატვრული შეგრძნება, რომ რუსთაველი შესაძლებელი და სავარაუდო „უცხო წყაროებითაც" ეროვნული ეთიკურ-ესთეტიკური იდეალების გამომხატველია, მაინც, როგორც ჩანს, მან ინერციით გაიმეორა ნ. მარისა და შემდეგ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დიდხანს დამკვიდრებული რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის თეორია. „რუსთაველი არ წარმოგვიდგება გარკვეული ფილოსოფიური სისტემისა თუ რელიგიური აღსარების ადეპტად და მისი შესწავლა და გაგება არ შეიძლება ვეფხისტყაოსანში უთუოდ რომელიმე ფილოსოფიური მოძღვრების გამოხატულების ძიებით. ასეთი თვალსაზრისი და მიდგომა მხოლოდ გვაშორებს რუსთაველის შეცნობას, მისი მსოფლმხედველობისა და მხატვრული წარმოსახვის თავისებურებათა წვდომას. ამ აცდენილი გზის უაზრობა კარგად დაგვანახა რამდენიმე თაობის სიზიფურმა შრომამ რუსთაველის ბიოგრაფიის, მსოფლმხედველობისა და მხატვრული კონსტრუქციის არა-

63 რ. სტივენსონის მოხსენების ტექსტი სრულად არ დაბეჭდილა. ა. გამყრელიძემ გამოაქვეყნა ამ მოხსენების ძირითადი დებულებანი. იხ. ა. გამყრელიძე, „ქვენბრიჯელი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნისა" და პროვანსული პოეზიის შესახებ", „ცისკარი", თბ., 1957, № 3.

რსებული ასპექტებით კვლევა-ძიებაში. რუსთველოლოგიური აზრი ხანგრძლივად ეწირებოდა ისეთი ხელოვნურად შექმნილი პრობლემების შესწავლას, რომელნიც მხოლოდ კვლევა-ძიებაში არსებობდნენ, თვითონ რუსთაველის შემოქმედების ჰეშმარიტი გარემო, მისი ეროვნული წყაროები, მსოფლმხედველობის ქართული ნიადაგი შეუმჩნეველი იყო მაინცდამაინც უცხოური წყაროსა და კვალის ძიებით. რუსთაველის ცალკეულ გამონათქვამებში ამაოდ იყო აღმოჩენილი განსხვავებულ მოძღვრებათა გამოხატულება, და რასაც ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობისათვის, ცხადია, არაფერი შეუძენია. თვითონ ვეფხისტყაოსანი და ქართული სინამდვილე კი უგულებელყოფს იმ ფანტასტური პრობლემის კვლევაში, იყო თუ არა რუსთაველი მაჰმადიანი, მანიქეველი, სუფისტი, სოლარისტი, წარმართი, ნეოპლატონელი, სტოელი, პანთეისტი, საბეისტი, სეფასიანელი, პაგანისტი და სხვა მის...“[64]. ფსევდო-დიონისეს ორთოდოქსალური ნეოპლატონიკოსობის ყალბი იდეა დღევანდელი ცოდნის დონეზე მოძველებული ამბავია. რუსთაველი კი ქრისტიანულად აზროვნებს, მისი ღმერთი — სამყაროს შემქმნელი ბიბლიური ღმერთია და არა ფილოსოფოსების „ღმერთი“ (იდეა — „სიკეთე“), ეს გაგება თავისთავად ხსნის ჩვენი პოეტის ნეოპლატონიკოსობის საკითხს „ფილოსოფიურ ასპექტშიც“, — მიუთითებს აკ. გაწერელია[65]. ამდენად, მკვლევარს ვეფხისტყაოსნისა და პროვანსული პოეზიის საერთო თუ განმასხვავებელი ნიშნების დასადგენად სწორედ ნეოპლატონიზმის თეორია ყველაზე ნაკლებად გამოადგებოდა, თუმცა ფსევდო-დიონისეს ნეოპლატონიკოსად მიჩნევის საკითხიც მეცნიერისთვის ერთგვარ ბარიერს ქმნის ამ საკითხებში ჩასაღრმავებლად და ამიტომაც პროვანსული პოეზიის ნიმუშების შედარება ვეფხისტყაოსანთან ზედაპირულად გამოიყურება და ემპირიული მასალის მოხმობის იქით აღარ მიდის.

შუა საუკუნეების ლიტერატურის შესწავლა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, ამ ეპოქის ლიტერატურათა საერთო კონტექსტში მოთავსება და ზოგადი ტიპოლოგიური ნიშნადობის დადგენა, რა თქმა უნდა, აუცილებელი და საჭიროცაა, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ისტორიული თავისებურებანი. ამ ეპოქის ესთეტიკური პოზიციები . და როცა ვეფხისტყაოსანი შედარებულია პროვანსულ ლირიკასთან ან სარაინდო რომანთან, აო უდა დავიწყოთ ვეფხისტყაოსნის შემქმნელი და წარმოშობი იდეოლო-

---

64 გ. იმედაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135—136.

65 აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, „მერანი“, თბ., 1977, გვ. 235.

გიური გარემო, როდესაც ქართული პოეტური სიტყვა უმაღლეს საფეხურზე ავიდა და ხალხმა მასში თავისი ეროვნული სულის ყველაზე დიადი გამოხატულება ჰპოვა. ამ თვალსაზრისით, შუა საუკუნეების ლიტერატურას ჯერ კიდევ არ ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ეროვნული ხასიათი. ვ. ჟირმუნსკი ასეთ თვალსაზრისსაც კი გამოთქვამს, რომ შუა საუკუნეების ლიტერატურაში არ მიმდინარეობს ლიტერატურულ მიმართულებათა მონაცვლეობა, ერთმანეთს უფრო ლიტერატურული ჟანრები ენაცვლებიან. ამიტომაც ჟანრის არჩევანი შუა საუკუნების მწერლისათვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ახლა. იგი მწერლის ინდივიდუალური თავისუფლების გამომხატველი კი არ იყო, არამედ უფრო „მსოფლმხედველობრივი“ ნიშნადობის მატარებელი[66]. შუა საუკუნეებში არსებული დომინირებული ჟანრებიდან (ხალხური საგმირო ეპოსი ადრეული ფეოდალური ხანისა. განვითარებული ფეოდალური საზოგადოების კურტუაზიული რომანი და კურტუაზიული ლირიკა) სარაინდო რომანი და სარაინდო ლირიკა ყველაზე აქტიურად იქნა შედარებული ვეფხისტყაოსანთან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების მიერ. ვეფხისტყაოსნისა და სარაინდო რომანის შედარება საკითხთა მთელ წრეს მოიცავს და ამ საკითხების კვლევას საკმაო ხნის ისტორია გააჩნია. მას ჰყავდა თავისი მომხრენიც და მოწინააღმდეგეებიც. ეჭვის ქვეშ დადგა საკითხი, იყო თუ არა რაიმე მეცნიერული ღირებულების შემცველი შედარებითი მეთოდის გზით მიღებული დასკვნები. საფუძველი ასეთი მოსაზრებისა ძირითადად იყო ის ფაქტორი, რომ საქართველოში აღნიშნულ ეპოქებთან დაკავშირებით დასავლეთ ევროპის ისტორიული პარალელი არ განმეორებულა, რომ ქართული რაინდობა იმ სახით, რა სახითაც წარმოიშვა და განვითარდა იგი დასავლეთ ევროპაში და რამაც სარაინდო ლიტერატურის წარმოშობა გამოიწვია, ისტორიულად არ არსებობდა და მათ შორის დიდი სხვაობა იყო. ევროპული რაინდობის კონვენციურობა, ეტიკეტური პრინციპების უმაღლეს რანგში აყვანა სოციალური ელიტის ცხოვრებაში, სიყვარულის პრინციპების სრულიად განსხვავებული გაგება, თითქოს, ქმნიდა იმ უფსკრულს, რომელიც ამ ლიტერატურათა შედარების დროს მეცნიერულად ღირებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ნაკლებად მოგვცემდა. მაგრამ ამ თვალსაზრისზე დგომა აღნიშნული საკითხის სპეციფიკის გაუთვალისწინებ-

---

66 შუა საუკუნეების ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტით გაშუქებულია სტატიაში „Средневековые литературы как предмет сравнительного литературоведения“, წიგნიდან В. М. Жирмунский, Сравнительное литературоведение, Л., 1970.

ლობას ნიშნავდა. ცნობილია, რომ შედარება შესასწავლი მოვლენის სპეციფიკას არ სპობს (იქნება ეს სპეციფიკა ინდივიდუალური, ეროვნული თუ ისტორიული) პირიქით, მხოლოდ შედარების საშუალებით, განსხვავებათა და საერთო პარალელების გზით არის შესაძლებელი სპეციფიკის დადგენა. მაგრამ მთავარი აქ მაინც ერთი ფაქტორია. მეცნიერული კელვის საბოლოო შედეგი უბრალო, ემპირული შედარებიდან, განსხვავებისა თუ საერთოს პოვნიდან აუცილებლად უნდა მიდიოდეს მოვლენათა ისტორიულ ახსნამდე. ამიტომაც როგორი კარდინალური ხასიათის განსხვავებანიც არ უნდა აღმოვაჩინოთ ვეფხისტყაოსანსა და ევროპულ სარაინდო რომანს შორის ან ვეფხისტყაოსანსა და პროვანსულ ლირიკას შორის, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უსათაუოდ არის მხედველობაში მისაღები, რამაც შესადარებელი ლიტერატურები შეიძლება ერთ სიბრტყეზე დააყენოს და ლიტერატურულ მოვლენათა ახლებური და პრინციპულად სწორი შეფასება გამოიწვიოს. პროვანსულ ლირიკაში, სარაინდო რომანსა და ვეფხისტყაოსანში ადამიანები ყველაფრის ბატონ-პატრონად გვევლინებიან. ისინი თავიანთი ვნებებისა და სიყვარულის ღამცველებად, მის ქომაგად გამოდიან. თავგანწირვამდე მზად არიან გადალახონ ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელნიც არსებობენ სიყვარულსა და ცხოვრებას შორის. ამიტომ ამ ლიტერატურათა შედარების დროს, თუ სიუჟეტთა წარმართვის გარეგან მხარეებს პირობითად ჩავთვლით როგორც მხატვრული ქმნილებების უცილობელ თავისებურებებს შემოქმედთა ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ამოსავალი წერტილი იქნება ის ფაქტორი, რომ ისინი მემკვიდრენი არიან მაღალი ქრისტიანული კულტურისა. მაგრამ მისი დაძლევითა და მასთან. მწვავე პოლემიკური კამათის გზით ამკვიდრებენ მაღალ ჰუმანისტურ ფასეულობებს ადამიანური სინამდვილის ასპექტით. ამდენად. ვეფხისტყაოსანი. რომელიც ადამიანის სულის სიღრმეთა წვდომით პიროვნების თავისუფლების იდეის დამკვიდრებაში მხატვრული ლიტერატურისათვის მანამდე უცნობ სიმაღლეზე ადის. ევროპულ სარაინდო რომანთან ტიპოლოგიურ სიახლოვის ამჟღავნებს სწორედ იქ. სადაც ჭეშმარიტ ადამიანურ ფასეულობათა შეფასებაა მოცემული (ამ მხრივ. სიყვარულის თემის გააზრება ყველაზე მნიშვნელოვანია. რადგანაც „ახალი სიყვარულის“ დამკვიდრებამ მრავალი სხვა საკითხიც წარმოშვა ლიტერატურაში და საკითხთა ამ კომპლექსში უნდა ვეძიოთ ზოგადი ტიპოლოგიური ნიშნებიც). სხვა საკითხია, სად და როგორ არის იგი გადაწყვეტილი ან მხატვრულად ხორცშესხმული. ევროპული სარაინდო რომანის საუკეთესო ნიმუშები (მაგალითად „პარციფალი“) სწორედ მაგალითია იმისა, რომ საბოლოოდ დაძლეულ იქნას მოხეტიალე რაინდის უმიზნო, ავანტიურული სახე.

გრაალის თასის ძიების მოტივი ალეგორიული სიმბოლოს ნიშნების შემცველია და იგი, საბოლოოდ, ადამიანის ნათელი იდეალების ძიებას უკავშირდება. ადამიანის სულიერი საწყისის სიძლიერის რწმენა აქ ნათლად მოჩანს.

ამ გაგებით პროვანსული ლირიკა, რომელმაც ევროპის ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე გრანდიოზული გავლენა მოახდინა (იქნება ეს იტალიური პოეზია, თუ „საამო სტილის“ წანამძღვრები, ფრანგული, ესპანური ლირიკის შემდგომი განვითარების გზები) და პოეტური სტილისა თუ გემოვნების რადიკალური შეცვლის თვალსაზრისით არსებითად დაამკვიდრა მხატვრულ ფასეულობათა სრულიად ახალი სისტემა, რა თქმა უნდა, აუცილებლად აყენებს „ვეფხისტყაოსნისა“ და პროვანსული ლირიკის ურთიერთმიმართების შესწავლის აუცილებლობას. რ. სტივენსონი სავსებით მართალი იყო, როცა გამოთქვა აზრი, რომ ამ საკითხის შემდგომი ღრმა მეცნიერული კვლევა მოიტანდა სასურველ შედეგს, თუმცა არც მას, არც სხვა მკვლევრებს შემდგომ ამ მიმართულებით აღარ გაუგრძელებიათ მეცნიერული მუშაობა, ამიტომაც ეს საკითხი გარკვეულად ჰიპოთეზების და ვარაუდების რკალში მოექცა.

რ. სტივენსონის ტიპოლოგიურ ნაშრომთა შორის, რომლებიც მოიცავენ საკითხთა წრეს „რუსთაველი და დასავლური სამყარო“, აღსანიშავია „რუსთაველი და არიოსტო“[67]. ამჯერად მეცნიერის მიზანი იყო დაემტკიცებინა იმ დებულებათა უსაფუძვლობა, რომელნიც წამოყენებულ იქნა ევროპელი და ქართველი მკვლევარების მიერ რუსთაველისა და არიოსტოს ნათესაობის შესახებ სიყვარულის მხატვრულ ასახვაში. იყო დრო, როდესაც რუსთაველისა და არიოსტოს ერთ სიბრტყეზე მოთავსება, ზოგიერთი ევროპელი მკვლევრის აზრით, დიდი შეღავათი იყო ქართველი პოეტისათვის. რ. სტივენსონმა პირველმა სცადა არა მარტო უარეყო საეჭვო დებულებანი რუსთაველისა და არიოსტოს ტიპოლოგიური ნათესაობის შესახებ, არამედ აეხსნა რუსთაველის თავისუფლად მოაზროვნეობის დიდი ტრადიციები და ის ქართული იდეოლოგიური გარემო, სადაც მან ერის მატერიალური და სულიერი ძალების უდიდესი მობილიზაციის ეპოქაში ადამიანის ნებისა და გონების თავისუფლების იდეა გამოკვეთა.

კონკრეტულად რ. სტივენსონი დაუპირისპირდა ე. კარსტისა („ქართული ქრისტიანული ლიტერატურა“, 1934) და ზ. ავალიშვილის („ვეფხისტყაოსნის შესახებ“, პარიზი, 1938) შეხედულებებს, რომლე-

---

[67] R. H. Stevenson, Rustaveli and Ariosto, „Bedl Kartlisa“, VI—VII, N. 32—33, 1959. (იხილეთ ამ სტატიის ქართული თარგმანი მ. მამულაშვილი „რუსთაველი და არიოსტო“, „დროშა“, 1960, № 5.

ბიც ამტკიცებდნენ, რომ რუსთაველის ვეფხისტყაოსანსა და ლოდოვიკო არიოსტოს „შმაგ როლანდს“ შორის შეიძლება ზოგიერთი მსგავსების პოვნაო[68]. ჟ. კარსტს ვეფხისტყაოსანი მიაჩნდა ისეთ ნაწარმოებად, რომელიც „არც საკუთრივ აღმოსავლურია (სპარსულ-არაბული), არც დასავლურ-ევროპული. იგი გახლავთ Sin generis და სწორედ დამოუკიდებელმა ხასიათმა და ეროვნულმა ორიგინალობამ შეძლო შეანარჩუნებინა მას მთელი მომხიბვლელობა და პოპულარობა ქართველთა ისტორიის მღელვარე დღეების მანძილზე[69]. ჟ. კარსტი ვეფხისტყაოსნის სტილის ერთგვარ მსგავსებას პოულობდა „ათას ერთ ღამესთან“, ჰარირის მაკამებსა და სხვა აღმოსავლურ ნაწარმოებებთან. „ზოგიერთი რაინდული სურათისა და ეპიზოდის მიხედვით, რუსთაველის ქმნილება უახლოვდება არიოსტოს, ტასოს ეროტიკულ ჟანრს და თვით ოვიდიუსის ტიპსაც. ოღონდ ისე, რომ მათ მსგავსად უკიდურესობაში არ ვარდება. მიუხედავად ამისა, XII საუკუნის ამ ეპიკურ პოეზიაზე მაინც ბატონობს მკაცრი სიმშვიდე. ერთგვარი ეთიკური, ფილოსოფიური ელემენტები სპეციალურ კვალს, ნეოპლატონიზმის, მეტაფიზიკისა და მისტიციზმის ბუნდოვან, მაგრამ მყარ ნიშანს ასვამს მას. ასე რომ, ამ ეპოპეის ხასიათი უახლოვდება დანტეს, ბონავენტურასა სხვა თანამედროვე ქრისტიანი ავტორების ნაწარმოებებს. ხომ არ შეიძლება „ტარიელში“ აღმოვაჩინოთ მისტიკურ-მეტაფიზიკური აზრების ერთგვარი მსგავსება ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალთან“, გერმანული შუა საუკუნეების ამ ცნობილ ეპოპეასთან“, — წერს ჟ. კარსტი ქართული ლიტერატურის მიმოხილვაში. როგორც ვხედავთ, ფრანგი მეცნიერი მოიხმობს აღმოსავლურ-დასავლური სამყაროს გენიოსებს და ერთმანეთისაგან დროითა და სივრცით, რელიგიითა თუ სოციალურ-პოლიტიკური და სააზროვნო ინტერესებით განსხვავებულ ტრადიციათა რკალში ხედავს რუსთაველისათვის დამახასიათებელი ახალი სამყაროს თავისებურებებს, მის საკუთარ გზას. ალბათ, არ დარჩენილა არცერთი მეცნიერი, უმეტესად უცხოელი, რომელსაც ანალოგიების ძიება არ დაეწყოს რუსთაველის შემოქმედებითი თავისებურებების ახსნის გზაზე. ამ თვალსაზრისით, ვეფხისტყაოსანი, მართლაც, ისეთ ასოციაციებს აღძრავს, რომ ძნელია თავის დახსნა ლიტერატურული პარალელების

---

68 ფრანგ მეცნიერს, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ეკუთვნის მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა „ქართული ქრისტიანული ლიტერატურა“. ეს მიმოხილვა კ. კეკელიძეს შეფასებული აქვს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში. თბ., 1960, გვ. 14.

69 ჟ. კარსტი, ქართული ქრისტიანული ლიტერატურა, Littérature Géorgiene chrétiene. Biblioteque Catolique de Sciences Beligreuses, Paris, 1934. ქართული თარგმანის ნაწყვეტები ეკუთვნის ნ. ჭადეიშვილს.

ტყვეობიდან. ხშირად პარალელები შემთხვევითია და არსებითად არაფერს გვაძლევს ვეფხისტყაოსნის ასახსნელად, იგი ემპირიული მასალის მოძიების დონეზე რჩება. და თუ ვეფხისტყაოსნის რომელიმე სენტენციას, აფორიზმს, სახეს, თქმას, ფილოსოფიის ან ფილოსოფიური განცხადების მოხმობას მართლაც აღმოაჩნდება ევროპიული ანალოგია მსოფლიო მწერლობასა ან ფილოსოფიურ სისტემებში, ეს არ უნდა გახდეს საბაბი ფართო და კატეგორიული დასკვნებისათვის, რომელთაც ფაქტიურად არავითარი საფუძველი არა აქვთ. როგორც ჩანს, რ. სტივენსონი ასეთ განცხადებად მიიჩნევდა ჟ. კარსტისა და ზ. ავალიშვილის მიერ რუსთაველის ქმნილების არიოსტოს „შმაგ როლანდთან“ დაკავშირების ცდას და ასეთი პარალელი, მისი აზრით, არაფერს გვაძლევდა რუსთაველის მხატვრული აზროვნების წყაროების ასახსნელად. მას მიაჩნია, რომ იტალიური ლიტერატურის ისტორიკოსებმა თავის დროზე ყურადღება არ მიაქცევს და მსჯელობის საგნად არ გაიხადეს იტალიური რენესანსის ეპიკურ პოეზიაზე ირანული რომანტიკული (შუა საუკუნეების) ლიტერატურის გავლენის თეორია და ამ მიმართულებით არ იკვლიეს XV—XVI საუკუნის იტალიური საგმირო-რომანტიკული პოემა, რომლის ძირითადი წარმომადგენლები მათეო ბოიარდო და ლოდოვიკო არიოსტო გვიანი რენესანსის პერიოდს მიეკუთვნებიან[70]. თუ იტალიური რენესანსის ეპიკურ პოეზიაზე ირანული შუა საუკუნეების გავლენის თეორიას ხელშესახები და არსებითი დამამტკიცებელი საბუთები ექნებოდა, მაშინ მეცნიერებს, შესაძლოა, დაეწყოთ კამათი იტალიური და ქართული ეპიკური პოეზიის გენეზისის საერთო წყაროებზე, მაგრამ ეს მოსაზრებანი დღესდღეობით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ.

რაც შეეხება არიოსტოს „შმაგ როლანდს“, მართლაც, როლანდის გაგიჟება და გაჭრა სატრფოს, ანჯელიკას, უღირსი საქციელის გამო, ერთი შეხედვით, ძალიან წააგავს ტარიელის ველად გაჭრას ნესტანის დაკარგვის შემდეგ, „მაგრამ, — წერს რ. სტივენსონი, — ამ ორი პი-

---

70 სტივენსონის აზრით, ჰამერ-პურგსტალი პირველი მეცნიერია, რომელიც ამტკიცებს, რომ არიოსტო საბოლოო ანგარიშში დავალებული უნდა იყოს ნიზამის პოემისაგან გახელებული მიჯნურის მოტივით; ნიზამის პოემა, შესაძლოა, ჯვაროსნების შემოტანილი იყოსო დასავლეთ ევროპაში („სპარსეთის მჭერმეტყველების ისტორია“, ვენა. 1818). ეს აზრი შემდგომ განავითარა ეთემ („სპარსეთის საყარო და რომანტიკული პოეზია“, 1887, ჰამბურგი). იტალიური რენესანსის ეპიკურ პოეზიაზე ირანული შუა საუკუნეების ლიტერატურის გავლენის თეორია გადართოვა პიცმ, რომელმაც განაცხადა ბოარდოსა და არიოსტოს ქერათმიანი ანჯელიკა სპარსეთის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფიაო („ტრისტანისა და იზოლდას“ სპარსული წარმოშობა“, რომი, 1911; იმავე ავტორის მეორე შრომა „სპარსული პოეზიის ისტორია“, II, ტურინი, 1894).

როვნების სულიერი თვისებები ძალზე განსხვავებულია. გაუბედურებული როლანდი უხეში, მანიაკი, დამთხვეული ადამიანია, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ ყველაფერს ანგრევს. მის სიგიჟეს არავითარი სულიერი ელემენტი არა აქვს. საბოლოო ანგარიშში იგი პოულობს თავისი სატკივრის ფუქსავატურ განკურნებას...“ ტარიელის მოქმედება ღრმად განსხვავდება როლანდისაგან. პოემის პროლოგი და დასაწყისი სტროფები მკითხველს ამზადებენ იმის გასაგებად, რომ რუსთაველს აქვს სრულიად განსაკუთრებული შეხედულება. მარჯნურობის შემოტევით გამოწვეული სულიერი წონასწორობიდან გამოსვლის თაობაზე. სიტყვა „ხელი“, რომელიც ჩვეულებრივ გიჟად ითარგმნება, აქ უნდა ნიშნავდეს მიჯნურთა გონებრივ მდგომარეობას, რაც სავსებით დამახასიათებელია მარჯნურისათვის გარკვეულ პერიოდში, და იმ ადამიანის სულიერ ვითარებას აღწერს, რომელსაც მეგობარი დიდ განსაცდელში ეგულება. ტარიელისა და როლანდის მსგავსება სტივენსონს მხოლოდ მოჩვენებით და გარეგნულ მსგავსებად მიაჩნია. ამიტომაც მეცნიერისათვის საკითხი რუსთაველი და არიოსტო მხოლოდ გარეგნული და ზედაპირული შთაბეჭდილების შედეგია და ამ ორ ნაწარმოებს საერთო თითქმის არაფერი გააჩნია.

შეიძლება ითქვას, რომ რ. სტივენსონმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დიდი ნაწილი რუსთაველის შემოქმედების უმთავრესი პრობლემების გადაჭრას მოანდომა. მან დიდი შემოქმედებითი ენერგია შესწირა ვეფხისტყაოსნის პოეტური მეტყველების თავისებურებათა გაგება-გაანალიზებას, რაც უპირატესად, ვეფხისტყაოსნის მისეულ, ინგლისურ თარგმანში გამოიხატა. ინგლისელმა მთარგმნელმა შეძლო ზიარებოდა ქართული პოეტური კულტურის მრავალფეროვნებასა და ხელოვნებას, შეეცნო ქართული სოციალური ცხოვრების იდეალი და გემოვნება, შექსპირის ენაზე აღედგინა ვეფხისტყაოსნის მხატვრული სისტემა, რომელიც იმდენად არის ღრმად ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული, რომ ძალიან ძნელად იტანს ხელახალ რეკონსტრუქციას სხვა ენაზე. პოეტის ყოველი სახე და აზრი ისეა შედუღაბებული ეროვნული სინამდვილის მხატვრულ შეგრძნებას და იმდენადაა ქართული სულიერი კულტურის ტრადიციებთან გადაჯაჭვული, რომ ინგლისელი მთარგმნელი მუდმივად გრძნობს ამ განუმეორებელ ინდივიდუალობას: ვეფხისტყაოსნის უნიკალობა, რომლის მსგავსი მისი ეპოქის აღმოსავლურ-დასავლურ სამყაროში საერთოდ არ მოიძებნებოდა, მთარგმნელს აიძულებს მიმართოს ინგლისური სიტყვაკაზმული მწერლობის უძლიერეს სალაროს, ეძიოს რუსთაველის მხატვრული სიტყვის ბადალი, არ დაუკარგოს ეროვნული ელფერი სახის შინაარსს, თანაზომიერად შეაზავოს სხვა ენაზე გარდასახული სიტყვა გამოთქმის პათოსთან. მთარგმნელი ცდილობს რუს-

თაველის თქმის ლაკონიზმი, სისადავე და აზრის სიცხადე არ გადაზარდოს მაღალფარდოვნებასა და მრავალსიტყვაობაში. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით მთარგმნელი ყოველთვის ემორჩილება პოეტის განზრახვას და იშვიათად ანელებს მხატვრული სახის ორნამენტობას. მთარგმნელს ესმის, რომ ვეფხისტყაოსნის სტილის მხატვრული სრულყოფილება ხშირად ქვეტექსტებშია ჩასაიდუმლოებული, შაგრამ ორგანულად ერწყმის მხატვრულ ფორმასა და სახეს, რის გამოც ჰარმონიული მთლიანობის შთაბეჭდილებას ახდენს. ამიტომაც მთარგმნელი რუსთაველის აზროვნების სტიქიის გადმოსაცემად უპირატესად ყურადღებას ამახვილებს გმირის სულიერი ყოფის გამომხატველი საშუალებების ნაირგვარობაზე, იგი არსად არ ცდილობს გააძნელოს ან „გაალამაზოს“ ამბის გაგება, გაამარტივოს ან გაართულოს მეტაფორული სისტემა ვეფხისტყაოსნისა; მას ძირითადად გადაჭრილი აქვს პოემის როგორც პირდიპარი, ასევე ფარული გააზრების ამოცანაც. ყოველივე ზემოთქმული აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ რობერტ სტივენსონის სახით ვეფხისტყაოსანს შესანიშნავი გამგები და მოჭირნახულე პიროვნება ჰყავს შექსპირის ენაზე.

რ. სტივენსონის, როგორც მეცნიერის, ყურადღების საგანია აგრეთვე XVII საუკუნის ქართული მწერლობის პრობლემები. ეს ეპოქა, რომელიც ქართული მხატვრული აზროვნების დაქვეითებისა და დუმილის პერიოდია, იმდენადაა საინტერესო მკვლევარისათვის, რამდენადაც ამ შინაგანი კრიზისის დროს შექმნილ ნაწარმოებებში გამოიხატა პოეტური გემოვნების დეკადანსი, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერი ტკივილები და ტრაფარეტული სახეების მთელი წყება. ამ ეპოქას რ. სტივენსონი ეხმაურება ორი წერილით: „ომაინიანი“ — ადრეული XVII საუკუნის სარაინდო რომანი“[71] და „დიდმოურავიანი“ — XVII საუკუნის პოემა“[72].

რ. სტივენსონის წერილის მიზანი „ომაინიანზე“ ძირითადად შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატო: მას ძალზე მკაცრად და უსამართლოდ ეჩვენება ქართული კრიტიკის მიერ შეფასებული ეს ორიგინალური ნაწარმოები. კერძოდ ის მოსაზრება, რომ ქაიხოსროს ეს ნაწარმოები უხეში ეპიგონური მიბაძვაა რუსთაველისა, რომ „ომაინიანში“ ყველაფერი გვაგონებს ვეფხისტყაოსანსა და მის გმირებს, რომ ქაიხოსროს ნაწარმოების მხატვრული მოდელი პროლოგითა და ეპილოგით, აფორისტული და მეტაფორული მეტყველებით ერთგვა-

---

[71] R. H. Stevenson, Cmainiani A Georgian Romance of the early seventeenth century „Bedi Kartlisa“; XVII—XVIII, 1964.

[72] R. H. Stevenson, Didmouraviani: A narrative poem of the seventeenth century, Bedi Kartlisa, XVII—XVIII 1962.

რი ეპიგონური გადამღერებაა რუსთაველის ეპიკური პოემისა და მდარე ღირსების მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, ინგლისელი მეცნიერი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსნის მხატვრული სრულყოფილება და მისი ზეგავლენა იმდენად დაუძლეველი აღმოჩნდა მომავალი ეპოქებისათვის, რომ ყოველი შემოქმედი, ვერ შორდებოდა ვერც რუსთაველის ლექსის ფორმას და ვერც მხატვრულ საშუალებათა სიახლეებს ნერგავდა. შაირის ფორმის ასეთმა გაბატონებამ და ერთფეროვნებამ დიდი საშიშროება შეუქმნა ქართული პოეზიის განვითარების პერსპექტივას და მხოლოდ დავით გურამიშვილის გამოჩენამ იხსნა ქართული პოეზია რუსთაველის ტყვეობისაგან. ასე რომ, კლასიკური პოეზიის სტილი და შინაარსი XVII საუკუნის პოეზიაში მხოლოდ გარეგნული ფორმის ბაძვაში გამოიხატა და ჭეშმარიტი ლირიკული ატმოსფერო პოეზიის გარეშე დარჩა. ამიტომაც სტივენსონის ზოგადი მოსაზრებანი „ომაინიანზე“ ასეთია: „არც ერთ ქართველ ავტორს არ დაუწერია სარაინდო ნაწარმოები რუსთველური შაირით ისე, რომ არ განეცადოს დიდი პოეტის დამთრგუნველი გავლენა, ხოლო მკითხველს ასეთი ნაწარმოების კითხვისას მხედველობაში არ ჰქონდეს ვეფხისტყაოსანი.

ვერც ქაიხოსრო ასცდა რუსთაველის გავლენას. პოემა სავსეა აფორიზმებით, შემკულია პროლოგითა და ეპილოგით და აშკარა მიბაძვის დაღი აზის. ქაიხოსრო, ფაქტიურად, ნაწარმოებს ვეფხისტყაოსნის სტილში აკეთებს“.

მიუხედავად ზემოქმედისა, რ. სტივენსონს მცდარად მიაჩნია „ომაინიანის“ ეპიგონური და მდარე ლიტერატურული ღირსების მქონე ნაწარმოებად გამოცხადება. იგი არ ეთანხმება გ. ჯაკობიას, რომელსაც „ომაინიანის“ ბეჭდით და გულმოდგინე გამომცემელს უწოდებს, რომ XVII საუკუნის ეს ნაწარმოები მხოლოდ ლიტერატურული მარცხია და მასზე ქართველი მკვლევარი ერთგვარი მობოდიშებით ლაპარაკობს. რა თქმა უნდა, მიუთითებს რ. სტივენსონი, რომ ქართული კრიტიკის მიერ აღიარებული ყველა ნაკლი ნამდვილად ახასიათებს „ომიანიანს“: მისი ავტორი მხოლოდ ტრაფარეტულად იმეორებს რუსთაველის ლიტერატურულ სტილს, არა აქვს მხატვრული ფორმის გრძნობა, პროზისა და პოეზიის უცნაური მონაცვლეობა ნაწარმოებს უკარგავს მხატვრულ ერთიანობას. რითმების თავგანწირული ძიება ხშირად აიძულებს მას ენა დაამახინჯოს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. „მაგრამ, — განაგრძობს მკვლევარი, — დაუნდობელი ლიტერატურული კრიტიკა ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ გა-

მოუსადეგარია. პარნასის ჭვედა საფეხურებსაც გააჩნიათ თავიანთი შომხიბლაობა და ეს საფეხურიც სათანდოდ უნდა დავაფასოთ მაშინ, როცა უფრო აღმავალი ხაზი არ გაგვაჩნია. ამ თვალსაზრისით „ომაინიანს“ გააჩნია გარკვეული ღირსებები“[73].

„ომაინიანის“ ერთ ღირსებად სტივენსონს მიუჩნევია მისი პოპულარობა, რაზედაც, მისი აზრით, ჩვენამდე მოღწეული მრავალი ხელნაწერი მიუთითებს და რომლებითაც იხელმძღვანელა მისმა გამომცემელმა გ. ჯაკობიამ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს ნაწარმოები მხოლოდ ერთადერთხელ გახდა დაბეჭდვის ღირსი, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე მკითხველის ყურადღებას იგი ნაკლებად იმსახურებს.

ჭაიხოსროს თხზულება ქართული აღორძინების ხანის ერთ-ერთი ადრეული ნაყოფია, რომელიც მონგოლთა შემოსევის შედეგად მე-13 საუკუნეში შეწყვეტილი ქართული ლიტერატურული საქმიანობის გაგრძელებაა. ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართველთა იმ თაობის ლიტერატურული მოღვაწეობის გაგრძელება, რომლის ახალი შემოქმედებითი იმპულსები ისევ რუსთაველისაკენ იქნა მიპყრობილი. ეს ნიშნავდა ეროვნული მემკვიდრეობისაკენ შემობრუნებას. ამ თხზულებაში ახალი მიჯნურები გამოჩნდებიან — პირდაპირი მემკვიდრენი ძველი მიჯნურებისა, ამაშია „ომაინიანის“ მომხიბლაობის საიდუმლო და ეს განცდა მკითხველს არ შორდება. ასეთ მნიშვნელოვან თხზულებად ესახება რ. სტივენსონს „ომაინიანი“ და მისი საბოლოო დასკვნაც ამას მოწმობს: „ისეთ მკითხველს, რომელსაც განუცდია სურნელი ძველი თხზულებების კითხვისა, „ომაინიანმა“ შეიძლება მოაგონოს მეგობრული დიალოგი უცნობთან ორ ისეთ პიროვნებაზე, რომელიც თანაბრად ახლობელი აღმოჩნდება მოსაუბრეთათვის, თანაც ეს საუბარი სავსე იქნება რემინესცენციებით, ძალზე ნაცნობი აზრებითა და საყვარელი გამოთქმებით. ეს კი ადვილად მისაღწევი როდია“.

შეიძლება ითქვას, რომ რ. სტივენსონის ეს გამონათქვამი გარკვეულად ეხმიანება არჩილის შეფასებასაც, რომელსაც მოსწონს ეს თხზულება. „კარგად რომ უთქვამს, მის გამო არა ვსთქვა მისი ზიანიო“, დასძენს არჩილი.

XVII საუკუნის აღორძინების ხანის ლიტერატურა განსაკუთრებული ინტერესის საგანია მეცნიერისა. ამ ეპოქის თხზულებათაგან მას აქვს დაწერილი გამოკვლევა იოსებ თბილელის „დიდმოურა-

---

[73] R. H. Stevenson, Omaïniani. A Geogian Romance of the early seventeenth century. „Bedi Kartlisa“, XVII—XVIII, 1964.

ვიანზე"[74]. იოსებ თბილელს არჩილის სკოლის პოეტებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს, წერილის შესავალში სტივენსონი მკითხველს აწვდის ისტორიულ ცნობებს გიორგი სააკაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნავს იმას, რომ სააკაძის პიროვნებასა და ხასიათზე სხვადასხვა თვალსაზრისებია გამოთქმული. მოაქვს ვახუშტი ბატონიშვილის, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის თვალსაზრისები. გვაწვდის ცნობებს თავად „დიდმოურავიანის" ავტორზე და ძირითადად ეყრდნობა ქართველ მკვლევრებს. ქართველ მეცნიერთა კვალდაკვალ, რ. სტივენსონიც იმ აზრს ავითარებს, რომ „დიდმოურავიანი" გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საპაექროდ მიჩნეული მოღვაწეობის ერთგვარი რეაბილიტაციაა. ამიტომაც პოემაში ძირითადად გაშლილია დიდი მოურავის საგმირო საქმეები. პოემა მონოლოგის ფორმით არის დაწერილი და ეს უფრო მეტ გულწრფელობას ანიჭებს ნაწარმოებს. იოსებ თბილელმა შექმნა მხატვრულად დამაჯერებელი სახე სამშობლოსათვის თავდადებული გმირი-რაინდისა და ეს არის პოემის მთავარი ღირსებაც. ამის გამო „დიდმოურავიანი" მკვეთრად გამოირჩევა XVI—XVII საუკუნეების ქართულ ისტორიულ ეპოსში. რ. სტივენსონის ეს წერილი, როგორც ჩანს, ძირითადად დაწერილია იმ მიზნით, რომ ევროპელმა მკითხველმა გაიცნოს XVII საუკუნის ეს მნიშვნელოვანი და მისთვის უცნობი ძეგლი და ამით თვალწინ გადაეშალოს საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული ფურცელი.

ამრიგად, თუ თვალს გავავლებთ რ. სტივენსონის მთელ ნაღვაწს ქართველოლოგიურ დარგში, დავინახავთ, რომ ინგლისელი მკვლევარი შეეხო და თავისი დაკვირვებანი მოგვაწოდა ქართული მწერლობის ყველა ძირითად პრობლემაზე — დაწყებული „ამირანდარეჯანიანიდან" დამთავრებული „დიდმოურავიანით". „ამირანდარეჯანიანის" ორიგინალური წარმოშობის თეზასთან დაკავშირებით მისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო რომანის პერსონაჟთა ეროვნული ხასიათი, ძმადნაფიცობის ინსტიტუტი. პატრონყმური ურთიერთობა. მან შეძლო „ამირანდარეჯანიანის" ჩასმა XI—XII საუკუნეების ზოგად სარაინდო-საფალავნო ჟანრის დასავლურ-აღმოსავლურ კონტექსტში და მიანიშნა ქართული თხზულების მიღწევაცა და თავისებურებაც ამ ჟანრში.

---

[74] R. H. Stevenson, Didmouraviani; a narrative Poem of the seventeenth century, „Bedi Kartlisa", XVII—XVIII, 1962.

კლასიკური ეპოქის ქართული ლიტერატურული თხზულებები და რ. სტივენსონის გატაცების საგანი სრულიად ბუნებრივად ვეფხისტყაოსანი შეიქმნა. მის ინგლისურად აღერუბასა და შეცნობას მოანდომა მკვლევარმა თავისი მთელი ცოდნა და ენერგია. მისი თარგმანი ნიმუშია პიროვნების სულიერი ძალების დიდი მობილიზებისა და პასუხისმგებლობის, ვეფხისტყაოსნის ლიტერატურული სრულყოფილების შეგნებისა და ქართული ენის ღრმა ცოდნისა. რ. სტივენსონს ვეფხისტყაოსანი შემეცნებული აქვს როგორც ჭეშმარიტად დიადი ქმნილება და მისი სურვილია ასეთივე სიღრმითა და მასშტაბით შეიმეცნოს იგი თანამედროვე მსოფლიოში. ამის დადასტურებაა მთელი მისი საქმიანობა, რომლითაც იგი თავის საპატიო ადგილს მუდამ დაიჭერს ქართველი ხალხის გულში.

რობერტ სტივენსონის ნაშრომების ბიბლიოგრაფია

1. R. H. Stevenson, . A Georgian Amour Courtois. Proceedings of the Twenty International Congress of Orientalists (Cambridge, 21-st—28-th August, 1954), London. 1957.
2. R. H. Stevenson, A Note on Rustaveli's Panther—Symbol, „Bedi Kartlisa", N. 26—27, 1957.
3. R. H. Stevenson. Rustaveli and Ariosto, „Bedi Kartlisa", VI—VII (N. 32—33), 1959.
4. R. H. Stevenson, On Translating Rustaveli, „Bedi Kartlisa", 1960, N. 34—35.
5. R. H. Stevenson. On Translating Rustaveli, „Bedi Kartlisa", 1961, XI—XII (N. 36—37).
6. Mose Khoneli, Amirandarejaniani. Translated by R. H. Stevenson (A Cycle of Medieval Georgian Tales. traditionally ascribed to Mose Khoneli), Oxford, 1958.
7. R. H. Stevenson, Didmouraviani: A Narrative Poem of the Seventeenth Century, „Bedi Kartlisa", XVII—XVIII, 1964.
8. R. H. Stevenson, Omainiani. A Georgian Romance of the Seventeenth Century, „Bedi Kartlisa", 1964.
9. Shota Rustaveli, The Lord of the Panther's Skin, Translated by Robert Stevenson, Introduction XIII, State University of New York Press, Albany, 1977.
10. რ. სტივენსონი, პასუხი „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის კრიტიკაზე, მაცნე, 1981 წ. 4.

რეცენზიები რობერტ სტივენსონის შემოქმედებაზე

1. ანდრონიკაშვილი ნ., ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანები, თბილისი, „მეცნიერება", 1984.
2. ბარამიძე ალ., ამირანდარეჯანიანის გარშემო, მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, 1960.
3. გამყრელიძე ალ. კემბრიჯელი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნისა" და პროვანსული პოეზიის შესახებ, ცისკარი, 1957, № 3.
4. გასახურდია ზ., „ვეფხისტყაოსნის" რობერტ სტივენსონისეული თარგმანი წიგნში: ზ. გამსახურდია „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურ ენაზე. თბილისი, მეცნიერება, 1984.
5. გიგინეიშვილი მ., ყველგან გაჰყუხს.... „კომუნისტი", 22. IX. 1977, № 222.

6. თურნავა ს., „უცხოელ მოკეთეთა აზრით“, გაზ. „თბილისი“, 1982, 11 მარტი, გვ. 3.
7. თურნავა ს., „ქართული კულტურის ამაგდარი“, სამშობლო, 1980, სექტ. № 20, გვ. 6.
8. თურნავა ს., „ქართული კულტურის მეგობარი“, დაბადების 60 წლისთავის გამო, „საბჭოთა ოსეთი“, 1980, 23 აგვისტო, გვ. 4.
9. თურნავა ს., „ჩვენი უცხოელი მეგობარი“, მნათობი, 1980, № 2.
10. კეკელიძე კ., „მცირე შენიშვნა“ წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIII, თბილისი, 1974.
11. Каншаури В., О чём повествует письмо из Англии, „Вечерный Тбилиси“, 2. I. 1962, № 1.
12. D. M. Lang, G. M. Meredith-Owens, Amiran-Darejaniani, A Georgian Romance and its English Rendering, BSOAS, 1959, XII, № 3.
13. მამულაშვილი მ., „ამირანდარეჯანიანის გარშემო“, თბილისი, 1963, 14 დეკემბერი.
14. მამულაშვილი მ., ინგლისელი ქართველოლოგი „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანის საკითხებზე, საზ. მეცნ. განყ. მოამბე, 1961, № 3.
15. მამულაშვილი მ., რუსთაველი და არიოსტო, დროშა. 1960, № 5.
16. ნუცუბიძე შ., „ამირანდარეჯანიანის“ თარგმანის გამო, „ლიტ. გაზეთი“, 1959, № 21.
17. ნუცუბიძე შ., „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანი და ქართული კულტურის საკითხები. „დროშა“, 1969, № 8.
18. ნუცუბიძე შ., „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანი და ქართული კულტურის საკითხები. „დროშა“, 1969, № 8.
19. ნუცუბიძე შ., ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხები თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში, მნათობი, 1956, № 3.
20. Nustubdize Sh. რეცენზია რ. სტივენსონის „ამირანდარეჯანიანის“ თარგმანზე (უსათაურო) „Bedi Kartlisa,“ VI—VII, 1959.
21. Haskidashvili T., რეცენზია „ამირანდარეჯანიანის“ თარგმანზე (უსათაურო), „Bedi Kartlisa“, XV—XVI, 1963.
22. Серебряков С. Б., „Об Амиран-Дареджаниани“, Проблемы Востоковедения, 1960, № 2.
23. Serebryakov S., Le prcblcme d'Amiran Daredjaniai, „Bedi Kartlisa“, XVII—XVIII, 1964.
24. Серебряков С. Б., (უსათაურო) „Заря Востока“, 1964, 8. V.
25. ყიასაშვილი ნ., „ვეფხი“ თუ — „ჯიქი“, რაინდი თუ მეომარი, „ლიტ. საქართველო“, 9. VII. 1965, № 28.
26. ჩიქოვანი მ., „ამირანდარეჯანიანის“ ფოლკლორული წყაროების პრობლემა (დ. ლენგისა და გ. მერედით-ოუენსის წერილის გამო) მნათობი, № 4, 1970.

РЕЗЮМЕ

Интерес известного английского грузиноведа Роберта Стивенсона к грузинской литературе и культуре относится к 50-м годам. Он один из тех немногочисленных иностранцев, который в совершенстве усвоил грузинский язык и всю свою жизнь и деятельность посвятил исследованию грузинской литературы и ее популяризации.

Р. Стивенсон внес большой вклад в исследование двух памятников грузинской классической литературы — «Амирандареджаниани» и «Витязь в тигровой шкуре». Эти произведения он перевел на английский язык и посвятил им не одно исследование.

Перевод «Амирандареджаниани» на английский язык им был выполнен в 1958 году. К изданию прилагается ценный научный аппарат с предисловием, комментариями и примечаниями. В предисловии исследователь поставил много, заслуживающих внимания, вопросов, относящихся к генезису грузинского рыцарского романа, в частности вопрос авторства «Амирандареджаниани» и ее оригинальности. Исследование предисловия «Амирандареджаниани» вызвало многочисленные дискуссии. Вновь был поднят вопрос об истоках грузинской классической литературы, о путях эволюции и ее национальном характере. Роберт Стивенсон относит «Амирандареджаниани» к тем произведениям, которые несмотря на влияние извне, корнями уходят в недра национальной литературы. Данный тезис он подтверждает многими основополагающими положениями, чем, по существу, противопоставляет себя сторонникам теории о персидском происхождении литературного памятника.

Несмотря на то, что в грузинском литературоведении в начале же, довольно основательно, было доказано, что «Амирандареджаниани» носит национальный характер, тем не менее немало исследователей разделяли мнение о персидском происхождении вышеупомянутого памятника (Р. Блейк, Ж. Краст, Д. Ланг, М. Оуэнс).

Исследование Р. Стивенсона тем и примечательно, что, несмотря на иноземное окружение в романе и происхождение героев, он нашел тот пласт в общей схеме рыцарского романа, где, с одной стороны, «Амирандареджаниани» вос-

ходит своими корнями к истокам народного творчества, а с другой, — основываясь на личные (индивидуальные) вкусы автора, принимает форму завершенного эпического произведения.

Опубликовав в 1977 году перевод «Витязя в тигровой шкуре», с предисловием и комментариями, Стивенсон внес значительный вклад в изучение творчества Руставели.

Его переводы и штудии свидетельствуют о том, с какой серьезностью он относится к проблемам современной руствелологии и к трудностям перевоплощения «Витязя в тигровой шкуре» на английский язык.

Автору «Витязя в тигровой шкуре» он посвятил следующие очерки: «Грузинская куртуазная любовь», «Примечания к символу тигра у Руставели», «Руставели и Ариосто», «Проблемы перевода Руставели», «Предисловие к «Витязю в тигровой шкуре». В этих исследованиях ученый коснулся этико-эстетических идеалов творчества Руставели, своеобразности его художественого мышления.

В его работах «Витязь в тигровой шкуре» воспринимается не как экзотический роман, чуждый и непонятный для европейцев своими «потоками слез», культом физической силы, приключениями героев и изящными восточными метафорами. Английскому ученому это произведение представляется как эпос отражающий грузинскую действительность, навеянную идеалами добра, красоты и благородства и который повествует о борьбе страстей человеческих, о разыгравшейся душевной буре, об отчаяниях и надеждах, об индивидуальности героев.

В предисловии к английскому изданию перевода «Витязя в тигровой шкуре», содержащем много заслуживающих внимания концепций с точки зрения руствелологической проблематики, Р. Стивенсон выделяет два вопроса: 1) «Витязь в тигровой шкуре» и восточная поэтическая культура; 2) «Витязь в тигровой шкуре» — средневековый западноевропейский роман.

Какими бы традиционными национальными путями ни развивалась грузинская литература, на ее художественное мышление и эволюцию не могли не оказать влияния всемирно признанные к тому времени литературные памятники. Поэтому грузинские эпические произведения вполне могли позаимствовать их идеалы и мотивы.

При изучении восточных источников «Витязя в тигровой шкуре», его художественных образов, идеологии и мироощущений писателя, английскому ученому Руставели представляется творцом исключительно оригинального восприятия и видения.

В его предисловии особое место уделяется толкованию строфы — «Я в грузинских пересказах эту повест из Ирана...», Стивенсон, неоднократными примерами из «Висрамиани», «Лейли и Меджнун», «Шахнаме» доказывает «источник» вдохновения Руставели.

Но, все это ему необходимо для того, чтобы яснее представить поэтическую систему Руставели, отличную своей оригинальной национальной энергией, где персонажи произведения лишены восточного мистицизма.

Что же касается отношения «Витязя в тигровой шкуре» к средневековому европейскому рыцарскому роману, Р. Стивенсон считает подобные исследования малорезультативными по разным соображениям.

Аналогичные пассажи «Витязя в тигровой шкуре» и других рыцарских романов, по мнению Р. Стивенсона, не должны ввести в заблуждение исследователей, так как общего и схожего в них действительно может быть множество.

Р. Стивенсон считает, что такой эмпирический подход мешает пониманию «Витязя в тигровой шкуре», так как на таком уровне трудно установить специфические литературные национальные своеобразия и различия. Стивенсон особое значение придает тому идеологическому окружению, в котором формируются персонажи «Витязя в тигровой шкуре» и европейского рыцарского романа.

Многочисленному иностранному читателю он показал, что это национальный эпос, где в окружении иноземных, негрузинских персонажей и стран, национальная действительность, идеал грузинского государства, чувство социальной гармонии, свободы личности и проповедование прогрессивных идеалов представлены таким образом, что в производстве не остается и следа от реальной истории. Для примера Р. Стивенсон сравнивает Автандила и Ланселота. Если Автандил в своих действиях руководствуется чувством миджнура, преданностью другу и чувством долга перед государством, то Ланселота, либо другого персонажа рыцарского романа трудно представить обремененного подобными проблемами. В отличие от персонажей рыцарского романа, Автандил не ищет случайных приключений. Отсутствие случайных приключений — заслуга Руставели и, по мнению Стивенсона, это редчайшая черта средневекового эпического писателя, т. е. то. что исследователь называет чувством формы.

В этом видит Стивенсон главное и существенное отличие между «Витязя в тигровой шкуре» и европейским рыцарским романом. Тем не менее Стивенсон считает, что дальнейшие исследования могут выявить и другие аспекты данной проблемы.

ходит своими корнями к истокам народного творчества, а с другой, — основываясь на личные (индивидуальные) вкусы автора, принимает форму завершенного эпического произведения.

Опубликовав в 1977 году перевод «Витязя в тигровой шкуре», с предисловием и комментариями, Стивенсон внес значительный вклад в изучение творчества Руставели.

Его переводы и штудии свидетельствуют о том, с какой серьезностью он относится к проблемам современной руствелологии и к трудностям перевоплощения «Витязя в тигровой шкуре» на английский язык.

Автору «Витязя в тигровой шкуре» он посвятил следующие очерки: «Грузинская куртуазная любовь», «Примечания к символу тигра у Руставели», «Руставели и Ариосто», «Проблемы перевода Руставели», «Предисловие к «Витязю в тигровой шкуре». В этих исследованиях ученый коснулся этико-эстетических идеалов творчества Руставели, своеобразности его художественого мышления.

В его работах «Витязь в тигровой шкуре» воспринимается не как экзотический роман, чуждый и непонятный для европейцев своими «потоками слез», культом физической силы, приключениями героев и изящными восточными метафорами. Английскому ученому это произведение представляется как эпос отражающий грузинскую действительность, навеянную идеалами добра, красоты и благородства и который повествует о борьбе страстей человеческих, о разыгравшейся душевной буре, об отчаяниях и надеждах, об индивидуальности героев.

В предисловии к английскому изданию перевода «Витязя в тигровой шкуре», содержащем много заслуживающих внимания концепций с точки зрения руствелологической проблематики, Р. Стивенсон выделяет два вопроса: 1) «Витязь в тигровой шкуре» и восточная поэтическая культура; 2) «Витязь в тигровой шкуре» — средневековый западноевропейский роман.

Какими бы традиционными национальными путями ни развивалась грузинская литература, на ее художественное мышление и эволюцию не могли не оказать влияния всемирно признанные к тому времени литературные памятники. Поэтому грузинские эпические произведения вполне могли позаимствовать их идеалы и мотивы.

При изучении восточных источников «Витязя в тигровой шкуре», его художественных образов, идеологии и мироощущений писателя, английскому ученому Руставели представляется творцом исключительно оригинального восприятия и видения.

В его предисловии особое место уделяется толкованию строфы — «Я в грузинских пересказах эту повест из Ирана...», Стивенсон, неоднократными примерами из «Висрамиани», «Лейли и Меджнун», «Шахнаме» доказывает «источник» вдохновения Руставели.

Но, все это ему необходимо для того, чтобы яснее представить поэтическую систему Руставели, отличную своей оригинальной национальной энергией, где персонажи произведения лишены восточного мистицизма.

Что же касается отношения «Витязя в тигровой шкуре» к средневековому европейскому рыцарскому роману, Р. Стивенсон считает подобные исследования малорезультативными по разным соображениям.

Аналогичные пассажи «Витязя в тигровой шкуре» и других рыцарских романов, по мнению Р. Стивенсона, не должны ввести в заблуждение исследователей, так как общего и схожего в них действительно может быть множество.

Р. Стивенсон считает, что такой эмпирический подход мешает пониманию «Витязя в тигровой шкуре», так как на таком уровне трудно установить специфические литературные национальные своеобразия и различия. Стивенсон особое значение придает тому идеологическому окружению, в котором формируются персонажи «Витязя в тигровой шкуре» и европейского рыцарского романа.

Многочисленному иностранному читателю он показал, что это национальный эпос, где в окружении иноземных, негрузинских персонажей и стран, национальная действительность, идеал грузинского государства, чувство социальной гармонии, свободы личности и проповедование прогрессивных идеалов представлены таким образом, что в производстве не остается и следа от реальной истории. Для примера Р. Стивенсон сравнивает Автандила и Ланселота. Если Автандил в своих действиях руководствуется чувством миджнура, преданностью другу и чувством долга перед государством, то Ланселота, либо другого персонажа рыцарского романа трудно представить обремененного подобными проблемами. В отличие от персонажей рыцарского романа, Автандил не ищет случайных приключений. Отсутствие случайных приключений — заслуга Руставели и, по мнению Стивенсона, это редчайшая черта средневекового эпического писателя, т. е. то, что исследователь называет чувством формы.

В этом видит Стивенсон главное и существенное отличие между «Витязя в тигровой шкуре» и европейским рыцарским романом. Тем не менее Стивенсон считает, что дальнейшие исследования могут выявить и другие аспекты данной проблемы.

Красной нитью проходит в других очерках Стивенсона, посвященных Руставели, определение роли и места Руставели в средневековой литературе.

Большие творческие силы отданы Стивенсоном пониманию и анализу особенностей поэтики Руставели, что, в основном, отразилось в его переводе «Витязя в тигровой шкуре».

С уверенностью можно сказать, что Стивенсон, большую часть своей деятельности посвятил решению главных проблем творчества Руставели.

Предметом внимания английского ученого также являются проблемы грузинской литературы XVII века. Эпоха упадка грузинского художественного мышления представляет для ученого интерес постольку, поскольку в произведениях этого критического периода отразился декаданс грузинского поэтического вкуса и духовная боль, вызванная исторической действительностью. Этой эпохе Стивенсон посвятил два очерка: «Оманнпани» — рыцарский роман XVII века» и «Дидмоуравиани» — поэма XVII века».

Все творчество Стивенсона-грузиноведа является ярким примером мобилизации духовных сил и творческого подхода как к проблеме художественного перевода, так и к кардинальным вопросам грузинской литературы. Всей своей деятельностью, он по праву займет почетное место в истории грузиноведения.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჩ. სტივენსონი და მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ . . . 3

ჩ. სტივენსონი ეიფბისტყაოსნის მთარგმნელი და ინტერპრეტატორი . 39

ჩ. სტივენსონის ნაშრომების ბიბლიოგრაფია . . 77

Р е з ю м е 79

Нелли Элизбаровна Андроникашвили

КАРТВЕЛОЛОГИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ РОБЕРТА СТИВЕНСОНА

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1988

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3709

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ებრალიძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ნ. მაჩაიძე
გადმშვები ელ. მაისურაძე

გადეცა წარმოებას 15.1.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.5.1988;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობით საბეჭდი თაბახი 5.25;
ბრ.-საღ. გატ. 5.5; საგრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.50;

უე 02388; ტირაჟი 1600; შეკვეთა № 268;

ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19